ბრძოლა საერთაშორისო გარანტიებისთვის A2

პოლიციის რეფორმის პრიორიტეტები A8

პრობლემა და ყინწვისის მაგალითი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 21 სექტემბერი, 2004 წელი. №224 (773)

ფასი 50 თეთრი

სასწავლო წელი დაიწყო

საქართველოს მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის 2004-2005 სასწავლო წელი 20 სექტემბერს დაიწყო.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დალი კუპრავა

"ეს სად მომიყვანე, მიკიმაუსიანი ჩანთა მომცეს და მასწავლებელს როზა ჰქვია!" - პირველი სასწავლო დღის ერთ-ერთი პირველკლასელისეული შეფასება.

- მე უკვე სამი ჩანთა მაქვს...

ერთ-ერთმა სკოლამ თავისი მოსწავლეები ექსკურსიაზე კოჯორში წაიყვანა - "რატომაც არა, რეფორმა სრული სვლით!" - თქვეს მშობლებმა.

- ნუ ტირი, ელენე, თორემ სკოლაში აღარასოდეს მოგიყვან!

- ნუ მომიყვან, - პასუხობს ელენე.

- როდის ვითამაშებთ?!

- დედა, წყალს ვინ დამალევინებს?

- ძმის გარეშე არ ჩერდება, გვერდით მოვუსვამ, რა...

- გაჩერდი მასწავლებელთან და მერე "ბაობაბში" წაგიყვან!

მშობლების გასაგონად: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ საქართველოს მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის 2004-2005 სასწავლო წელი 20 სექტემბერს დაიწყო, მათ შორის, პირველკლასელთათვის და მშობლებს მოწიწებით ვთხოვთ, დატოვონ საკლასო ოთახები მოსწავლეების, მასწავლებლებისა და რეფორმის ამარა!

სწავლა დაიწყო საქართველოს ყველა სკოლაში, გალის რაიონის რვა სკოლის გარდა.

გაგრძელება A6 გვერდზე

კომუნისტურიდან დემოკრატიულისკენ

საქართველოს უშიშროების ორგანოები

საქართველოს სპეცსამსახურები, საბოლოო ჯამში, დასავლური ტიპის ანალოგიური სტრუქტურების მუშაობის მეთოდებზე უნდა გადავიდნენ.

იური ლოგოდინის ფოტო

გერმანული ორგანიზაციის, კონრად ადენაუერის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ინიციატივით, ისეთ დახურულ და გასაიდუმლოებულ უწყებაში მიმდინარე რეფორმის შესახებ დაიწყო საჯარო საუბარი, როგორიც უშიშროების სამინისტროა. პარასკევს სასტუმრო "მარიოტში" ამ თემისთვის მიძღვნილი დისკუსიის კვალდაკვალ გაგაცნობთ იმ უკვე განხორციელებულ თუ განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომლებმაც საქართველოს სპეცსამსახურები, საბოლოო ჯამში, დასავლური ტიპის ანალოგიური სტრუქტურების მუშაობის მეთოდებზე უნდა გადაიყვანოს. მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით გარკვეული მოძრაობა უშიშროების სამინისტროში უკვე დაწყებულია.

სოფიკო ჩხაიძე

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე საინფორმაციო-სადაზვერვო სამმართველოს შექმნით იყო იმის მცდელობა, რომ სახელმწიფო სპეცსამსახურისთვის საბჭოური სუკ-ის რეპუტაცია ჩამოეშორებინათ, საქართველოს უშიშროების სამინისტრო შევარდნაძის მმართველობის წლების მანძილზე მაინც სწორედ ამ სუკ-ის ღირსეულ სამართალმემკვიდრედ ჩამოყალიბდა. ის ფაქტი კი, რომ საზოგადოებაში მის მიმართ ძველებური, სუკის დროინდელი შიში ასე თუ ისე განელდა, მხოლოდ ძველებური საშუალებების ნაკლებობით თუ შეიძლება ახსნილიყო და არა მუშაობის კომუნისტურიდან დემოკრატიულ პრინციპებზე გადასვლით.

გაგრძელება A3 გვერდზე

პოლიტიკა

ევროკავშირთან პარტნიორობის პერსპექტივა

"ჩვენ გვაქვს შანსი, გავხდეთ დემოკრატიული გარდაქმნების სერიოზული მოდელი მთელ რეგიონში," - ამბობს თამარ ბერუჩაშვილი.

A2

ეკონომიკა

სემეკი "თბილგაზის" ტარიფის გადასინჯვას გეგმავს

ირმა ქავთარაძე: "თუ სემეკ-ს რომელიმე სახელმწიფო უწყებას დაუქვემდებარებენ, ეს იქნება ძალიან ცუდი სიგნალი ინვესტორებისთვის."

A4

უცხოეთი

ისრაელის დაზვერვამ "ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერი გაანადგურა

ზუსტი სარაკეტო დარტყმის შედეგად კიდევ ერთი პალესტინელი ლიდერი მოკლეს.

A5

სამართალი

თბილისს ახალი პროკურორი ჰყავს

A7

ამინდი

	21/9	22/9
თბილისი	26	27
ქუთაისი	31	33
ბათუმი	31	32
სოხუმი	28	29
ფოთი	31	32
თელავი	25	27
ზუგდიდი	31	33
გორი	24	26
ახმეტა	25	27
ჭიათურა	28	29

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8300
ევრო	2.2230
გირვანქა სტერლ.	3.2682
რუბლი	0.0626

რამდენად სამართლიანად უქნევს თითს პარლამენტი საგარეო უწყების პირველ პირს?

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ პარლამენტის ბიუროს სამსჯავროზე გამოტანილ საკითხთა ნუსხამ დეპუტატებს განსაკუთრებული ვნებათაღელვის საბაბი თითქმის არ მისცა, რადგან განსახილველ კანონპროექტთა რაოდენობა არც თუ დიდი აღმოჩნდა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტში მომავალ სასესიო კვირას სრული სიწყნარე იქნება; მეტიც - როგორც გუშინ გაირკვა, პარალმენტის სპიკერატი და, პირადად, ნინო ბურჯანაძე აღმასრულებელი ხელისულების წარმომადგენლებს სერიოზულად მოსთხოვენ პასუხს მათ მიერ დაშვებულ "შეცდომებზე". გუშინ აშკარად გამოიკვეთა პარლამენტის სპიკერატის აგრესია საგარეო უწყების პირველი პირისადმი. ცალკე ნინო ბურჯანაძემ და ცალკე მიხეილ მაჭავარიანმა სალომე ზურაბიშვილი ღიად დაადანაშაულეს საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვაში. საუბარია იმ ფინანსურ პრობლემებზე, რომელიც საქართველოს გაერო-ში შეექმნა. არადა, პარლამენტარებს აშკარად დაავიწყდათ, რომ რამდენიმე თვის წინ ქვეყნის საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას ასეთი საშიშროების თაობაზე თავად სალომე ზურაბიშვილი აფრთხილებდა და კატეგორიულად მოითხოვდა ბიუჯეტში საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ არსებული ვალების

გაგრძელება A2 გვერდზე

არჩევნები 2004: ჯორჯ ბუში ჯონ კერის წინააღმდეგ

დავით ძიძიკაშვილი

მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს ამერიკაში არჩევნების ახალ ამბებს. ჯერჯერობით, პრეზიდენტი ბუში კვლავ წინ არის რამოდენიმე ფაქტორის გამო. წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯებმა უკვე ერთ მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ეს არჩევნები, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ყველაზე ძვირადღირებული არჩევნები იქნება ამერიკისა და, შესაძლოა, მსოფლიო ისტორიაში.

ბუშმა სახელი გაითქვა, როგორც პრეზიდენტმა, რომელიც აგრესიულია ტერორიზმის წინააღმდეგ და არ დაინდობს არც ერთ ქვეყანას და პიროვნებას, ვინც საფრთხეს შეუქმნის შეერთებული შტატების მოსახლეობას და მის საგარეო ინტერესებს. მყარი პრინციპებიდან და იდეოლოგიიდან გამომდინარე, რომელსაც ბუში არც მალავს, ბევრი ანალიტიკოსი პრეზიდენტს ნამდვილ ტეხასელ "კაუბოი" პოლიტიკოსად აღიქვამს - ამ ფაქტის გამოა, რომ ენდობიან კიდეც. ამასთან ერთად, ბევრ ამერიკელ ამომრჩეველს იზიდავს ბუშის პირდაპირი პასუხები სხვადასხვა საკითხებზე. მაგალითად, ბუშის იდეა და საკანონმდებლო პროექტი, რომელსაც პრეზიდენტი სთავაზობს საზოგადოებას, რათა შეაჩეროს ჰომოგამიური ქორწინება ამერიკაში. ბუშმა აღიარა, რომ იგი რელიგიური ადამიანია და მას სჯერა მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინებისა. თავის პოზიციას ბუში ხსნის ქორწინების ტრადიციის დაცვით, ხოლო კერი იფარგლება დიპლომატიური ენით და ამერიკელ საზოგადოებას პასუხობს, რომ ეს საკითხი შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გა-

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ძეგლთა დაცვა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

ბრძოლა საერთაშორისო გარანტიებისთვის

ნინო გომართელი

"საქართველოს მუდმივად უწევს ბრძოლა თავისი ადგილისთვის. საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა. ჩვენ არ ვართ მსოფლიო ყურადღების მთავარი ობიექტი, მაგრამ ბოლო პერიოდში ძალიან დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. "ვარდების რევოლუციამ" მოიტანა ის, რომ საქართველო ნათლად გამოჩნდა მსოფლიო რუკაზე", - განაცხადა გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მანვე, ნიუ-იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო პოლიტიკის იმ პრიორიტეტებზე ისაუბრა, რომლებსაც ქვეყნის მომავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

"პატარა ქვეყნისთვის ჯარსა და შიდა სტაბილურობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკური გარანტიები და საგარეო პოლიტიკური დაცვა; ამიტომ ის ხალხი, ვინც სვამს კითხვას, თუ რატომ დადის ასე ინტენსიურად პრეზიდენტი სხვადასხვა ქვეყანაში, ვერ ხვდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის საქართველოს დასაცავად ძალიან ინტენსიური საგარეო პოლიტიკის წარმოება," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, შეერთებულ შტატებში ამჟამინდელი ვიზიტი მიმდინარე წელს არის "ბოლო დიდი გასვლა, თუ არ ჩავთვლით ბალტიისპირეთის ქვეყნებში დაგეგმილ ვიზიტს" და ახლა მიღწეული წარმატებების განვითარებისთვის მუშაობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და სხვა უწყებებმა უნდა განაგრძონ.

მიხეილ სააკაშვილი ჟურნალისტებთან შეხვედრაზე შეეხო ყაზახეთში ჩატარებულ დსთ-ს სამიტსაც და აღნიშნა, რომ ეს ქართული პოლიტიკის სრულიად ახალი სახის წარმოჩენა იყო.

"ასე გახსნილად, ასე მეგობრულად საქართველოს ჯერ არ უსაუბრია. ჩვენმა ქვეყანამ პირველად ამოიღო ხმა და დაიცვა საკუთარი ღირსება. საქართველომ უნდა დაიცვას ჯანსაღი ბალანსი ჩრდილოეთსა და სამხრეთს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

ჩვენ ვიქნებით ყველა სახელმწიფოსთან ახლოს, ჩვენ ყველასთან გვჭირდება კარგი ურთიერთობა", -აღნიშნა მან.

მიხეილ სააკაშვილმა პრესკონფერენციაზე ასევე ახსენა საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და აღნიშნა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს რუსეთთან ურთიერთობების შემობრუნებისთვის.

დღეს მიხეილ სააკაშვილი სიტყვით გამოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 59-ე გენერალურ ასამბლეაზე, სადაც, მისი თქმით, ისაუბრებს საქართველოში არსებულ პრობლემებსა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხზე - ქვეყნის დაცვის საერთაშორისო გარანტიებზე.

წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი გამართავს მოლაპარაკებებს რუმინეთის, სლოვაკეთის, ესტონეთის და ლიტვის პრეზიდენტებთანაც.

აშშ-ში პრეზიდენტთან ერთად იმყოფება საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სუუამ-ის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში.

ახალი სკოლა-პანსიონი

ახალი სკოლა-პანსიონის პირველი დღე.

ახალი სასწავლო წლის დაწყების წინა დღეს, 19 სექტემბერს, ხაშურში გაიხსნა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი. სასწავლებელი საზეიმოდ გახსნეს დიმიტრი ყიფიანის შთამომავალმა თამარ მიქაძემ და მწერალმა დავით ტურაშვილმა. ამ სპეციალიზებულ სკოლაში, რომელიც 350 მოსწავლეზეა გათვლილი, სწავლება გაძლიერებული ინგლისურის სისტემით წარიმართება. სკოლა-პანსიონი აღჭურვილია უახლესი სასკოლო ინვენტარით, სასწავლო ტექნიკით, კომპიუტერებით, აქვს საკუთარი სპორტული დარბაზი და უზრუნველყოფილია გათბობით. სასწავლებლის 35 პედაგოგი სპეციალური კონკურსით შეირჩა. ტესტირება და ინდივიდუალური გასაუბრება მასწავლებლებმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებით დაკომპლექტებულ კომისიასთან გაიარეს. ნიჭიერი და ხელმოკლე ბავშვებისთვის, როგორც საზეიმო გახსნაზე გახდა ცნობილი, დაწესებულია შეღავათები. შეღავათებს უზრუნველყოფს ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელაშვილი. სკოლა-პანსიონი შპს "ევრამ" ააშენა. დეპუტატი სასწავლებლის შენობის მომსახურების, ელექტროენერგიის, გათბობისა და სხვა ხარჯების დაფარვასაც საკუთარ თავზე იღებს. მისი ხელშეწყობით 19 სექტემბერს ხაშურში ცენტრალური სკვერიც გაიხსნა.

24 საათი

"ეროვნულ ძალთა გაერთიანება - კონსერვატორებში" განხეთქილებაა

პოლიტიკურ მოძრაობა "ეროვნულ ძალთა გაერთიანება - კონსერვატორებში" განხეთქილებაა: პოლიტიკური საბჭოს 8 წევრი პარტიის თავმჯდომარეს - ზვიად ძიძიგურს დაუპირისპირდა.

"ეროვნულ ძალთა გაერთიანების" პოლიტიკური საბჭოს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ზვიად ძიძიგურის ბოლოდროინდელი განცხადებები (განსაკუთრებით კი, "მისი ე.წ. ოპოზიციური გამოსვლები და "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" საფუძველზე ახალი პარტიის ჩამოყალიბება) "პარტიის პოლიტსაბჭოს უმრავლესობასთან შეთანხმებული არ არის". პოლიტსაბჭო ძიძიგურის პოზიციას არ ეთანხმება და მისი განცხადებები "პარტიის გარეშე მდგარი კერძო პირის პირად მოსაზრებებად" მიაჩნია. აღნიშნულ განცხადებას ხელს აწერენ პარტიის თანათავმჯდომარე ბეჟან ჯავახია და პოლიტსაბჭოს წევრები: ვარლამ ფერაძე, გრიგოლ კალანდაძე, დავით მერკვილაძე, კახა გაგლოშვილი, ნუგზარ ქანთარია, ბადრი ელიაშვილი და ზურაბ მახაშვილი.

გრიგოლ კალანდაძის თქმით, პოლიტსაბჭოს სხდომას, რომელზეც აღნიშნული განცხადება მიიღეს, ზვიად ძიძიგური არ დასწრებია და მის შინაარსს პარტიის თავმჯდომარეს მედიის მეშვეობით შეატყობინებენ. არ არის გამორიცხული, რომ პოლიტიკურმა საბჭომ ზვიად ძიძიგური პარტიიდან გარიცხოს, თუმცა, კალანდაძის თქმით, ჯერჯერობით, ეს საკითხი არ განიხილება.

ინტერ-პრესი

გამსახურდიას დაბრუნება

პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ გუშინ ზუგდიდში ამომრჩევლებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას 500-მდე ადამიანი დაესწრო. პარტიის ლიდერმა საქართველოში ბოლო დროს ჩატარებულ არჩევნებზე ისაუბრა. მისი შეფასებით, ის ფაქტი, რომ მისმა პარტიამ შვიდპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა, რეალობას არ შეესაბამება და "ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოში დამყარებული წყობის შედეგია". კონსტანტინე გამსახურდია საქართველოში "ვარდების რევოლუციას" ვერ ხედავს და "ედუარდების რევოლუციაზე" საუბრობს.

ინტერ-პრესი

რამდენად სამართლიანად უქნევს თითს პარლამენტი საგარეო უწყების პირველ პირს?

პირველი გვერდიდან

გათვალისწინებას. მაშინ სალომე ზურაბიშვილმა საკმაოდ კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა პრემიერ-მინისტრის მიმართ.

დემოკრატთა ძველი გვარდია, მიხეილ მაჭავარიანის მეთაურობით, აქტიურად აკრიტიკებდა სალომე ზურაბიშვილს.

იური ლოგოდინის ფოტო

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მომავალ კვირას ქვეყნის უმაღლეს საკონმდებლო ორგანოში საგანგებოდ მოიწვევს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელსაც პარლამენტის წინაშე იმის ახსნა მოუწევს, თუ **"რატომ დარჩა საქართველო გაერო-ში ხმის უფლების გარეშე და რატომ შეიტყო ამის თაობაზე ქვეყნის პარლამენტმა ასე დაგვიანებით".** ამასთან, ნინო ბურჯანაძემ ისიც განაცხადა, რომ, **"უკიდურეს შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას გაერო-ში საწევრო დავალიანების ნაწილობრივი გადახდის დაწყება მაინც უნდა მოეხერხებინა".** საგულისხმოა, რომ, ნინო ბურჯანაძესთან ერთად, საგარეო საქმეთა მინისტრს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმაც შეუტია.

საგარეო საქმეთა მინისტრი ერთი წუთითაც არ იზიარებს იმ ბრალდებებს, რომელიც მისი მისამართით გამოითქვა. ნიუ-იორკში მყოფმა სალომე ზურაბიშვილმა ოპონენტებს შეახსენა თავისი განცხადება და ისიც დასძინა, რომ გადასახედია ის თანხა, რომელსაც გაერო ასახელებს. იგი იმედოვნებს, რომ მიხეილ სააკაშვილი და კოფი ანანი შეხვედრისას ამ საკითხსაც შეეხებიან.

მეორე საკითხი, რომელიც ნინო ბურჯანაძისა და მიხეილ მაჭავარიანის გაღიზიანებას იწვევს, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელის პარლამენტში გამოუცხადებლობაა. ერთი თვის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მისი კანდიდატურა ვატიკანში საქართველოს სრულუფლებიან და საგანგებო ელჩის თანამდებობაზე დაასახელა, თუმცა დღემდე ბაგრატიონ-მუხრანელმა პარლამენტში მისასვლელად ვერ მოიცალა. შესაბამისად, საპარლამენტო კომიტეტებმა და ფრაქციებმა მისი გაცნობა ვერ მოახერხეს. გუშინ ამ გარემოებით გაღიზიანებულმა პარლამენტის თავმჯდომარემ პირდაპირ განაცხადა, რომ თუკი ელჩობის კანდიდატი კვლავაც ვერ მოიცლის პარლამენტისთვის, იგი თავად დასვამს საკითხს ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელის კანდიდატურის მოხსნის თაობაზე. **"თუ ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელი პარლამენტის ფრაქციებთან შესახვედრად არ ჩამოვა, მე მის კანდიდატურას ავტომატურად მოვხსნი,"** - ასეთი კატეგორიული ტონი ჰქონდა პარლამენტის თავმჯდომარეს.

რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, როგორც ვარაუდობენ, სერიოზული დაპირისპირებებია მოსალოდნელი რამდენიმე კანონპროექტის განხილვის დროს. ეს, პირველ რიგში, მაუწყებლობის, საერთო სასამართლოებისა და პატიმრობის შესახებ კანონპროექტებს ეხება.

იმის გამო, რომ პარლამენტში ჯერაც არ არის შესული კანონპროექტი განათლების შესახებ, მის ირგვლივ დებატები დეპუტატებს არ დაუწყიათ, თუმცა არ არის გამორიცხული, მიმდინარე კვირის განმავლობაში სამინისტრომ საკანონმდებლო ორგანოს ამ რეფორმის ძირითადი პრინციპები გაუმხილოს. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი კომიტეტი დიდი გულმოდგინებით გაეცნობა რეფორმების თაობაზე განათლების სამინისტროს ხედვას.

გუშინვე გაირკვა, რომ პარლამენტი საგადასახადო კოდექსის განხილვას ოქტომბრის ბოლო რიცხვებში დაიწყებს. მანამდე კოდექსის პროექტზე საპარლამენტო კომიტეტები და დამოუკიდებელი ექსპერტები იმუშავებენ. აქვე დავძენთ, რომ პარლამენტში შეიქმნება საგადასახადო კოდექსზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც, ეკონომიკური პროფილის კომიტეტებთან ერთად, ამ პროექტს დახვეწს.

უდავოა, რომ პარლამენტში საგადასახადო კოდექსის განხილვა საკმაოდ ხმაურიანად და ემოციურად წარიმართება. ამის ნიშნები პარლამენტში უკვე გუშინ გამოიკვეთა. როგორც ბიუროს სხდომაზე პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა განაცხადა, მასმედიის წარმომადგენლები ახალ საგადასახადო კოდექსში გაზეთისა და წიგნის ბეჭდვაზე საგადასახადო შეღავათების გაუქმებას აპროტესტებენ.

"ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ყველაფერს ვიღაც უხილავი რეჟისორი ხელმძღვანელობს, რომელიც ხალხს განგებ აბუნტებს. ვფიქრობ, არის შესაძლებლობა, მთავრობასთან ერთად, გაზეთისა და წიგნის ბეჭდვაზე შეღავათების აღდგენის შესახებ ვიმსჯელოთ," - აღნიშნა გრიგალაშვილმა და დასძინა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გამომცემლობაზე საგადასახადო შეღავათები მოქმედებს.

დაბოლოს: პარლამენტი მიმდინარე კვირას "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის განხილვას დაიწყებ.

ევროკავშირთან პარტნიორობის პერსპექტივა

ლელა მჭედლიძე

"ევროკავშირში უკვე კარგად აცნობიერებენ, რომ საქართველოში მოუგვარებელი კონფლიქტები, არსებული უკონტროლო ტერიტორიები დიდ პრობლემას წარმოადგენს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ევროპისთვისაც. იმედი გვაქვს, აღნიშნული საკითხით ევროკავშირი კიდევ უფრო აქტიურად დაინტერესდება," - აღნიშნა ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ევროკავშირის წევრობა რეფორმების წარმატებაზეა დამოკიდებული - ასე ფიქრობს თამარ ბერუჩაშვილი.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ევროკავშირის ჩვენით დაინტერესებას, ბერუჩაშვილის აზრით, ევროკომისიის პრეზიდენტის რომანო პროდის ვიზიტიც მოწმობს. ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივაში საქართველოს ჩართვით უნდა გაიზარდოს სამეცნიერო, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროში ევროპასთან თანამშრომლობა, საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი და ა.შ. ძალზე სასარგებლო იქნება ევროპასთან ასიმეტრიული სავაჭრო რეჟიმის შემოღებაც, რაც ევროპის ბაზარზე ქართული პროდუქციის უფრო ადვილად შეღწევას გულისხმობს. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, იმის თქმა, თუ როდის გახდება ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის წევრი, დაზუსტებით რთულია, რადგან ეს, უმთავრესად, საქართველოში მიმდინარე რეფორმების წარმატებულობაზეა დამოკიდებული. **"ჩვენ გვაქვს შანსი, გავხდეთ დემოკრატიული გარდაქმნების სერიოზული მოდელი მთელ რეგიონში. იმედი გვაქვს, თუ რეფორმები წარმატებით განხორციელდა, საქართველოს ყველანაირი შანსი ექნება, ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდეს,"** - მიაჩნია ბერუჩაშვილს.

14 სექტემბერს, ბრიუსელში გამართულ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მე-6 საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისას, საქართველოს სახელმწიფო მინისტრს კიდევ ერთხელ დაუდასტურეს, რომ ევროკავშირი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს. გარდა ამისა, ბერუჩაშვილის განცხადებით, გადაწყდა, რომ ევროკავშირი, რუსეთთან ურთიერთობისას, მუდმივად წამოწევს საქართველოს საკითხს.

ბერუჩაშვილის თქმით, უახლოს მომავალში მომზადდება ევროკავშირთან ურთიერთობის ახალი სამოქმედო გეგმა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. ამასთან, არ არის გამორიცხული, ახლო მომავალში ევროკავშირის ეგიდით საქართველოში, კერძოდ - ლიკანში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა ფორუმი ჩატარდეს.

20 სექტემბერი ფოთში

როგორც მთლიანად ქვეყანაში, 20 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი ფოთშიც დაიწყო. დაიწყო იგი ამაღლებული განწყობითა და საზეიმო ღონისძიებებით. ქალაქის თხუთმეტივე სკოლაში გაიმართა მიტინგები, აღიმართა ეროვნული დროშა და აჟღერდა საქართველოს ჰიმნი; სკოლებში მოეწყო სამაჩაბლოს ტრაგიკული მოვლენების ამსახველი სტენდები; პირველკურსელებს უფასოდ გადაეცათ სასწავლო ნივთები. ფოთელ მოსწავლე-ახალგაზრდობას ახალი სასწავლო წლის დაწყება ათენის ოლიმპიურმა ჩემპიონებმაც მიულოცეს.

წლეულს ქალაქის სასკოლო დაწესებულებებში ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 300 ათასამდე ლარის სარემონტო (?) კოსმეტიკური სახის სამუშაოები ჩატარდა - ეს, რაც შეეხება 20 სექტემბრის საზეიმო მხარეს.

ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს ქალაქში დანაშაულთა მთელი სერია დაფიქსირდა. 19 სექტემბერს, გვიან ღამით, გაიქურდა ქალაქის კუნძულის უბნის მართვის ტერიტორიული ორგანოს განათლების განყოფილების ოფისები, პირველი და მეხუთე საშუალო სკოლები. ოფისებიდან წაღებულია ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები, უწყების მრგვალი ბეჭედი და შტამპი.

როგორც განათლების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ კეკელია ამბობს, კაბინეტებში მოფანტულია საქმიანი ქაღალდები, დოკუმენტაცია სათითაოდაა გადასინჯული და დაყრილი. იგივე განაცხადა კუნძულის უბნის ტერიტორიული მართვის ორგანოს უფროსმა გიორგი ჯანჯღავამ. სამსახურების ხელმძღვანელთა განმარტებით, ანალოგიურ ფაქტებს ადრე ადგილი არ ჰქონია. არც წინასწარ საეჭვოდ დაინტერესებულა ვინმე მათი საქმიანობით.

პირველ სკოლაში ჩალეწილია ფანჯრები, გატეხილია კლას-კაბინეტები. დარბეულია მეხუთე საშუალო სკოლა, რომელიც ფართითა და მოსწავლეთა კონტინგენტით ქალაქში ყველაზე დიდია. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ ქილიფთარი ამბობს: "დილით მთელი ეზო ქაღალდებით მოფენილი დამხვდა. ფრიადოსან მოსწავლეთა სტენდზე მინა ჩამსხვრეულია, ფოტოები დახეულია და ეზოშია დაყრილი. ილია ჭავჭავაძის ძეგლზე ფანჯრიდან ჩამოგლეჯილი ფარდა ეფარა. სასწავლო ნივთებს სკოლის ეზოსა და მიმდებარე ქუჩებში ვაგროვებდით. რამდენიმე საკლასო ოთახის საკეტი ნანვალები და გამოგლეჯილია. კიბეებსა და კედლებზე წარწერილი იყო "კმარა".

ვერც ერთი ხელმძღვანელი ეჭვითაც ვერ აკეთებს მინიშნებას. როგორც წესი, არც შენობათა დარაჯს შეუნიშნავს რაიმე. დამნაშავეთა ხელწერა კი ოთხივე დაწესებულებაში იდენტურია. ინვენტარისა და საკანცელარიო ნივთების გარდა არაფერია დაკარგული. თუმცა, სკოლებში კომპიუტერებთან ერთად სხვაც ბევრი იყო ფასიანი.

მომხდარზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი ალექსანდრე პატარაია საქმის მოკვლევამდე კომენტარს არ აკეთებს. თუმცა, არ გამორიცხავს, რომ დამნაშავეებს, მატერიალურის გარდა, პირადი ინტერესიც ამოძრავებდათ.

ქეთევან ჯაკობია, ფოთიდან

ორი სიტყვით

ინტერ-პრესი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე 23 სექტემბერს ერთდღიანი ოფიციალურ ვიზიტით უკრაინაში გაემგზავრება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, იგი კიევში მონაწილეობას მიიღებს სუუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის დაფუძნების ოფიციალურ ღონისძიებაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველო არ აპირებს, აშშ-სგან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა "პეტრიოტ-2" შეიძინოს", - აცნობა ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ. ამით მინისტრმა უარყო რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, ბარამიძის ვიზიტის მიზანი აშშ-ში რუსული სამხედრო საფრენი საშუალებების ჩამოსაგდებად "პეტრიოტ-2" -ის შეძენაა.

"პეტრიოტ-2"-ის შეძენას დასჭირდება საქართველოს ბიუჯეტის ნახევარი, ეს კი დიდი ფუფუნებაა. თუმცა, ქვეყანა ისწრაფვის, შექმნას ეფექტური ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა," - აღნიშნა მინისტრმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აშშ-ს განზრახული აქვს, რომ 2005 ფინანსური წლისთვის საქართველოს "ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის" პროგრამა 15 მლნ დოლარით დაუფინანსოს. ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ს მთავრობის საზღვარგარეთულ ოპერაციებში 2005 წლის საბიუჯეტო ხარჯების კანონპროექტში, რომელიც განიხილება აშშ-ს სენატში. ანალოგიური საბიუჯეტო კანონპროექტი ივლისის ბოლოს მოწონებულ იქნა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ.

გასულ კვირას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ტერორიზმის საშიშროებასთან ბრძოლის პროგრამის ფარგლებში აშშ-მ საქართველოს, საერთო ჯამში, 47 მლნ დოლარის დახმარება გაუწია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სახელისუფლებო პარტია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატებმა" ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 24 ოქტომბრის დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში წარადგინა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ყოფილი გამგებელი თეიმურაზ ჭეიშვილი.

ცესკო-ს ინფორმაციით, საინიციატივო ჯგუფის მიერ დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილია ბათუმის ბაზარში არეულობის ორგანიზებაში ბრალდებული, ამჟამად წინასწარ პატიმრობაში მყოფი, "საქართველოს ერთიანობის კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი ჯუმბერ თავართქილაძე.

"ლეიბორისტული პარტიის" მიერ დიდუბის რაიონის მაჟორიტარად დასახელებულია ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პაატა ჯიბლაძე, თუმცა ლეიბორისტებს მისი კანდიდატურა ცესკო-ში ოფიციალურად ჯერ არ წარუდგენიათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სახელისუფლებო პარტია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატებმა" 24 ოქტომბრის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში ზესტაფონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატად წარადგინა ზესტაფონის გამგებლის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი თეიმურაზ ცერცვაძე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ზესტაფონის რაიონის პოლიციამ დააკავა სოფელ ალავერდში მცხოვრები, 22 წლის ა.ჩ., რომელიც 7 სექტემბერს, სხვა პირთან ერთად, ყაჩაღურად თავს დაესხა ზესტაფონში მცხოვრებ ნუნუ ჩიტორელიძის ოჯახს. დაკავებისას ა.ჩ.-ის ბინიდან ამოღებულია 15.5 გრამი მარიხუანა და 1.6 გრამი კანაფის თესლი. დადგინდა, რომ მან 1998 წლის 23 დეკემბერს გაქურდა ზესტაფონში მცხოვრებ ჟუჟუნა ხუჯაძის მაღაზია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამძებრო სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დაადგინეს, რომ ავტომანქანა "ბმვ"-525, რომელიც გატაცებული იქნა 2003 წლის მარტში, უცნობი პირებისგან შეიძინა ქობულეთში, სანატორიუმ "ჩირაღდანში" მცხოვრებმა, ნასამართლევმა, 40 წლის ვ.თ., რომელმაც გადაუკეთა საიდენტიფიკაციო ნომერი, მტკიცებულების ფალსიფიკაციის გზით გაიარა აღრიცხვა და შემდგომ მიჰყიდა ლამზირა შამფრიანს. ავტომანქანა ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს დედაქალაქში მოქმედი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, 22 წლის მ.მ. მეტსახელად "მედუზა", რომლისგანაც ამოიღეს მცირეკალიბრიანი გადაჭრილი შაშხანა ხუთი ვაზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციამ სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად მეტროსადგურ "ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს 44 წლის ვარლამ ჭუმბრაძე, რომელსაც დაკავებისას აღმოაჩნდა პისტოლეტი "ჩზ" ერთი მჭიდით და სამი ვაზნით. დადგინდა, რომ აღნიშნული ტაბელური იარაღი მან 17 სექტემბერს მოჰპარა შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილეს გია აბულაძეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ღონისძიება "ხაფანგი-2004"-ის მე-2 ეტაპის გატარებისას მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა ლილოს ბაზრობა "ნაცარქექიას" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს საპატიმრო ადგილებიდან გაქცევისთვის და ქურდობისთვის ძებნილი, 49 წლის ნოდარ სელიანოვი. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

კომუნისტურიდან დემოკრატიულისკენ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობა ტოტალური კონტროლის ხასიათს ატარებდა. უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლასთან ერთად, ისინი კონტროლს უწევდნენ სახელმწიფოში მიმდინარე ყველა პროცესს, ავლენდნენ და დევნიდნენ დისიდენტებს; მოკლედ, მათი საქმიანობა არსებითად რეპრესიულ ხასიათს ატარებდა და ქვეყნის ხელისუფლება ამას საზოგადოებაზე კონტროლისთვის ეფექტურად იყენებდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ეტაპზე უშიშროების ორგანოების გარეგნული სახისა და მისი საქმიანობის შინაარსის ძირეული შეცვლის რამოდენიმე მცდელობა განხორციელდა. თუმცა, საბოლოოდ მაინც გამოაშკარავდა, რომ ეს მხოლოდ კოსმეტიკური ღონისძიებები გახლდათ და უშიშროების სამინისტროც ყოველთვის იყო ხელისუფლების გაურკვეველ პოლიტიკურ ორიენტაციაზე მყარად "მიბმული" და, შესაბამისად, არა კონკრეტული უფლება-მოვალეობების მქონე უწყება, არამედ არამყარი ორიენტირების მქონე ინსტიტუტი, რომელსაც, სხვა ფაქტორების გარდა, უდიდესი ზიანი მიაყენა გაუაზრებელმა საკადრო პოლიტიკამ. ამის ნათელ მაგალითად თვით უწყების პირველ პირთა ჩამოთვლაც კი საკმარისი გახლავთ. მათი რიცხვი მცირე ნამდვილად არ არის - ბოლო ათი წლის მანძილზე უშიშროების სამინისტრომ შვიდი მინისტრი გამოიცვალა და მათგან ორიოდე თუ აცდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას (სხვა საკითხია, რამდენად აგებინეს მათ პასუხი ჩადენილის გამო).

ყოვლად გაუმართლებლად გაიზარდა სპეცსამსახურების თანამშრომელთა რაოდენობა. პირველ რიგში, ეს მოხდა საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი წმინდა სამხედრო და სპეციალური დანიშნულების დანაყოფების შექმნის ხარჯზე, რასაც უშიშროების სამსახურის ცალკეული ხელმძღვანელების პირადმა პოლიტიკურმა ამბიციებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. საბოლოოდ კი, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ყველაზე კარგად მომზადებული სპეცდანიშნულების დანაყოფების შენარჩუნება სახელმწიფომ ვერ შეძლო.

ასეა თუ ისე, თანდათანობით უშიშროების სამსახურმა შეიძინა ისეთი ფუნქციები, ხოლო მის საქმიანობაში ისეთი "თამაშის წესები" დამკვიდრდა, რომლებმაც იგი გასამხედროებულ სამართალდამცავ ორგანოდ აქცია, რომელიც ისევე გახლდათ წლების მანძილზე ჩართული კორუფციულ გარიგებებში, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო.

მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების სამინისტროს ფუნქცია ზოგადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს - სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა, რის განსახორციელებლადაც ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების, მათთან დაკავშირებული ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენა, მათი თავიდან აცილება და აღკვეთა წლების მანძილზე ამ უწყებას არაერთი სხვა მოვალეობა "მიაბეს", რაც, მწირი დაფინანსების ფარგლებში, ძირითადი საქმიანობის პარალიზების კიდევ ერთ მიზეზად იქცა.

ყოველივე ამის პარალელურად კი, უშიშროების, როგორც სხვა დანარჩენი სამართალდამცველი ორგანოების, რეფორმირების აუცილებლობაზეც წლების მანძილზე მიმდინარეობდა საუბარი. არადა, დიდი სჯა-ბაასი ამას არც სჭირდებოდა - ქართულ სპეცსამსახურებს კომუნისტური ეპოქიდან ჰქონდათ იმის მაგალითი, როგორ არ უნდა ემუშავათ, ხოლო, როგორ უნდა მუშაობდეს უშიშროების ორგანოები, მსოფლიოში ამის არაერთი მოდელია შემუშავებული. და მაინც, რეფორმაზე მუდმივ ლაპარაკს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. შარშან რეფორმის კონცეფცია უკვე მზად გახლდათ და, ამ კონცეფციის თანახმად, უშიშროების სამინისტროს უნდა ჩამოშორებოდა სამინისტროს სტატუსი და, სამოქალაქო რელსებზე გადასვლისა და საინფორმაციო-ანალიტიკური ფუნქციების გაძლიერების კვალდაკვალ, სამსახურად გადაკეთებულიყო. ეს კონცეფცია ცხოვრებაში ჯერ არ გატარებულა, თუმცა დაახლოებით იგივე პოსტულატები (იმ განსხვავებით, რომ სამინისტროს, ჯერჯერობით, ეს სტატუსი რჩება) ჩაიდო რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსული მთავრობის პროგრამაშიც. ამ პროგრამის შედგენის შემდეგ 7 თვე გავიდა. ამ დროის მანძილზე უშიშროების სამინისტრომ ორი ხელმძღვანელი გამოიცვალა და არც ერთ მათგანს რაიმე წინააღმდეგობა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების მიმართ არ გამოუხატავს. რა თქმა უნდა, რეფორმირების პროცესი და რეალური ცვლილებების გატარება მარტივი ნამდვილად არ იქნება იმ სტრუქტურაში, რომლის მუშაობის სპეციფიკა, პირველ რიგში, აგენტურულ საქმიანობას ითვალისწინებს და ამ საქმიანობის ჩატარება ადამიანის უფლებების დაცვის გათვალისწინებით კი რთული, მაგრამ აუცილებელი საქმეა.

გაკეთებული ბევრია, გასაკეთებელი - უფრო მეტი

რა ცვლილებებია უკვე განხორციელებული უშიშროების სტრუქტურებში ვარდების რევოლუციის შემდგომ? ამის თაობაზე "24 საათს" ინფორმაცია მიაწოდა უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ.

გიგი უგულავა: "მას შემდეგ, რაც შევარდნაძის ხელისუფლება შეიცვალა, ძალზე ბევრი რამ მოხდა უშიშროების სამინისტროშიც."

გოგიჩა ბუხაიძის ფოტო

გიგი უგულავას თქმით: "მას შემდეგ, რაც შევარდნაძის ხელისუფლება შეიცვალა, ძალზე ბევრი რამ მოხდა უშიშროების სამინისტროშიც. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ მოხდა სახელმწიფო დაზვერვის სისტემის სრული აბსორბაცია უშიშროების სამინისტროში. მეორე - მოხდა ის, რის შესახებაც კარგა ხანია საუბრობდნენ, მაგრამ რეალურად აქამდე არავის არაფერი გაუკეთებია. კერძოდ, საუბარია კორუფციის ძირითად წყაროზე - ეკონომიკურ დანაშაულზე. ამ დანაშაულთან ბრძოლის ფუნქციები უშიშროების სამინისტროს საბოლოოდ ჩამოშორდა. მნიშვნელოვანია, რომ მოხდა სრული საკადრო ოპტიმიზაცია; მეტიც, წლის ბოლომდე კადრების რაოდენობა დავა იმ ნიშნულამდე, რომელიც ოპტიმალურია ამ ეტაპისთვის.

აგრეთვე მოხდა მძლავრი ტექნიკური მოდერნიზაცია. ჩვენ რომ სამინისტროს სათავეში მოვედით, აქ კომპიუტერი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ახლა კი გვაქვს საერთო მონაცემთა ბაზა, სერვერი, ოპტიკური კაბელი, უკვე შეძენილია 300 კომპიუტერზე მეტი და დაგეგმილია რეგიონებისთვის საერთო შიდა ქსელის შექმნა. ასე რომ, კომუნიკაცია, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანი რამ გახლავთ უშიშროების სტრუქტურებისთვის, მთლიანად გადავა ელექტრონულ დაშიფრულ კავშირზე.

ამასთან ერთად, დაგეგმილია სტრუქტურის დემილიტარიზაცია, პოლიციური ფუნქციების ნელ-ნელა ჩამოშორება და დაზვერვით საქმიანობაზე ძირითადი აქცენტის გადატანა. უშიშროების სისტემაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების თავიდან ასაცილებლად შეიქმნა ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც ჩვენს იზოლატორში სრულიად დამოუკიდებელ ანკეტირებას აწარმოებს, 24 საათის მანძილზე, ნებისმიერ დროს შესაძლებელია იქ შესვლა და ინსპექტირება.

ამასთანავე, დამეთანხმებით, ძალზე მნიშვნელოვანია ახალი კადრების მომზადება. სწავლების ის სისტემა, რომელიც აქამდე არსებობდა, დროში გაწელილი და მოუქნელი გახლდათ. ახლა კი, უკვე გაუქმდა უშიშროების აკადემია და დაზვერვის სამმართველოს სასწავლო ცენტრი. მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა მობილური სასწავლო ცენტრი, სრულიად თანამედროვე ტიპის პროგრამებით აღჭურვილი. იქ 15 სექტემბრიდან დაიწყო სასწავლო პროცესი.

რეფორმაში არ ჩაიწერება, მაგრამ მაინც ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმავე "მოდულის" შენობის რემონტი. იქ ახლა ყველაფერი გაწკრიალებულია და, როგორც იქნა, თანამშრომლებს აღარ უხდებათ ტუალეტისა და ბორშის სუნის ნაზავში მუშაობა.

ეს არ გახლავთ სრული ჩამონათვალი იმისა, რისი გაკეთებაც უკვე მოესწრო, მაგრამ კიდევ უფრო მეტის გაკეთება გვსურს".

"სპეცსამსახური ისეთივეა, როგორიც თავად სახელმწიფო"

ის, რომ უშიშროების სამინისტროში ძირეული, ფუნქციონალურ-ინსტიტუციონალური რეფორმა არ მიმდინარეობს, ექსპერტების უკმაყოფილებას იწვევს. თავის დროზე უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ნამუშევარი, ამჟამად პარლამენტის წევრი დავით ბაზღაძე, რომელსაც დეტალურად აქვს გაწერილი უშიშროების სისტემის რეფორმირების კონცეფცია, მიიჩნევს, რომ უშიშროების სამინისტროს დაწმენდა ზედმეტი ფუნქციებისგან და საჭირო ფუნქციების ზედმიწევნით დაკონკრეტება აუცილებელია, რათა ამ უწყებამ თავისი მოვალეობა შეასრულოს - დაიცვას სახელმწიფო უსაფრთხოება.

"პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, რა ტიპის სპეცსამსახური გვჭირდება, - ამბობს დავით ბაზღაძე, - **აქსიომაა, რომ რა ტიპის სახელმწიფოც არის, ისეთივეა სპეცსამსახური. თუ ვაღიარებთ ლიბერალურ ფასეულობებს და ვდგავართ დემოკრატიის გზაზე, სპეცსამსახურებიც შესაბამისად უნდა მოეწყოს, ანუ უარი ითქვას მუშაობის ტოტალურ ფორმებზე - მოსახლეობის ყველა ფენებში, ყველა სახის ინფორმაციაზე. უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, რაზე ვმუშაობთ. შესაბამისად, სპეცსამსახურს უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი დანიშნულება, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები. აქედან იწყება და ამის შესასრულებლად კეთდება ყველაფერი.**

სპეცსამსახურების რაობა ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს, ანუ ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რა სურს მას სპეცსამსახურისგან იმ მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც სახელმწიფო ისახავს; ანუ სპეცსამსახურის მოვალეობაა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანარჩენი კი ხელისუფლებამ უნდა დასახოს: რა არის ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები, რა საფრთხეები ემუქრება ამ ინტერესებს, საიდან მოდის ეს საფრთხე, ვისგან და როგორ უნდა ვებრძოლოთ, როგორ უნდა გავანეიტრალოთ ეს საფრთხეები. დღეს კი სპეცსამსახურებში სხვა ორგანოების უამრავი ფუნქციაა აღრეული. სხვათა შორის, ამ ფუნქციების ჩამორთმევის შესახებ სამთავრობო პროგრამაშიც წერია.

პირდაპირ ვთქვათ, ნებისმიერი ორგანო არსებობს მისთვის მინიჭებული ფუნქციების შესასრულებლად. ადამიანი თუ ვერ ხედავს, ვერც ივლის - ცხვირ-პირს მოიმტვრევს. ასევეა სპეცსამსახური, რომელსაც ფუნქციები არ აქვს სწორად განსაზღვრული და დაკონკრეტებული."

პოსტრევოლუციური მოთხოვნები ნელი ტემპით სრულდება

საქართველოს პოსტრევოლუციურმა მთავრობამ თავისი მოღვაწეობის დაწყების გარიჟრაჟზე საკუთარი მოქმედების გეგმა დასახა. საკმაოდ დეტალურად გაწერილ სამთავრობო პროგრამას "ხმამაღალი" სახელიც ეწოდა: "ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით". ამ გზაზე კი, არც გახლავთ გასაკვირი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო უშიშროების პრობლემების მოგვარება გახლდათ, რისთვისაც აუცილებლად იქნა მიჩნეული უშიშროების სამინისტროს რეფორმირება. ქვემოთ სამთავრობო პროგრამის სწორედ ის ამონარიდი მოგვყავს, რომლის მიხედვითაც უშიშროების სისტემის რეფორმა უნდა ჩატარებულიყო.

ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ

სამთავრობო პროგრამით, პირველ რიგში, უშიშროების სამინისტროს მუშაობის პრიორიტეტები განისაზღვრა.

"დემოკრატიულ საზოგადოებაში უშიშროების სამინისტროს მისია სახელმწიფო უშიშროების პოლიტიკის შემუშავება უნდა იყოს. იგი პასუხისმგებელია ეროვნული უშიშროების მიმდინარე საფრთხეების იდენტიფიცირებაზე, მათ პროგნოზირებაზე, აღკვეთასა და შეკავებაზე, ხოლო საფრთხის მატერიალიზების შემთხვევაში - სწრაფ რეაგირებასა და ნეიტრალიზებაზე," - ძირითადი ფუნქციების ჩამოყალიბების შემდეგ კი იმავე პროგრამაში ამ ფუნქციების განხორციელების გზები დაისახა:

"უშიშროების სამინისტროს ჩამოსცილდება სამართალდამცავის ფუნქცია და ჩამოყალიბდება სამოქალაქო უწყებად. მისი ძირითადი ფუნქცია სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება, შეფასება და გაანალიზება, კონტრსადაზვერვო, კონტრტერორისტული აქტივობის, სპეციალური ოპერაციებისა და ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობათა განხორციელება იქნება.

უშიშროების სამინისტროს წამყვანი ფუნქცია კრიტიკულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირება და ამ მიზნით ყველა სხვა უწყებაში არსებული ტაქტიკური, ოპერატიული, სადაზვერვო და ანალიტიკური რესურსებისა და გამოცდილების აკუმულირება და ინტეგრირება იქნება".

რა უნდა გაკეთებულიყო, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების გათვალისწინებით შესრულებულიყო? სამთავრობო პროგრამაში ამისათვის რიგი ღონისძიებების გატარება იქნა დასახული, კერძოდ:

"უშიშროების სამინისტრო უნდა გათავისუფლდეს ფინანსურ და ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის ფუნქციისაგან. იგი ეკონომიკური სუბიექტისთვის არ უნდა წარმოადგენდეს დამატებით მაკონტროლებელ ორგანოს," - ეს მოთხოვნა, შეიძლება ითქვას, ერთადერთია, რაც ამ პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანათაგან ამ ეტაპზე უკვე შესრულებულია, რასაც ვერ ვიტყვით პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ ღონისძიებაზე. **"უშიშროების სამინისტრო უნდა გათავისუფლდეს პოლიციური და რეპრესიული ფუნქციებისაგან. სამართალდამცველი უწყებიდან ის უნდა გარდაიქმნას საინფორმაციო ანალიტიკურ სამსახურად. დემოკრატიულ საზოგადოებასა და სამართლებრივ სახელმწიფოში კატეგორიულად დაუშვებელია, რომ სპეცსამსახური იმავდროულად სისხლის სამართლებრივი დევნის ფუნქციით იყოს აღჭურვილი,"** - მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო პროგრამაში ასეთი ცვლილების განხორციელება ჩაიდო, არავისთვის არის საიდუმლო, რომ უშიშროების სამინისტრო არა მარტო გამოძიების უფლებას ინარჩუნებს, არამედ ყველა სახის დანაშაულის აღკვეთასაც იღებს დროდადრო საკუთარ თავზე და ორი დღის წინ, არც მეტი - არც ნაკლები, მერიის ბუღალტრის დარღვევებსაც გამოეხმაურა. არადა, სამთავრობო პროგრამაში ისიც თვალნათლივ ეწერა, რომ **"უნდა აღმოიფხვრას უშიშროების სისტემის დუბლირება და კომპეტენციის გადაფარვა სხვადასხვა, კერძოდ, შსს-სა და ფინანსურ პოლიციასთან"**.

თავად უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას თქმით, ყველა ამ ცვლილების გატარება უკვე დაწყებულია და ეტაპობრივად მიმდინარეობს.

შედარებით გრძელვადიანი პროექტია უშიშროების სამინისტროს დემილიტარიზაცია, მით უმეტეს, რომ სამთავრობო პროგრამაც ამ ღონისძიების გატარებას თანდათანობით ითვალისწინებდა.

ასევე სურვილის დონეზეა სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული, ანალიტიკური და ოპერატიული კადრების სტატუსის განსაზღვრა და გამიჯვნა. კვლავაც პრიორიტეტად რჩება ადმინისტრაციული და ანალიტიკური ტიპის თანამშრომელთათვის სამხედრო წოდებების ინსტიტუტის გაუქმება, რაც უშუალოდ უკავშირდება სამინისტროს სამოქალაქო რელსებზე გადასვლას.

ეს კი ჯერ მხოლოდ იდეის დონეზე არსებული გეგმა გახლავთ და ამ ეტაპზე მისი გატარებისგან თავშეკავებას შესაბამისი არგუმენტებით ხსნიან.

რანგირების სისტემის შემოღება

უშიშროების რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც წლების მანძილზე იდგა უშიშროების სამინისტროში, კადრები გახლდათ. ეს ის სფეროა, რომლის მოგვარებაც რევოლუციის შემდეგ ნამდვილად დაიწყო. სამინისტროში, ახალი ხელმძღვანელობის მისვლასთან ერთად, ახალი კადრები გამოჩნდნენ. მათ ის ძველი, კომუნისტურ წარსულში გამოწრთობილი თანამშრომლები ჩაანაცვლეს, რომლებიც წლების მანძილზე ჩართულნი იყვნენ მუშაობის კორუფციულ სტილში. ამ დადებით ტენდენციას უარყოფითი მხარეც აღმოაჩნდა - ახალგაზრდა კადრებს გამოცდილება აკლიათ, წინამორბედთა გამოცდილებას კი მიუღებლად მიიჩნევენ. თუმცა, ზოგიერთი რამის მათგან სწავლაც შეიძლება. არის კიდევ ერთი მომენტი - სახელმწიფო უშიშროების სამსახურში ახალი კადრების შენარჩუნებას შესაბამისი ღონისძიებების გატარებაც დასჭირდება. სწორედ ამ თემაზე მოაწყო გუშინ დისკუსია კონრად ადენაუერის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობამ. სასტუმრო "მარიოტში" შეკრებილი უშიშროების სამინისტროს, დაზვერვის დეპარტამენტის, უშიშროების საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად მსჯელობდნენ თემაზე "საქართველოს სპეცსამსახურების რეფორმები: რანგირების სისტემა". დისკუსიის მონაწილენი ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ სპეცსამსახურში თანამშრომელთა ხშირი როტაცია, მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ძალზე მძიმე შედეგების მომტანი შეიძლება იყოს. შესაბამისად, კადრების ადგილზე დამაგრებისთვის საჭიროა მათთვის შესაბამისი მოტივაცია. სწორედ ამ მოტივაციის შექმნის საფუძველს წარმოადგენს რანგირების სისტემა, რომელიც თითქმის მთელ განვითარებულ მსოფლიოში მოქმედებს; მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებში 14-საფეხურიანი სისტემა ანუ 14 რანგი არსებობს. მე-14 რანგი მინიჭებული აქვს სპეცსამსახურის ხელმძღვანელს ხოლო მეცამეტე რანგები კი მის მოადგილეებს.

საქართველოში ჯერ კიდევ იდეის დონეზე არსებული რანგირების სისტემა დაახლოებით იმეორებს ამერიკულ მოდელს და ასე გამოიყურება:

სპეცსამსახურის ანალიტიკური, ოპერატიული და საინჟინრო-ტექნიკური დანაყოფების თითოეულ თანამშრომელს, ხელმძღვანელობის ჩათვლით, მინიჭებული ექნება რანგი, რომელიც ითვალისწინებს მის განათლებას, პროფესიონალიზმს, გამოცდილებასა და მუშაობის კონკრეტულ შედეგებს. თანამშრომლის მატერიალურ ანაზღაურებას ძირითადად განსაზღვრავს მისი რანგი და მხოლოდ შემდგომ დაკავებული თანამდებობა. ახლად მიღებულ თანამშრომელს ავტომატურად ენიჭება პირველი რანგი. რანგის ყოველი მომატება ხდება სპეციალური კომისიის მიერ. თითოეულ კონკრეტულ თანამდებობას შეესაბამება რანგის აუცილებელი მინიმუმი. კერძოდ, განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისთვის, პირობითად, საჭირო იქნება მინიმუმ მე-6 რანგის ფლობა და ა.შ. გარდა ამისა, შესაძლოა, რომელიმე განყოფილების უფროსს უფრო დაბალი რანგი ჰქონდეს, ვიდრე მის რომელიმე გამოცდილ თანამშრომელს. რანგირების შემოღების შემთხვევაში, თითოეულ თანამშრომელს საშუალება ექნება, მიიღოს მეტი მატერიალური ანაზღაურება ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნის გარეშეც კი.

"ვთქვათ, კარგი პროფესიონალი ასრულებს ოპერატიულ სამუშაოს - მისი წახალისების, ხელფასის მომატების ერთადერთი გზა მისი დაწინაურებაა; მაგრამ, ცხადია, ყველა კარგი ოპერატიული მუშაკი კარგი ხელმძღვანელი ვერ იქნება. ასე რომ, მისი დაწინაურებით დაკარგავ კარგ პროფესიონალს და მიიღებ ცუდ ხელმძღვანელს. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ თანამდებობრივი დაწინაურება თანამშრომლის მორალური და მატერიალური წახალისების ერთადერთი გზა არ უნდა იყოს," - ასეთი არგუმენტი მოიყვანა რანგირების სისტემის აუცილებლობის დამადასტურებლად დაზვერვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ზურაბ მხეიძემ.

იდეის ავტორთა აზრით, რანგირების სისტემის შემოღებამ ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და სტაბილური სამუშაო გარემოს შექმნას.

დაზვერვის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის ლევან ღირსიაშვილის აზრით:

"აღნიშნული სისტემის რეალიზება ხელს შეუწყობს თანამშრომლების პროფესიული დონის ამაღლებას, მათ სპეციალიზაციას, ოპერატიული შემადგენლობის სტაბილურობას, საფუძველს გამოაცლის კარიერიზმის ფორმებს, პროტექციონიზმს, კორუფციულ ურთიერთობებს და შიდაუწყებრივ ინტრიგებს."

იმისათვის კი, რომ ზემოთ თქმული მიზნები მიღწეულ იქნეს, ლევან ღირსიაშვილის აზრით, **"რანგების რაოდენობა და ხელფასების სისტემა უნდა განისაზღვროს სპეციალური მსჯელობის შედეგად. თუმცა, რანგებს შორის ხელფასზე დანამატის ოდენობა ას ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს"**.

როგორც უკვე ითქვა, რანგირების სისტემის შემოღება ჯერ მხოლოდ იდეის დონეზე არსებობს, თუმცა რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს - კადრების საკითხს უკავშირდება და ამიტომაც სერიოზულ განსჯას საჭიროებს, რომელშიც ყველა დაინტერესებული სამთავრობო უწყება თუ არასამთავრობო სტრუქტურა უნდა ჩაერთოს.

ისეთი, როგორიც საჭიროა

იმ ფაქტს, რომ უშიშროების სამინისტროში დღეს არც ერთი ის კარდინალურ-ფუნქციონალური ცვლილება არ მომხდარა, რომელთა აუცილებლობის შესახებაც ყველა დონის ექსპერტები საუბრობდნენ, საგანგაშოდ სულაც არ მიიჩნევს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე. მეტიც, მისი აზრით, უშიშროების სამინისტრო დღეს სწორედ ისე მუშაობს, როგორც ამ ეტაპზეა საჭირო.

გივი თარგამაძე: "დღეს ქვეყანა იმ ეტაპზეა, როდესაც სჭირდება უშიშროების სამინისტრო იმ სახით, როგორიც ახლაა".

გოგიჩა ბუხაიძის ფოტო

- როგორც ცნობილია, უშიშროების სამინისტრო სამოქალაქო სტრუქტურად ჯერ არ გარდაქმნილა, შესაბამისად, არ მომხდარა მისი ეტაპობრივი დემილიტარიზაცია და გამოძიების უფლების ჩამორთმევა, რეპრესიული ფუნქციის გაუქმებისკენ მოძრაობა ჯერაც არ დაწყებულა და ყველაფერი ძველებურად რჩება...

- მთლად ასეც არ არის. უშიშროების სამინისტროს აღარ ეხება კონტრაბანდასთან ბრძოლა. რა თქმა უნდა, არსებობს იდეა, რომ სამინისტრო უნდა გარდაიქმნას სამოქალაქო სტრუქტურად, თუმცა აქამდე ეტაპობრივად უნდა მივიდეთ. დღეს კი ქვეყანა იმ ეტაპზეა, როდესაც სჭირდება უშიშროების სამინისტრო იმ სახით, როგორიც ახლაა. მე, როგორც იმ საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელსაც ეს სამინისტრო ექვემდებარება, შემიძლია ვთქვა, რომ უშიშროების სამინისტრო მუშაობს ძალიან კარგად და ვისურვებდი, რომ ყველა ძალოვანი სტრუქტურა იყოს იმდენად გამართული, რამდენადაც დღეს უშიშროების სამინისტროა. რაც შეეხება მისთვის ფუნქციების მოკლებას, გარკვეული ფუნქციები მან უკვე დათმო. მაგალითად ის, რომლებიც წაიღო საფინანსო პოლიციამ და რომელზეც აქამდე იდგა, პრაქტიკულად, მთელი სამინისტრო. შემიძლია ვთქვა, რომ, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში და ვნახეთ, აღმოჩნდა, რომ ძველი უშიშროების სამინისტრო დაკავებული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმ საქმიანობით, რომლიდანაც შეიძლებოდა სერიოზული ფულის ამოღება. დღეს ასე ნამდვილად აღარ არის. სხვა მხრივ, დღევანდელ სიტუაციაში, როცა ქვეყანაში გამწვავებულია ვითარება, მათ შორის - კონფლიქტურ რეგიონებში, როგორც ჩანს, არ არის საშუალება, რომ ამ წუთასვე იგი სამოქალაქო სტრუქტურად გადაკეთდეს და მხოლოდ ანალიტიკური ფუნქცია შეიძინოს; მაგრამ, ალბათ, როცა სიტუაცია დალაგდება და მოგვცემს საშუალებას, მაშინ ეს ასე მოხდება. დღეს კი ამ სამინისტროს მუშაობა ადასტურებს, რომ ის სწორედ იმ ფორმატით უნდა ფუნქციონირებდეს, როგორც არის.

- მაშინ დავაკონკრეტოთ, რა სახის რეფორმები ტარდება უშიშროების სტრუქტურებში?

- პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ სამინისტრო იყო პარალიზებული. დღესდღეობით მუშაობს და მუშაობს ყველა მიმართულებით. ჯერ მარტო კონფლიქტის ზონები ავიღოთ: აჭარის კამპანიისას მათ შესანიშნავად იმუშავეს ინფორმაციის მოპოვებისა თუ ტაქტიკური თვალსაზრისით. ცხადია, იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც მათ გააჩნიათ. მინდა გითხრათ, რომ ბოლო ხანებში ეს საშუალებები მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაუმჯობესდა. სამინისტროში, პრაქტიკულად, ახალი სამუშაო პირობებია შექმნილი, განახლებულია ტექნიკური ბაზაც და ადამიანური რესურსებიც. მათ სამუშაოდ შექმნილი აქვთ სრულიად ცივილური პირობები. ყველა ის დანაყოფი, რომელიც აქამდე ფურცელზე არსებობდა, დღეს რეალურად ფუნქციონირებს. მოხდა კადრების მნიშვნელოვანი შემცირება, სამინისტრომ მოიშორა უზარმაზარი ბალასტი იმ შენობების სახით, რომლებიც თითქმის აუთვისებელი იყო და მათ შენახვაზე ძალზე დიდი თანხები მიდიოდა; ამ თანხების დიდი ნაწილი კი, ცხადია, ჯიბეებში ილექებოდა. მოკლედ რომ გითხრათ, დღეს უშიშროების სამინისტრო ბევრად უფრო მოქნილი და მობილიზებული ორგანოა, ვიდრე ოდესღაც.

"ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ"

ის, რომ უშიშროების სამინისტროში ძირეული, ფუნქციონალურ-ინსტიტუციონალური რეფორმა არ მიმდინარეობს, ექსპერტების უკმაყოფილებას იწვევს. თავის დროზე უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ნამუშევარი, ამჟამად პარლამენტის წევრი დავით ბაზღაძე, რომელსაც დეტალურად აქვს გაწერილი უშიშროების სისტემის რეფორმირების კონცეფცია, მიიჩნევს, რომ უშიშროების სამინისტროს დაწმენდა ზედმეტი ფუნქციებისგან და საჭირო ფუნქციების ზედმიწევნით დაკონკრეტება აუცილებელია, რათა ამ უწყებამ თავისი მოვალეობა შეასრულოს - დაიცვას სახელმწიფო უსაფრთხოება.

"პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, რა ტიპის სპეცსამსახური გვჭირდება, - ამბობს დავით ბაზღაძე, - **აქსიომაა, რომ რა ტიპის სახელმწიფოც არის, ისეთივეა სპეცსამსახური. თუ ვაღიარებთ ლიბერალურ ფასეულობებს და ვდგავართ დემოკრატიის გზაზე, სპეცსამსახურებიც შესაბამისად უნდა მოეწყოს, ანუ უარი ითქვას მუშაობის ტოტალურ ფორმებზე - მოსახლეობის ყველა ფენებში, ყველა სახის ინფორმაციაზე. უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, რაზე ვმუშაობთ. შესაბამისად, სპეცსამსახურს უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი დანიშნულება, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები. აქედან იწყება და ამის შესასრულებლად კეთდება ყველაფერი.**

სპეცსამსახურების რაობა ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს, ანუ ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რა სურს მას სპეცსამსახურისგან იმ მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც სახელმწიფო ისახავს; ანუ სპეცსამსახურის მოვალეობაა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანარჩენი კი ხელისუფლებამ უნდა დასახოს: რა არის ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები, რა საფრთხეები ემუქრება ამ ინტერესებს, საიდან მოდის ეს საფრთხე, ვისგან და როგორ უნდა ვებრძოლოთ, როგორ უნდა გავანეიტრალოთ ეს საფრთხეები. დღეს კი სპეცსამსახურებში სხვა ორგანოების უამრავი ფუნქციაა აღრეული. სხვათა შორის, ამ ფუნქციების ჩამორთმევის შესახებ სამთავრობო პროგრამაშიც წერია.

პირდაპირ ვთქვათ, ნებისმიერი ორგანო არსებობს მისთვის მინიჭებული ფუნქციების შესასრულებლად. ადამიანი თუ ვერ ხედავს, ვერც ივლის - ცხვირ-პირს მოიმტვრევს. ასევეა სპეცსამსახური, რომელსაც ფუნქციები არ აქვს სწორად განსაზღვრული და დაკონკრეტებული."

იმისათვის, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ამოცანებს ეფექტურად ეფუძნებოდეს ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამ

სემეკი "თბილგაზის" ტარიფის გადასინჯვას გეგმავს

სემეკ-მა "იტერა-საქართველოს" გაზის მიწოდებისა და სამომხმარებლო ტარიფები შეამცირა. ამ კვირას "თბილგაზის" ტარიფის გადასინჯვაც იგეგმება. ამას გარდა, სემეკ-ი გაზისა და ელექტროენერგიის მოხმარების წესებისა და ტარიფის გაანგარიშების ახალ მეთოდოლოგიაზეც მუშაობს. ეს იმ გეგმის არასრული ჩამონათვალია, რის განხორციელებასაც სემეკ-ი უახლოეს მომავალში აპირებს. პარალელურად, უკვე მზადაა კანონპროექტი, რომელიც ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოსთან სემეკ-ის გაერთიანებას გულისხმობს. სემეკ-ში, ჯერჯერობით, ამ საკითხის კომენტირებისაგნ თავს იკავებენ. გთავაზობთ ინტერვიუს კომისიის წევრ ირმა ქავთარაძესთან სემეკ-ის მიერ უკვე განხორციელებულ და სამომავლო გეგმებზე.

სოფო თბილელი

- უკვე მზადაა კანონპროექტი, რომელიც ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოსა და სემეკ-ის გაერთიანებას გულისხმობს. სახელმწიფო უწყებასთან გაერთიანება ხომ არ გამოინვევს სემეკ-ის დამოუკიდებლობის დაკარგავს?

- ეს პროექტი დღეს ვნახეთ და, ჯერჯერობით, რაიმე შედეგებზე საუბარი ძნელია. საგულისხმოა, რომ ამ პროექტის მომზადებაში სემეკ-ს არ მიუღია მონაწილეობა. აქედან გამომდინარე, ჯერ გავარკვევთ ამ კანონპროეტის მიზანსა და მოსალოდნელ შედეგებს და უკვე ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი დასკვნების გაკეთება. სააგენტოს და სემეკ-ს აბსოლუტურად განსხვავებული ფუნქციები აქვთ. სემეკი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოა, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას, თუმცა მას, რა თქმა უნდა, აქვს ვალდებულება, გაითვალისწინოს სახელმწიფო პოლიტიკა და ანგარიში წარუდგინოს პრეზიდენტს, პარლამენტს და სხვა შესაბამის უწყებებს. მის ძირითად ფუნქციას რეგულირება წარმოადგენს. სემეკ-ის რეგულირების სფერო, ძირითადად, ბუნებრივი მონოპოლია ანუ განაწილების სექტორია, კერძოდ, ელექტროენერგიისა და გაზის გამანაწილებელი კომპანიების საქმინობა. რაც შეეხება ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სააგენტოს, ეს სახელმწიფო სააგენტოა, რომელიც სუვერენულ ფუნქციებს ახორციელებს. ეს სააგენტო აცხადებს ტენდერებს წიაღისეულის - ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებასა და მოპოვებაზე. ეს აბსოლუტურად სხვა სახის ფუნქცია და საქმიანობაა, ვიდრე ის, რაც სემეკ-ს აკისრია, ამიტომ ამ ორი უწყების გაერთიანების შესახებ კანონპროექტს სერიოზული ანალიზი სჭირდება.

თუ სემეკ-ს რომელიმე სახელმწიფო უწყებას დაუქვემდებარებენ, ეს იქნება ძალიან ცუდი სიგნალი ინვესტორებისთვის. ჩვენ უკვე არაერთმა დონორმა და ინვესტორმა განგვიცხადა - იმისთვის, რომ ამ სფეროში საინვესტიციო გარემო სტაბილური და მიმზიდველი იყოს ინვესტორებისათვის, მარეგულირებელი ორგანო აუცილებლად დამოუკიდებელი უნდა იყოს. ინვესტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მარეგულირებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ იქნება დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, არამედ ეს იქნება დეპოლიტიზირებული და მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ და იურიდულ მიზანშეწონილობაზე, ინვესტორისა და მომხმარებლის ინტერესების დაბალანსებაზე დამოკიდებული.

- არის თუ არა სემეკი დამოუკიდებელი?

- მსოფლიოს ბევრ ქვეყნაში არსებობს მარეგულირებელი ორგანოები, რომლებიც დამოუკიდებლები არიან ხელისუფლებისგან. ასეთი დამოუკიდებლობა კი, თავისთავად, სწორი რეგულირების გარანტია. სწორი რეგულირებისთვის აუცილებელია, რომ სემეკი იყოს ძლიერი და დამოუკიდებელი ორგანო, რათა ისეთი გადაწყვეტილებები მიიღოს, სადაც თანაბრად იქნება გათვალისწინებული როგორც ინვესტორის, ასევე მომხმარებლების ინტერესები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს რომელიმე მხარის საზიანოდ გადახრა. ბუნებრივი მონოპოლიის ან დამახინჯებული კონკურენციის პირობებში რომელიმე მხარეს გადახრა აუცილებლად ცუდ შედეგებს გამოიღებს. ტარიფის გაზრდის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მომხმარებელს აზიანებს, ხოლო მომხმარებლის სასარგებლოდ დაბალი ტარიფების დადგენამ, საბოლოოდ, კომპანიის გაკოტრებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. ეს კი არც ინვესტორისთვის და არც მომხმარებლისთვის არ იქნება კარგი. სწორი რეგულირების მიზანი ასეთია: ერთი მხრივ, კომპანიებმა მომგებიანად იმუშაონ, მეორე მხრივ, მომხმარებელმა მიიღოს გარანტირებული მომსახურება და ამ მომსახურების საფასური ანუ ტარიფი იყოს სამართლიანი. ასეთი რეგულირება ხდება მხოლოდ ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში. ხოლო სადაც ბუნებრივი მონოპოლია არ არის, იქ თამაშის წესებს კონკურენცია არეგულირებს. ბუნებრივი მონოპოლიების პირობებში კონკურენციის კანონები არ მოქმედებს, ან თუ მოქმედებს, ისიც დამახინჯებული სახით და უკუშედეგს იწვევს. სწორედ ამის დასარეგულირებლადაა საჭირო მარეგულირებელი ორგანო ელექტროენერგიის, გაზისა და სხვა შესაბამის სექტორებში.

- სემეკი უკვე დიდი ხანია მუშაობს გაზის მიწოდების ტარიფის შემცირებაზე, რამდენით შემცირდება და ეს როდის აისახება მომხარებელზე?

- წინასწარ კონკრეტულ ციფრებზე საუბარი ცოტა რთულია. თუმცა, დაახლოებით, "იტერა-საქართველოს" გაზის მოწოდების ტარიფი 20 ლარზე მეტით შეუმცირდა. რაც შეეხება სამომხმარებლო ტარიფს, ჩვენი წინასწარი გათვლებით, საუბარია 2-2,5 თეთრით შემცირებაზე.

ირმა ქავთარაძე: "თუ სემეკ-ს რომელიმე სახელმწიფო უწყებას დაუქვემდებარებენ, ეს იქნება ძალიან ცუდი სიგნალი ინვესტორებისთვის."

იური ლოგოდიდის ფოტო

გაზის მიწოდების ტარიფის შემცირება ეროვნული ვალუტის მერყეობამ გააჭიანურა. ამ საკითხზე სემეკი უკვე რამდენიმე თვეა, მუშაობს. ეს პროექტი ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში იყო მზად. ლარის მერყეობის გამო "იტერა-საქართველოს" გაზის მიწოდების ტარიფის შემცირების საკითხზე სემეკ-ის გადაწყვეტილების პროექტი სამჯერ მომზადდა, სამართლებრივი ექსპერტიზისთვის სამჯერ გაიგზავნა იუსტიციის სამინისტროში და, საბოლოოდ, ეს საკითხი გაჭიანურდა. პრაქტიკულად, სემეკ-ის 13 აგვისტოს, 30 აგვისტოსა და 10 სექტემბრის სხდომები დანიშნული იყო, მაგრამ სანამ საკითხი სხდომაზე გასატანად მზადდებოდა, ლარის კურსი იმდენჯერ და ისე სწრაფად შეიცვალა, რომ საჭირო გახდა ახალი გაანგარიშებების გაკეთება და იუსტიციის სამინისტროში ხელახლა გაგზავნა. შედეგად, "იტერა-საქართველოს" გაზის მიწოდების ტარიფის შემცირების საკითხი სემეკ-მა გასულ პარასკევს განიხილა.

- მოსალოდნელია "თბილგაზის" ტარიფის შემცირებაც?

- "თბილგაზის" ტარიფის საკითხს სემეკი მიმდინარე კვირაში განიხილავს და მალე "თბილგაზისთვისაც" დაადგენს ახალ ტარიფს. ლარის კურსიდან გამომდინარე, მოსალოდნელია შემცირება, თუმცა წინასწარ ამის თქმაც ძნელია: უნდა ვნახოთ მათი ხარჯები, უნდა ჩატარდეს დეტალური ანალიზი და დასკვნები ამის შემდეგ გაკეთდება. ყველა შემთხვევაში, სემეკი ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც სამართლიანი იქნება ორივე მხარისთვის. ხელმძღვანელობა განაცხადს კვირის ბოლომდე შემოიტანს. განცხადის შესწავლის შემდეგ სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე დადგინდება პროექტი, რომელსაც სემეკ-ის საჯარო სხდომაზე განიხილავენ.

- რითი განსხვავდება ტარიფის გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგია ძველისგან?

- ტარიფის გაანგარიშების ახალ მეთოდოლოგიაზე, ჯერჯერობით, ისევ ვმუშაობთ. არის რამდენიმე პროექტი. საუკეთესოს გამოსავლენად სემეკ-ის თანამშრომლებს მსოფლიო ბანკის ექსპერტებიც დაეხმარებიან. პროექტების შესწავლას სექტემბრის ბოლოს დაიწყებენ. მსოფლიო ბანკის დახმარებით ჩატარდება ტენდერი, რომლის საშუალებითაც გამოვლინდება კომპანია, რომელიც სემეკ-ს საკონსულტაციო მხარდაჭერას გაუწევს. ერთობლივად შემუშავდება ტარიფის გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგია, რომელმაც ორი ძირითადი მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს: მასში გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს სპეციფიკა.

ახალი მეთოდოლოგია არ იქნება დაფუძნებული ერთ კონკრეტულ დოკუმენტზე, მეთოდსა თუ კონკრეტული ქვეყნის გამოცდილებაზე. გაანიხილავთ და გავითვალისწინებთ რამდენიმე ქვეყნის გამოცდილებას. დეტალური ანალიზის შემდეგ შეირჩევა მეთოდოლოგიის ყველაზე მისაღები ვარიანტი. მთავარია, ისეთი მეთოდოლოიის დამტკიცება, რომლის მიხედვით გაანგარიშებულ ტარიფში მომხმარებლის ინტერესებიც იქნება დაცული და ინვესტორისაც.

- ენერგეტიკას რეაბილიტაცია - ე.ი. ინვესტიციები სჭირდება, რაც ტარიფშიც აისახება. გაიზრდება თუ არა ტარიფი ინვესტიციების ხარჯზე?

- ზოგადად საუბარი ძალიან რთულია. შეიძლება აისახოს, შეიძლება - არა. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ტარიფში აისახება მხოლოდ ის ინვესტიცია, რომელიც საჭირო, აუცილებელი, ეკონომიკურად გამართლებულია და რომლის შედეგადაც მოსახლეობა სრულყოფილ მომსახურებას მიიღებს. თუ რამდენადაა ინვესტიცია ეკონომიკურად გამართლებული, ამას სემეკ-ის შესაბამისი დეპარტამენტების დეტალური ანალიზი აჩვენებს. ქსელის გაუმჯობესებაზე დახარჯული ინვესტიცია ეკონომიკურად გამართლებულია, ხოლო, ვთქვათ, ბრუნეის სულთანივით ოქროს მანქანაში ჩადებული ინვესტიცია, რა თქმა უნდა, ეკონომიკურად გამართლებურად ვერ ჩაითვლება.

- ბოლო დროს საკმაოდ ხმაურიანი იყო მცირე ლიცენზიანტების საკითხი. სემეკი იმაშიც დაადანაშაულეს, რომ მან ყველა მცირე ლიცენზიანტი ერთ ტაფაში მოაქცია და ყველას ერთი ხელის მოსმით გაუუქმა ლიცენზია...

- ვერ დაგეთანხმებით. ჩვენ ყველა ერთ ტაფაში არ მოგვიქცევია. თითოეული მცირე ლიცენზიანტის საქმინაობა ცალ-ცალკე შევისწავლეთ. მათი საკითხის შესწავლის შედეგად ყველა ლიცენზიანტს სხვადასხვა დარღვევა დაუფიქსირდა. რამდენიმე დარღვევას დაგი-სახელებთ: ამ კომპანიების უმრავლესობას არ ჰქონდა ელემენტარული ქონება, რაც აუცილებელი პირობაა ლიცენზიის ფლობისა. ამასთანავე, კომპანიების უმრავლესობა, ძირითადად, სხვის ქონებას იყენებდა. ისინი შეჭრილნი იყვნენ სხვა ლიცენზიანტის არეალში, რამაც ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია. აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობის გამო რთული გასარკვევი გახდა, ვინ რამდენი მოიხმარა. ერთი კომპანიის ხარჯები მეორეს ეწერებოდა. ერთმანეთის ტერიტორიაზე შეჭრამ მომსახურება გააუარესა და მიწოდება შეამცირა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ დარღვეული იყო უსაფრთხოების ნორმებიც, რის გამოც ძალიან ხშირი იყო ხანძრის შემთხვევები, განსაკუთრებით - ქუთაისში. დარღვევები აღმოვაჩინეთ ტარიფის საკითხშიც: მცირე ლიცენზიანტები მომხმარებელს დენს გაცილებით მაღალი ტარიფით აწვდიდნენ, ვიდრე ეს ლიცენზიით იყო განსაზღვრული. საბოლოო ჯამში, მივიღეთ ქაოსი. საჭირო გახდა დაუყოვნებელი ქმედებები. მივიღეთ გადაწყვეტილება და დარღვევების მქონე ლიცენზიანტებს ლიცენზიები ჩამოვართვით. 31-დან ლიცენზია 21 კომპანიას ჩამოვართვით. დარჩნენ მხოლოდ მსხვილი ქარხნების მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი ლიცენზიანტები, რომლებიც მხოლოდ მიმდებარე ტერიტორიას ამარაგებენ ელექტროენერგიით. სამმა მცირე ლიცენზიანტმა კომპანიამ სასამართლოში გაასაჩივრა სემეკ-ის გადაწყვეტილება. სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას ოქტომბერში მიიღებს.

- რა შედეგებს გამოიღებს გაზის მოხმარების ახალი წესების ამოქმედება?

- ასეთი წესების შემუშავება საქართველოს გაზის მოხმარების სექტორში უპრეცედენტო შემთხვევაა. ეს წესები ბევრ დაურეგულირებელ საკითხს არეგულირებს. ამ დოკუმენტის მიზანია, იყოს გაზის უწყვეტი, საიმედო, და უსაფრთხო მიწოდება. ეს ახალი დოკუმენტი ხელს შეუწყობს გაზის მიწოდების სექტორში კონკურენციის განვითარებას. ნებისმიერ ფიზიკურ პირს ექნება საშუალება, გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან, რომელიც მას უნდა; გამანაწილებელი კი ვალდებულია, ყველა მიმწოდებლის გაზი გაატაროს და უსაფრთხოდ მიიტანოს მომხმარებლამდე. ეს წესები მიჯნავს და არეგულირებს მომწოდებლისა და განაწილების ლიცენზიანტების საქმიანობას. მასში ასევე განსაზღვრულია, როგორ უნდა მოხდეს დავის გადაწყვეტა. მოპარვისა და მრიცხველის დაზიანების შემთხვევაში როგორ უნდა დაფიქსირდეს ეს ფაქტი, ვის რა პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს და როგორ უნდა დაითვალოს საფასურის ოდენობა.

- თქვენი აზრით, მისაღებია თუ არა საბითუმო ბაზრის დღევანდელი მოდელი? ხომ არ დადგა კონკურენტულ მოდელზე გადასვლის დრო?

- საბითუმო ბაზარი ჩაფიქრებული იყო როგორც ერთი დიდი ანგარიში, საბოლოოდ ამან სხვა სახე მიიღო. ბაზრის თავდაპირველი მოდელი გათვალისწინებული იყო ისეთი ქვეყნისთვის, სადაც საფასურის ამოღება პრობლემებს არ უკავშირდებოდა, ანუ ეს არ იყო საქართველოსნაირი ქვეყნისთვის გათვლილი. თუ ბაზარი შეუერთდა ელექტროსისტემას, რაღაც მექანიზმები აუცილებლად უნდა შეიმუშაონ, რომ სისტემამ იფუნქციონიროს. იმ პირობებში, როდესაც გენერაციის ერთი სადგურის (ჰიდრო) ტარიფი 1,17 თეთრია, ხოლო მეორის (თბოსადგური) - 6,5 თეთრი, უნდა არსებობდეს ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფის პრაქტიკულად გამოყენების მექანიზმი.

- რის გაკეთებას აპირებს სემეკი უახლოეს მომავალში?

- სატარიფო პოლიტიკის გადახედვის გარდა, ვგეგმავთ, ახალი მეთოდოლიგიის დამტკიცებას. დამუშავების ეტაპზეა ელექტროენერგიის მოხმარების წესებიც, დამტკიცებისთანავე ეს წესები (ისევე, როგორც გაზის მოხმარების წესები) სემეკ-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდება. დამუშავების პროცესშია ლიცენზიის ტიპური ფორმა, ლიცენზირების ახალი წესები, ბუნებრივი გაზის ტექნოლოგიური დანაკარგების გაანგარიშების ახალი წესები და ა.შ. ამასთანავე, უახლოეს მომავალში დაგეგმილია ახალი სამსახურის შექმნა, რომლის მიზანიცაა ენერგეტიკის სექტორის ევროკავშირთან ჰარმონიზაციაში მოყვანა და სემეკ-ის ახალი სტრუქტურის დამტკიცება. გასაკეთებელი მართლაც ბევრია.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გუშინ ბაქოში იმყოფებოდა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის კონტრაქტის ხელმოწერის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობდა. ბაქოში იმყოფებოდნენ აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში რამიზ გასანოვი, პრემიერ-მინისტრის აპარატის რამდენიმე თანამშრომელი და ჟურნალისტები. ცერემონიალში მონაწილეობდნენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში მონაწილე ნავთობკომპანიათა ხელმძღვანელებიც. დელეგაცია აზერბაიჯანიდან გუშინ ღამით დაბრუნდა. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილგაზმა" დედაქალაქის ზოგიერთ რაიონს გაზის მიწოდება აღუდგინა. ამჟამად გაზი სრულად მიეწოდებათ მელიქიშვილისა და პეტრიაშვილის ქუჩებს, გლდანის III-V მიკრორაიონებს, ვარკეთილი-3-ის I-III მიკრორაიონებს. მიწოდება ნაწილობრივ აღუდგათ ვაზისუბნის დასახლება 10ა, 11, 12, 15ა, 16ა, 17, 18, 14, 19, 19ა, 27, 21 კორპუსებს, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩას (მთლიანად), თემქის IV, XI მიკრორაიონებს. "თბილგაზში" აცხადებენ, რომ თბილისში გაზმომარაგების სრული აღდგენა 13 ოქტომბრამდე დასრულდება. "გაზმომარაგების ერთბაშად აღდგენა ტექნიკურდ შეუძლებელია, ამას დრო სჭირდება. შემუშავებულია რაიონებისთვის გაზის მიწოდების აღდგენის გრაფიკი, რომლითაც ჩვენი კომპანიის თანამშრომლები ხელმძღვანელობენ," - აცხადებენ კომპანიაში. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ დილით ავარიულად გამოირთო "ენგურჰესის" მეორე აგრეგატი, რის გამოც საქართველოს რეგიონებს დენის მიწოდება შეეზღუდა. ამ ავარიის მიზეზები უცნობი დარჩა, თუმცა მეორე, გორთან ახლოს მომხდარი ავარია ენერგეტიკის სამინისტრომ დივერსიად შეაფასა. აქ დაუდგენელმა პირებმა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის ორი ანძა წააცივეს. ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ ამგვარი ქმედება გამიზნულად ხორციელდება. ავარიების შედეგების ლიკვიდაცია და ელექტრომომარაგების აღდგენა საღამომდე მოხერხდა. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გამართული ვაჭრობის შედეგად, ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 15 თეთრით გამყარდა და 1,83 ნიშნულზე დაბალანსდა. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ხელისუფლება ევროგაერთიანების ორგანიზაციასთან საჰაერო-სატრანსპორტო თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებებს იწყებს. 21-22 სექტემბერს საქართველოს ევროგაერთიანების წამომადგენლობითი დელეგაცია ეწვევა. ვიზიტის მიზანს ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის საჰაერო ტრანსპორტის სფეროში ურთიერთობების განვითარება და ე.წ. "ჰორიზონტალური ხელშეკრულების" სახით მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა წარმოადგენს. ამ პრინციპის თანახმად, საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის გაფორმებული ესა თუ ის ხელშეკრულება ავტომატურად დაარეგულირებს საქართველოსა და ევროგაერთიანების წევრ ყველა სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული ზარაფხანის ყოფილი დირექტორი დავით ლორთქიფანიძე პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას მის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანიის წარმოებაში ადანაშაულებს. ზარაფხანის ახლად დანიშნულმა სამეთვალყურეო საბჭომ იგი თანამდებობიდან 13 სექტემბერს გაათავისუფლა. ლორთქიფანიძე საბჭოსა და საწარმოთა მართვის სააგენტოს ჟვანიას და ბენდუქიძის დაკვეთის განხორციელებაში ადანაშაულებს. "ჩემი ჩამოშორება იმიტომ სურთ, რომ მე ზარაფხანის პრივატიზაციის წინააღმდეგი ვარ," - განაცხადა ლორთქიფანიძემ, რომლის მტკიცებით, ერთი თვის წინ მას ჟვანიას სახელით დაურეკეს და, "სიმშვიდისა და თანამდებობის შენარჩუნების" სანაცვლოდ, თანხა მოსთხოვეს. **ინტერ-პრესი**

სს "თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

23 სექტემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
თემქის XI მიკრორაიონის I და II კვარტლების მაცხოვრებლებს.

პირველად საქართველოში - თიბისი ბანკის ბანკომატებით შეგიძლიათ კომუნალური გადასახადები გაიხადოთ

1 სექტემბრიდან თიბისი ბანკმა საქართველოსთვის სრულიად ახალი მომსახურება დანერგა - ბანკის ბანკომატებიდან შესაძლებელი გახდა კომუნალური გადასახადების გადახდა. თიბისი ბანკის ვიზა ბარათების მფლობელებს ამიერიდან შეუძლიათ სერიოზულად დაზოგონ დრო და ბანკომატთან ერთი მისვლით გადაიხადონ დენის, წყლის, ტელეფონის და სხვა კომუნალური გადასახადები.

ბანკომატიდან კომუნალური გადარიცხვები თიბისი ბანკის ერთ-ერთი ახალი ელექტრონული მომსახურებაა, რომელიც სიახლეა არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრებისთვისაც. თიბისი ბანკი პირველი კომერციული ბანკია კავკასიაში, რომელმაც ეს მომსახურება დანერგა. ბანკომატიდან კომუნალური გადარიცხვების სერვისის შემოღება თიბისი ბანკის იმ სტრატეგიის ნაწილია, რომელიც გულისხმობს ელექტრონული პროდუქტების განვითარების გზით მომხმარებლებისათვის მაქსიმალურად კომფორტული და მოსახერხებელი მომსახურების გაწევას და ბანკის ოფისების განტვირთვას.

ბანკომატიდან კომუნალური გადასახადების გადარიცხვა თიბისი ბანკის ვიზა ბარათის ყველა მფლობელს შეუძლია, რომელთა რიცხვი დღეისათვის საქართველოში 20 ათასს აღემატება. ახალი სერვისი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, თიბისი ბანკის ნებისმიერი ბანკომატიდან განახორციელოს კომუნალური გადარიცხვა "თელასში", "თბილწყალკანალში", "საქართველოს ტელეკომში", "ახალ ქსელებში", "ახტელში", "საქართველოს ელექტროკავშირში", "ჯორჯია ონ-ლაინში", "საქტელკომ პლუსში", "აიეტსა" და "გლობალ ერთში". თითო გადარიცხვა 90 თეთრი ღირს.

კომუნალური გადარიცხვების სერვისით სარგებლობა შესაძლებელია როგორც წინასწარი რეგისტრაციით, ისე რეგისტრაციის გარეშეც. ამასთან, რეგისტრაცია უფასოა - მომხმარებელს სერვისით სარგებლობისათვის კვარტალში მხოლოდ 5 ლარის გადახდა მოუწევს.

ახალი სერვისით სარგებლობაზე რეგისტრირებული მომხმარებელი წინასწარვე ირჩევს იმ კომპანიებს, რომლებთანაც პერიოდულად მოუწევს კომუნალური გადასახადების გადახდა. რეგისტრაციის პროცესშივე ფიქსირდება თითოეულ ამ კომპანიაში გადარიცხვის საიდენტიფიკაციო აბონენტის თუ ტელეფონის ნომრები. ეს კი ძალზე ამარტივებს თავად გადარიცხვის პროცედურას - ბანკომატის ეკრანზე გამოჩნდება ის კომპანიები, რომლებიც მომხმარებლის მიერ იქნა მითითებული, გადარიცხვაც მომენტალურად კეთდება, ვინაიდან აბონენტისა და ტელეფონის ნომრების მითითება საჭირო აღარ არის.

წინასწარი რეგისტრაციის გარეშე კომუნალური გადარიცხვების შემთხვევაში მომხმარებლის "დიალოგი" ბანკომატთან ოდნავ უფრო ვრცელ პროცედურას გულისხმობს: ვიზა ბარათის მფლობელმა, რომელიც არ არის რეგისტრირებული სერვისის მომხმარებლად, ბანკომატის მონიტორზე უნდა შეარჩიოს ის ორგანიზაცია, რომელთან ანგარიშსწორებაც მას სურს, შემდეგ ბანკომატის კლავიატურაზე აკრიფოს აბონენტის ან ტელეფონის ნომერი და შესაბამის გრაფაში შეიყვანოს გადასახდელი თანხა. ამის შემდეგ ბანკომატის ეკრანზე გამოჩნდება ყველა ეს მონაცემი, რათა კიდევ ერთხელ გადამოწმდეს მათი სისწორე და, შეცდომის არარსებობის შემთხვევაში, შესაბამის ღილაკზე დაჭერით მიეცეს გადარიცხვის ბრძანება. სურვილის შემთხვევაში ბანკომატი ამობეჭდავს განხორციელებული გადარიცხვების ქვითარს.

ბანკომატით კომუნალური გადარიცხვების მომსახურებაზე საკმაოდ მაღალი მოთხოვნილება არსებობს უცხოეთში. თიბისი ბანკის გათვლებით, ამ პროდუქტის მოხმარება სწრაფად გაიზრდება საქართველოშიც. დღეისათვის თიბისი ბანკის კლიენტებს ელექტრონული მომსახურების საშუალებით კომუნალური გადარიცხვების შესაძლებლობას აძლევს "ინტერნეტ ბანკი", რომელიც თიბისი ბანკმა 2 წლის წინ დანერგა. "ინტერნეტ ბანკის" მეშვეობით განხორციელებული კომუნალური გადარიცხვების რაოდენობა ყოველთვიურად 2-ჯერ იზრდება წინა თვესთან შედარებით, რაც ამ ტიპის პროდუქტებზე არსებულ მაღალ მოთხოვნაზე მიუთითებს. ბანკომატით ამ სერვისის შეთავაზება იმ მომხმარებლებსაც მისცემს კომუნალური გადარიცხვების ერთი პუნქტიდან განხორციელების საშუალებას, ვისაც ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ.

სს "თიბისი ბანკის" იმიჯის ფორმირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

არჩევნები 2004: ჯორჯ ბუში ჯონ კერის წინააღმდეგ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

წინასაარჩევნო კამპანია შეერთებულ შტატებში უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს

დასაწყვეტია.

კერი ცდილობს, დამალოს თავისი მემარცხენე-ლიბერალური შეხედულებები, რათა პოტენციალური ამომრჩევლები არ დაკარგოს. კერის სიძლიერეს წარმოადგენს შავკანიანი ამომრჩევლები, რომელთაც ის მაღალანაზღაურებად სამუშაოსა და უფასო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევას ჰპირდება, რაც მრავალი სახელგანთქმული ეკონომისტისა და პოლიტიკოსის აზრით, შეუძლებელია. კერი, აგრეთვე, საშემოსავლო გადასახადების გაზრდას უჭერს მხარს. საშემოსავლო გადასახადების გაზრდა აშინებს საშუალო ფენის წარმომადგენლებს, რომლებსაც ბუშმა ეს გადასახადი შეუმცირა.

ჯონ კერის ძალიან უჭირს თავისი წარსულის დავიწყება, განსაკუთრებით წარსულში მის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტების გამო. მაგალითად, ერაყის ომის დაწყებისას კერიმ მხარი დაუჭირა ომს, მაგრამ შემდგომ მან მხარი არ დაუჭირა ომის დაფინანსების იმ კანონპროექტს, რომელიც უზრუნველყოფდა ერაყში მყოფ ამერიკელ სამხედროებს ახალი აღჭურვილობით. ამ საკითხზე ბუშის საარჩევნო შტაბმა აგრესიულად შეუტია ჯონ კერის და ამერიკელ ხალხს წარუდგინა ჯონ კერი, როგორც მატყუარა, რომელიც ყოველდღე იცვლის პოზიციას და ზურგს აქცევს ერაყში მებრძოლ ამერიკელ ჯარისკაცებს.

ჯონ კერის უფრო დიდი პრობლემები შეექმნა, როდესაც მის მიერ ვიეტნამის ომში მოპოვებული მედლების (მამაცობის გამო) გადაყრის ფაქტი გაამჟღავნეს. ამის გამო, დღეს, ბევრი ყოფილი "ვიეტნამელი" კერის არა-პატრიოტს უწოდებს. მედლების მოშორება კარგი საბაბი იყო მის წინააღმდეგ "შავი პიარის" დასაწყებად.

რესპუბლიკელთა ყრილობის შემდეგ, აშკარად გამოვლინდა შიდაპარტიული ერთიანობა, მათ შორის ზომიერთა და რადიკალთა შორისაც კი, რომლებსაც განსხვავებული ფისკალური და სოციალური იდეოლოგია გააჩნიათ. "მედისონ სკუეარ გარდენში" ის სახეებიც გამოჩნდნენ, რომლებიც, შესაძლოა, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატებად მოგვევლინონ. ისინი არიან რუდოლფ ჯულიანი და ჯონ მაკკეინი. გამორიცხული არ არის, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე რესპუბლიკური პარტიის ეს ორი პოლიტიკური ფიგურა ერთ ძალად გაერთიანდეს კიდეც (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი). რუდოლფ ჯულიანი და ჯონ მაკკეინი ამერიკელ ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ყრილობის შემდეგ ბუშისა და ჩეინის მხარდაჭერა საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ, როგორც ექპერტები ვარაუდობდნენ, ეს დროებითი მოვლენა იყო. ამჟამად ბუში და ჩეინი, ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ამომრჩეველთა 51 პროცენტის მხარდაჭერით სარგებლობს, კერი და ედვარდსი - 46 პროცენტის, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატი რალფ ნადერი - 1 პროცენტის.

ჯონ კერი და ჯონ ედვარდსი რესპუბლიკელთა ყრილობის კრიტიკას შეეცადნენ და ბუშის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას მთელი ძალით შეუტიეს. ედვარდსმა განაცხადა, რომ ბუშმა ხელი შეუწყო ამერიკიდან მაღალხელფასიანი სამუშაო ადგილების ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანას. ამის გამო ამერიკელი ხალხის სოციალური მდგომარეობა დღეს უარესია, ვიდრე ოთხი წლის წინათ. კერი და ედვარდსი აქტიურად აკრიტიკებენ ბუშის სოციალური დაზღვევის, ჯანდაცვისა და სამედიცინო დაზღვევის პოლიტიკასაც.

წინასაარჩევნო კამპანია შეერთებულ შტატებში უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს: ორივე მხარე გახვეულია "შავ პიარში" და ბევრი ამომრჩეველი გადაიღალა კანდიდატთა შორის "შავი პიარის ომის" თვალყურის დევნებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბუშის საარჩევნო კამპანია და "პიარი" ბევრმა რესპუბლიკელმა გააკრიტიკა იმის გამო, რომ ბუშის საარჩევნო კამპანია არ არის გამიზნული მდედრობითი სქესის ამომრჩევლებზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია ბუშის განცხადება, რომ იგი უკეთ დაიცავს ამერიკას ტერორიზმის საფრთხისაგან. ექსპერტთა აზრით, ამით ბუში მხოლოდ მამრობითი სქესის რესპუბლიკელ და დამოუკიდებელ ამომრჩევლებს იზიდავს. მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს კი სხვაგვარი კომუნიკაცია სჭირდებათ, - აცხადებენ ამერიკელი ექსპერტები. მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს შეერთებულ შტატებში იმის მოსმენა სურთ, რომ მათი ოჯახები ტერორიზმისაგან დაცული იქნება, რომ ერაყში ქალები უფრო აქტიურად იქნებიან ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აგრეთვე, გარანტიების, რომ შეერთებულ შტატებში ქალსა და მამაკაცს შორის ხელფასებში განსხვავება შემცირდება და თანასწორუფლებიანი სისტემა დამყარდება, სადაც მდედრობითი სქესის და მამრობითი სქესის წარმომადგენლები თანაბარ ხელფასებს მიიღებენ. ასეთ ენას ბუში არ ხმარობს, ბუში ჯერჯერობით მხოლოდ მამრობითი სქესის რესპუბლიკელების ენაზე ლაპარაკობს. მდედრობითი სქესის ამომრჩევლები კი ერთ-ერთ უძლიერეს ამომრჩეველთა ჯგუფს წარმოადგენს შეერთებულ შტატებში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ფაქტებისა, ბუში კვლავ ლიდერობს. უპირველეს ყოვლისა, ეს ბუშის პრინციპულობითა და იდეოლოგიითაა გამოწვეული. ბუშს სწამს ღმერთის და იგი ამ ფაქტს ამაყად უსვამს ხაზს, ამიტომ მას ბევრი მორწმუნე ქრისტიანი - პროტესტანტი და კათოლიკეც უჭერს მხარს, ხოლო კერი, რომელიც კათოლიკეა - განაგრძობს მორწმუნე ამომრჩეველთა გარკვეულ იზოლირებას. კათოლიკეებს, მაგალითად, აღიზიანებთ ის ფაქტი, რომ კერი აბორტის მომხრეა და იგი რელიგიას მხოლოდ პირადულად მიიჩნევს, რომელსაც ზეგავლენა არ აქვს მის პოლიტიკურ იდეოლოგიაზე.

ბუშის უპირატესობას ის ფაქტიც უწყობს ხელს, რომ უმუშევართა რიცხვმა ამერიკაში 5.4 პროცენტამდე დაიწია და ეკონომიკა, ჯერჯერობით, სტაბილურია. თუ ეკონომიკური მდგომარეობა და უმუშევართა რიცხვი ნოემბრამდე დიდად არ გაუარესდა, მაშინ ჯორჯ ბუშს გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს. ბოლო დროს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებიც ამ ფაქტებისაკენ მიუთითებს.

კერის და ედვარდსის გამარჯვების შანსებს ის გარემოება ამძიმებს, რომ მათ ამომრჩევლებს მრავალ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ. მაგალითად, ბოლო დროს ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ერაყის ომში ამერიკის მონაწილეობის გაგრძელებას კერის ამომრჩეველთა თითქმის 40 პროცენტი უჭერს მხარს, ამერიკის ჯარების სასწრაფო გამოყვანას ერაყიდან და ერაყის გადაცემას ერაყელებისთვის - თითქმის 34 პროცენტი. ამომრჩეველთა დიდ ნაწილს მხოლოდ ის აერთიანებს, რომ არ უნდათ, ბუშმა გაიმარჯვოს. ამასთან ერთად, ზოგიერთი ამომრჩეველი მხოლოდ ერთ ან ორ საკითხზე ეთანხმება კერის და ამიტომ აპირებს, მას მისცეს ხმა. ეს დიდი დაბრკოლებაა კერისა და ედვარდსისათვის, რადგან კერიმ, მაგალითად, რომ დააზუსტოს, რომ დარჩება ერაყში და მიიყვანს საქმეს ბოლომდე - მან შეიძლება პოტენციურ ამომრჩეველთა ნაწილი დაკარგოს. ამის გამო კერის ხშირად უხდება გარკვეულ საკითხებზე დიპლომატიური ენით ლაპარაკი. ამგვარი დიპლომატიური ენა კი რესპუბლიკელებს აძლევს საბაბს, რათა კერის არაკომპეტენტურობა, გამოუცდელობა დააბრალონ, ხაზი გაუსვან მის არამყარ პოზიციას მრავალ საკითხზე და ამტკიცონ, რომ ამერიკის ლიდერობა მხოლოდ პრეზიდენტ ბუშს შესწევს.

ბოლო დროს კერიმ სცადა ერაყის ომზე კომენტარის გაკეთება და, სხვათა შორის, კონკრეტული დაპირებითაც გამოვიდა. კერი ამომრჩევლებს ერაყიდან ამერიკელი მეომრების პირველი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე გამოყვანას ჰპირდება, ანუ, მისი თქმით, ოთხ წელიწადში ამერიკელი ჯარისკაცები ერაყიდან სახლში დაბრუნდებიან. კერი, აგრეთვე, პირობას დებს, რომ შეძლებს უფრო ძლიერი კოალიციის შექმნას (იგულისხმება იმ ქვეყნების მიმხრობა, რომელთაც ერაყის ომს მხარი არ დაუჭირეს: საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, კანადა...) და ერაყში პასუხისმგებლობის გადანაწილებას კოალიციურ ქვეყნებთან თანამშრომლობით. ამით კერი ცდილობს, გარკვეულწილად გააერთიანოს თავისი ამომრჩევლები: ისინი, ვისაც უნდა, რომ ამერიკელი სამხედროები დაბრუნდნენ სახლში და ვინც ერაყში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას უჭერს მხარს. კითხვები კი ისევ იბადება კერის განცხადებებზე: იქნება თუ არა საკმარისი ოთხი წელი ერაყის ომის საბოლოო დასრულებისათვის? იქნება თუ არა ერაყის მთავრობა მზად, იტვირთოს ქვეყნის სრული მართვა ამ ოთხ წელიწადში? დამყარდება თუ არა დემოკრატია ერაყში ოთხ წელიწადში? კერის თავის გეგმასთან დაკავშირებით დეტალები არ დაუზუსტებია.

კერისაგან განსხვავებით, ბუშს სურს, საქმე ბოლომდე მიიყვანოს - ერაყიდან მხოლოდ გამარჯვებული დაბრუნდეს და ერაყი დამოუკიდებელ, ტერორიზმისაგან და დიქტატურისაგან თავისუფალ სახელმწიფოდ გარდაქმნას.

ნოემბრამდე კიდევ არის დრო. დღეისათვის კერისა და ედვარდსის გამარჯვების შანსები ბუშსა და ჩეინისთან შედარებით მცირეა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თუ ნადერმა ამომრჩეველთა ხმების 3-5 პროცენტი დააგროვა, ეს იქნება კერის ამომრჩევლების ხმები და ამით კერი გაცილებით იოლად დამარცხდება საპრეზიდენტო არჩევნებში (სწორედ ნადერის ხმებს აბრალებენ დემოკრატები 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ელ გორის დამარცხებას. დემოკრატებმა თხოვნითაც კი მიმართეს ნადერს, რომ კანდიდატურა მოეხსნა, მაგრამ ნადერმა მაინც გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობის მიღება).

თუ პრეზიდენტმა ბუშმა ნოემბრამდე შეძლო დღევანდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და უარყოფითი ცვლილებები არ მოხდა შეერთებული შტატების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაშინ ჯონ კერის გამარჯვების შანსი, ფაქტობრივად, აღარ რჩება. ასევე, ბუშისათვის კარგი იქნებოდა, თუ ექსპერტების რეკომენდაციებსა და შენიშვნებს გაიზიარებდა და საარჩევნო კამპანიის სტრატეგიას ოდნავ მაინც შეცვლიდა, რათა უფრო მეტი დამოუკიდებელი და მდედრობითი სქესის

ᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

ჰაიტი. ჰაიტიზე წყალდიდობის შედეგად, რომელიც ტროპიკულმა შტორმმა "ჯენიმ" გამოიწვია, 50 ადამიანი დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ათობით ოჯახი იძულებული გახდა, დახმარების მოლოდინში თავი საკუთარი სახლების სახურავებზე შეეფარებინა. როგორც ჰაიტის პრემიერ-მინისტრმა ჟერარ ლატორტიუმ განაცხადა, ხელისუფლებას ჯერ არა აქვს ზუსტი ინფორმაცია მიყენებული ზარალის შესახებ. ქვეყანაში მყოფი გაერო-ს სამშვიდობო ძალების სამეთაურო შტაბის წარმომადგენლები კი იტყობინებიან, რომ სტიქიურ უბედურებას მსხვერპლად 50 ადამიანი შეეწირა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რაოდენობა კი დგინდება. ჰაიტიმდე "ჯენიმ" მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიაყენა პუერტო-რიკოსა და დომინიკის რესპუბლიკას, სადაც მსხვერპლიც დაფიქსირდა. ამჟამად კი ქარიშხალი "ჯენი" ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გადაადგილდება და ბაჰამის კუნძულებს ემუქრება. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

ერაყი. ერაყში დისლოცირებული აშშ-ს ჯარების აჭურვილობას ახალი საიდუმლო იარაღი დაემატება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომავალი წლის სექტემბერში ქვეითთა ჯავშანმანქანები მიკროტალღური ქვემეხით აღიჭურვება კოდური სახელწოდებით "შერიფი". მიკროტალღური ქვემეხის საშუალებით შესაძლებელია კონცენტრირებული ელექტრომაგნიტური ტალღის გავრცელება ერთი კილომეტრის მანძილზე. გავრცელების არეალში მოხვედრილ ადამიანს კანქვეშ 0.3 მმ-ის სიღრმეზე წყლისა და სისხლის მოლეკულების დუღილი ეწყება, რაც უმწვავეს ტკივილს იწვევს. საკმარისია ელექტრომაგნიტური ტალღის მოქმედების ზონიდან გამოსვლა, რომ ტკივილი წყდება. ნიუ-მექსიკაში განთავსებული ლაბორატორიის თანამშრომლები, რომლებმაც ზემოაღნიშნული ტექნოლოგია შეიმუშავეს, მიიჩნევენ, რომ ქვემეხის მოქმედება უვნებელია ადამიანის ორგანიზმისთვის და მისი გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია ხალხმრავლობის წინააღმდეგ. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

ინდონეზია. გუშინ ინდონეზიაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დაიწყო. არჩევნების პირველი ტური 5 ივლისს შედგა. მაშინ 5 კანდიდატიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო 50 პროცენტიანი ბარიერის გადალახვა, მათ შორის ვერც ამჟამინდელმა პრეზიდენტმა მეგავატი სუკარნოპუტრიმ და ვერც მისმა "ძალოვანმა" მინისტრმა სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ. ამჟამად კი ამ ორ ფინალისტს შორის, რომლებმაც პირველ ტურში მხოლოდ 33.6 და 26.6 პროცენტი მოიპოვეს, გამარჯვებული მარტივად გამოვლინდება ხმათა უმრავლესობით. დამოუკიდებელი კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, იუდჰოიონომ 62 პროცენტი უნდა აიღოს, მაშინ როცა სუკარნოპუტრის 38 პროცენტის მოპოვებას უწინასწარმეტყველებენ. გახსნილია 567 ათასი საარჩევნო უბანი. საგარაუდოდ არჩევნებში მონაწილეობას 120 მლნ ამომრჩეველი მიიღებს ანუ საარჩევნო ხმის უფლების მქონე ინდონეზიელების 80 პროცენტი. ხმის მიცემა შეუძლიათ მათაც, ვისაც ჯერ არ შესრულებია 17 წელი, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი დაოჯახებულები უნდა იყვნენ. **24 საათი**

■ ■ ■

თურქეთი. თურქეთის სამხრეთში მდებარე საპორტო ქალაქ მერსინში პოპულარული თურქი მომღერლის კონცერტის დროს აფეთქება მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა საკონცერტო მოედნის მახლობლად მდგარი პოლიციის ავტომანქანის ქვეშ იყო დამონტაჟებული. წინასწარი მონაცემებით, ტერაქტის შედეგად დაახლოებით 18 ადამიანი დაშავდა. მათ შორის მძიმედ დაიჭრა ორი პოლიციელი. აფეთქების ადგილზე სპეცსამსახურების თანამშრომლები მუშაობენ. ტერიტორიის შემოწმების დროს მათ კიდევ ორი საეჭვო პაკეტი აღმოაჩინეს, რომლებშიც, სავარაუდოდ, ასაფეთქებელი ნივთიერება იყო მოთავსებული. ამჟამად პოლიცია გამოყენებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ტიპს ადგენს. ვინ დგას ტერაქტის უკან, ჯერჯერობით უცნობია. გასული წლის ნოემბერში სტამბოლში სინაგოგების და ბრიტანული ობიექტების წინააღმდეგ ტერაქტების სერია განხორციელდა, რომლის შედეგად 60-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ხელისუფლება აფეთქებებში "ალ-ქაიდას" საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ადგილობრივ ნაციონალისტებს ადანაშაულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გერმანია. აღმოსავლეთ გერმანიის ორ მხარეში კვირას გამართულ საპარლამენტო არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ულტრამემარჯვენეებმა და ყოფილმა კომუნისტებმა. საქსონიაში ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც გერმანიის მთავრობა ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის თანამედროვე ვერსიად მიიჩნევს, 1968 წლიდან პირველად იქნება წარმოდგენილი პარლამენტში. წინასწარი მონაცემებით, პარტიამ ამომრჩეველთა ხმების 9 პროცენტი მოაგროვა. პოზიციები გაიუმჯობესა აღმოსავლეთ გერმანელ კომუნისტთა მემკვიდრემ - დემოკრატიული სოციალიზმის პარტიამ, რომელსაც ელექტორატის 32 პროცენტმა მისცა ხმა (წინა არჩევნებში პარტიას ამომრჩეველთა 22 პროცენტმა დაუჭირა მხარი). ბრანდენბურგის მხარეში ექს-კომუნისტებმა 28 პროცენტი მოაგროვეს. ისევე, როგორც ახლახან გამართულ სხვა არჩევნებში, კანცლერ გერჰარდ შრიოდერის სოციალურ-დემოკრატიულმა პარტიამ სერიოზული დანაკარგები განიცადა. ამომრჩევლებმა ამგვარად გამოხატეს უკმაყოფილება ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონითა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმით. ორი გერმანიის გაერთიანებიდან 15 წლის შემდეგ აღმოსავლეთ გერმანელები, დასავლელ თანამემამულეებთან შედარებით, ნაკლებ ხელფასს, დახმარებასა და პენსიას იღებენ. აღმოსავლეთ გერმანიის ყოველი მეხუთე შრომისუნარიანი მცხოვრები უმუშევარია.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ორმა ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიამ - სოციალ-დემოკრატებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა - ხმების ნაწილი დაკარგეს, მათ ორივე მხარეში ხელისუფლება შეინარჩუნეს. სოციალ-დემოკრატებმა 33 პროცენტი მოაგროვეს ბრანდენბურგში, ქრისტიან-დემოკრატებმა კი - 43 პროცენტი საქსონიაში. **24 საათი**

ყურადღება!

კორეის მთავრობის მიერ დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკისა და მენეჯმენტის სკოლა KDI გთავაზობთ შემდეგ პროგრამებს:

- სახელმწიფო პოლიტიკა (სამაგისტრო პროგრამა)
- ბიზნესის ადმინისტრირება(სამაგისტრო პროგრამა)
- სახელმწიფო პოლიტიკა და მენეჯმენტი (დოქტორანტურა)

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის სავალდებულო მოთხოვნებია:

- რეგისტრაციის გავლა KDI სკოლის ვებგვერდზე და კონკურსზე დასაშვები ნებართვის მიღება.
- ბრწყინვალე აკადემიური მოსწრება;
- სარეკომენდაციო წერილები;
- ინგლისური ენის კარგად ფლობა.

კონკურსში გამარჯვებულ აპლიკანტთა უმრავლესობა მიიღებს სრულ სტიპენდიებს.

დაინტერესებულმა პირებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ვებგვერდზე www.kdischool.ac.kr -admission-online application login

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 29 ოქტომბერი.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: დ.უზნაძის 52, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო (ოთახი 129). ტელეფონი: 95-70-10

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲐᲛ "ᲰᲐᲛᲐᲡᲘᲡ" ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲐ

ისრაელის დაზვერვამ კვირას ჰამასის კიდევ ერთი წევრი გაანადგურა. ამჯერად ებრაელი სამხედროების მორიგი მსხვერპლი "იზ ელ-დინ ალ-კასამის ბრიგადების" (დაჯგუფების სამხედრო ფრთის) ლიდერი, 33 წლის ხალედ აბუ შამი გახლავთ. ის ღაზას ცენტრში ზუსტი სარაკეტო დარტყმის შედეგად მოკლეს.

ჰამასის ლიდერის მანქანა ღაზას ცენტრში ალ-ჯალას ქუჩაზე იმყოფებოდა, როდესაც მას რაკეტა მოხვდა. თვითმხილველთა თქმით, შამიის მანქანის მისამართით რაკეტა უპილოტო თვითმფრინავიდან იქნა გაშვებული, რომელიც გარკვეული ხნის მანძილზე ქალაქის თავზე ტრიალებდა (სხვა მონაცემებით, რაკეტა ებრაული ვერტმფრენიდან იქნა გაშვებული). აფეთქების ძალა იმდენად ძლიერი იყო, რომ "ბრიგადების" ლიდერი ადგილზევე დაიღუპა, ხოლო მისი ავტომობილი ნამსხვრევებად იქცა. თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ აფეთქების შედეგად რამდენიმე შემთხვევით გამვლელიც დაშავდა, თუმცა, არც ერთი მათგანი არ დაღუპულა.

ზუსტი სარაკეტო დარტყმის შედეგად კიდევ ერთი პალესტინელი ლიდერი მოკლეს.

ისრაელის სამხედრო დაზვერვის მონაცემებით, ჰამასის სამხედრო ფრთის 33 წლის ლიდერი პალესტინელი ტერორისტების მიერ "კასამის" ტიპის რაკეტების საწარმოო სამუშაოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ამ რაკეტებით პალესტინელები ქვეყნის სამხერთში განთავსებულ ებრაულ დასახლებებს, კერძოდ კი ქალაქ სდეროთს ბომბავდნენ. შამიი შესაძლოა, 7 სექტემბერსაც დაღუპულიყო, როდესაც ისრაელის ავიაციამ ჰამასის საწვრთნელი ბაზა დაბომბა. დაბომბვის შედეგად 15 ბოევიკი დაიღუპა, მაგრამ შამი იმ მომენტში ბაზაზე არ იმყოფებოდა.

ებრაელი სამხედროები მომხდარზე, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებენ. თუმცა, ჰამასის სხვა ლიდერებმა შამიის დაღუპვის ფაქტი აიღიარეს და პირობა დადეს, რომ შურს იძიებდნენ. "ეჭვს გარეშეა, რომ ეს ერთ-ერთი ჩვენი მოჯაჰედის გამიზნული მკვლელობა იყო. ჰამასი მტერს უსაშინლეს გაკვეთილს ჩაუტარებს," - განაცხადა ჰამასის პრეს-მდივანმა მუსირ ალ-მასრიმ.

როგორც სააგენტო როიტერი იუწყება, ღაზას სექტორში კვირას ორი პალესტინელი ექსტრემისტიც მოკლეს. ისრაელის საზღვრის სიახლოვეს, საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან, ებრაელმა ჯარისკაცებმა საზღვრის დამრღვევთა მისამართით ცეცხლი გახსნეს. ოფიციალური მონაცემებით, დაჯგუფება "ისლამური ჯიჰადის" ერთ-ერთი წევრი დაიღუპა და რამდენიმე ადამიანი დაშავდა. ანალოგიურად იქნა ლიკვიდირებული "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" სამი ტერორისტიც, რომლებიც იასირ არაფატის პარტიის - "ფათჰის" წევრები იყვნენ.

მიმდინარე წელს ისრაელის დაზვერვამ ამგვარი წერტილოვანი დარტყმებით პალესტინის არმიის უმსხვილესი ლიდერები შეიხ ახმედ იასინი და მისი მემკვიდრე აბდელ აზიზ რანტისი მოკლა. როიტერის კორესპონდენტების მონაცემებით, ბოლო ხუთი თვის მანძილზე წერტილოვანი სარაკეტო დარტყმებით ღაზას რაიონში სულ მცირე 20 ადამიანი დაიღუპა.

მშვიდობით, "ივერია"!

სასწავლო ცენტრ "ოქროს საწმისის" აღსაზრდელებმა სასტუმრო "ივერიის" წინ გამოსამშვიდობებელი კონცერტი გამართეს. მშობლებმა, ბავშვებმა და მასწავლებლებმა "ივერიის" კედლებში გატარებული დრო და დაწყებული მეგობრობა გაიხსენეს. ეს სასტუმრო ჩვენთვის თვითგადარჩენის სიმბოლო არის და იქნება - ამბობენ ისინი.

ნინო ბერელიძე

სასწავლო ცენტრი "ოქროს საწმისი" ცამეტი წლის წინათ შეიქმნა და სამ თაობაზე მეტი აღზარდა. იქ, ძირითადად, ლტოლვილი ბავშვები სწავლობენ ხელოვნებას, ლიტერატურას, მხატვრულ კითხვას, ცეკვასა და სიმღერას. "ოქროს საწმისის" ხელმძღვანელი ია ესვანჯია: **"ამ ღონისძიებით კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს მადლიერებას. აქ გატარებული დრო სევდიანი, მაგრამ უზომოდ იმედიანი იყო. უამრავი ოჯახის და ბავშვის მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი. სასწავლო ცენტრმა ბევრი ბავშვი დააკავშირა ერთმანეთს. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ქალაქის მერიას და "ღია საზოგადოება საქართველოს", რომლებიც დაგვეხმარნენ და ხელი შეგვიწყვეს ამ კონცერტის გამართვაში. მათი მხარდაჭერით და დაფინანსებით, ბავშვებს ფასიან საჩუქრებსა და სამახსოვრო სიგელებს გადავცემთ."** "ივერიიდან" გადასული ლტოლვილები საცხოვრებლად თბილისის სხვადასხვა უბანში განაწილდნენ. ამის გამო "ოქროს საწმისს" მომავალში შეიძლება ბავშვთა ნაკლებობის პრობლემა შეექმნას, თუმცა, ჯერჯერობით, ბავშვები ერთად არიან და უნდათ, რომ მომავალშიც ერთად იყვნენ. გიორგი ბენიძე, ცხრა წლის: "ორი წელია, ამ ცენტრში დავდივარ და უამრავი მეგობარი შევიძინე. მათთან ერთად ბევრი რამ ვისწავლე. ყველაზე მეტად ქართული სიმღერების სწავლა მიხარია. მინდა, ჩემს მეგობრებთან ერთად ვიყო, ისინი ჩემი სკოლის მეგობრები არიან." ეკა ყალიჩავა, თორმეტი წლის: "დიდი ხანია "ოქროს საწმისში" დავდივარ და, სადაც არ უნდა წავიდე, იქ შეძენილ მეგობრებს არ დავშორდები. მადლობას ვუხდი ყველას საჩუქრებისთვის და იმისთვის, რომ ჩემი სახლი მაქვს."

მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე სანიტრები და ექიმებიც იზრუნებენ

ნანა ქადაგიშვილი

როგორც თბილისის მერიის ხელმძღვანელობა აცხადებს, დედაქალაქის სკოლები ახალ სასწავლო წელს წელგამართული შეხვდნენ - ანუ, შეძლებისდაგვარად გამაგრებული შენობები, საქალაქო ტრანსპორტი და საპატრული პოლიცია მოსწავლეთა სამსახურში დგას. თუმცა, პატარების უსაფრთხოების დასაცავად მხოლოდ ეს არ კმარა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას გვაფრთხილებს, რომ ამ პერიოდში ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი მატულობს. დაწესებულებაში, სადაც კურორტებიდან დაბრუნებული უამრავი ბავშვი იყრის თავს, ინფექციის გავრცელება ბუნებრივიც არის, მაგრამ ხშირად ამას გარეგანი ფაქტორებიც უწყობს ხელს. დედაქალაქში არცთუ ცოტაა ისეთი სკოლა, სადაც შენობაში შესული ადამიანი საპირფარეშოს, უკაცრავად გამოთქმისთვის და, სუნით მიაგნებს. ბინძური სველი წერტილები კი კუჭ-ნაწლავის ინფექციების გავრცელების საუკეთესო წყაროა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრმა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობა მკაცრად გააფრთხილა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სველი წერტილების დეზინფექცია ჩაეტარებინათ. თუმცა, ჯერჯერობით, უცნობია, საბავშვო ბაღებისა და სკოლების დირექტორებმა რამდენად მიაქციეს ამ გაფრთხილებას ყურადღება. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებების სანიტარიული მდგომარეობის შემოწმებას 25 სექტემბრიდან იწყებს. ასე რომ, სასწავლო წლის დასაწყისისთვის საბოლოო მზადყოფნას მხოლოდ ამ შემოწმების შედეგები გვიჩვენებს. უკეთესი იქნებოდა, ეს ღონისძიება სასწავლო წლის დაწყებამდე ჩატარებულიყო, მაგრამ, როგორც ინსპექციაში აცხადებენ, **"მსგავსი შემოწმებები, ტრადიციულად, სასწავლო წლის დაწყების შემდეგ ტარდება, რადგან მანამდე ბაღებსა და სკოლებში არავინ არის."**

სანიტარიულ ინსპექციასთან ერთად მოსწავლეთა ჯანმრთელობის უსაფრთხობაზე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიც იზრუნებს. სექტემბრის ბოლოს ერთი, ხუთი და ცამეტი წლის ბავშვებს მთელი ქვეყნის მასშტაბით წითელას, წითურასა და ყბაყურას საწინააღმდეგო აცრებს ჩაუტარებენ. როგორც ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე აცხადებს, ვაქცინები უკვე მიღებულია და ექიმები შესაბამის ტრენინგებს გადიან.

ორი სიტყვით

ზუგდიდი. გუშინ სწავლა განახლდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩის საშუალო სკოლაშიც, რომელიც მდინარე ენგურს გაღმა მდებარეობს, თუმცა, ზუგდიდის რაიონის ტერიტორიას ეკუთვნის. სოფელი ხურჩა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევს ესაზღვრება. ხურჩის სკოლიდან ნაბაკევის ცენტრამდე, სადაც აფხაზ "ბოევიკთა" ჯგუფია დაბანაკებული, სულ 200 მეტრია. ხურჩის მცხოვრებლების განცხადებით, გუშინ და დღეს აფხაზური საგუშაგოებიდან სკოლის მიმართულებით ისროდნენ, რაც ადგილობრივთა დაშინებას ისახავდა მიზნად. თუმცა, დღეს სასწავლო წელი სკოლაში მაინც დაიწყო და გაკვეთილებზე 60-მდე მოსწავლე მივიდა. სოფელ ხურჩაში მდებარე საშუალო სკოლა გალის რაიონის საზღვრისპირა სოფლებს ოტობაიას, ნაბაკევსა და თაგილონს ემსახურება.

European Union

Ministry of Justice Republic of Georgia

United Nations Development Programme

საინფორმაციო შეხვედრა

გაერო-ს განვითარების პროგრამა საქართველოში აცხადებს წინასაკვალიფიკაციო კონკურსს კვალიფიციური სამშენებლო ფირმებისათვის რუსთავის ციხის სასწრაფო სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, მობრძანდნენ საინფორმაციო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება გაერო-ს სახლში ოთხშაბათს, 22 სექტემბერს 14.00 საათზე.

რუსთავის ციხის რეაბილიტაცია, გაერო-ს განვითარების პროგრამა საქართველოში,
გაერო-ს სახლი, ერისთავის ქ. 9, თბილისი 0179, საქართველო.
ტელ: 998 558 / 25 11 26, ფაქსი: 250271/72, ელ. ფოსტა: petter.meirik@undp.org
www.undp.org.ge/News/tenders.html

შპს **"საქაერონავიგაცია"** აცხადებს, რომ აგრძელებს სატენდერო წინადადებების მიღებას ჩვენს ვებ-გვერდზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებში გამოცხადებულ ტენდერში შემდეგი სანავიგაციო მოწყობილობების შესყიდვის თაობაზე

- **აეროდრომის რადარი (MSSR)**
- **ცრიული VNF რადიოშუქურა (VOP)**
- **მეტად მაღალი სიხშირის რადიოსადგური (VHF)**

სატენდერო წინადადებების მირება იწარმოებს 2004 წლის 30 სექტემბრის 17.00 საათამდე. ტენდერის მონაწილეებს, რომლებმაც უკვე წარმოადგინეს მათი წინადადებები, ეძლევათ უფლება შეცვალონ მათი სატენდერო წინადადებები.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ტელეფონზე +995 77 79 95 17
და შპს "საქაერონავიგაციის" ვებ-გვერდზე:
http://www.airnav.com.ge

სასწავლო წელი დაიწყო

პირველი გვერდიდან

მათ შორის ცხინვალის რეგიონში, თამარაშენის საშუალო სკოლის აღდგენილ შენობაშიც. სკოლებში შესრულდა საქართველოს ჰიმნი და აღიმართა საქართველოს დროშა.

საქართველოს ყველა პირველკლასელმა, განურჩევლად სკოლის ტიპისა, პრეზიდენტის ფონდიდან საჩუქრად მიიღო სასკოლო ჩანთა და სახელმძღვანელოები.

- სადღესასწაულო, მაგრამ მასწავლებლისთვის უხერხული, არასამუშაო დღეა. ბუნებრივია, რომ მშობლებს სურთ შვილების ახალ გარემოში ნახვა, ფოტოების გადაღება, მაგრამ ისეთი არეულობა იქმნება, რომ, ფაქტობრივად, ბავშვებს მეორე-მესამე დღეს თუ ვხედავ, - პირველი დღის პირველი კლასის სტაჟიანი მასწავლებლისეული შეფასება.

უფროსკლასელები "საქმის კურსში" არიან:

- ათ ლარს როდის მოგვცემენ, ეგრევე ბარში მივდივართ.

- დირექტორი ნოემბრამდე იქნება და მერე ჩვენ ავირჩევთ.

- გამოცდები აღარ გვექნება...

- მასწავლებლები შეგვეცვალა, ბევრი გაუშვესო...

- საგნები დაგვაკლდა, უფრო ცოტა გაკვეთილი გვექნება...

მოსწავლეთა და მასწავლებელთა გასაგონად: პრეზიდენტის ფონდიდან ათ ლარს მიიღებს სახელმწიფო სკოლის ყველა მოსწავლე მეორიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით. თანხა რეკომენდებულია სახელმძღვანელოების შესაძენად, თუმცა, არც ბარში დახარჯვა იკრძალება, მით უმეტეს, რომ რამდენიმე სახელმძღვანელო ათ ლარზე ძვირი ღირს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

საქართველოს ყველა პირველკლასელმა, განურჩევლად სკოლის ტიპისა, პრეზიდენტის ფონდიდან საჩუქრად მიიღო სასკოლო ჩანთა და სახელმძღვანელოები.

2004-2005 სასწავლო წელს დირექტორებს სამეურვეო საბჭო აირჩევს, სამეურვეო საბჭოში კი მშობლები და მასწავლებლები ერთად იქნებიან.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები არ იქნება, ისევე, როგორც სკოლის გამოსაშვები გამოცდები - საგამოცდო ცენტრებში ჩატარდება ტესტირება და დაგროვებული ქულები იქნება შედეგი, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტი ჩაირიცხება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველოს ზედმეტი მასწავლებელი არ ჰყავს და სამინისტროს განკარგულებით არც ერთ მასწავლებელს სკოლა არ დაუტოვებია.

კვირაში გაკვეთილებად განაწილებული საგნები, მართლაც, შემცირდა - მოსწავლეებს უფრო მეტი დრო ექნებათ საკუთარ თავზე სამუშაოდ, მაგრამ არ შემცირებულა საათების - გაკვეთილების რაოდენობა წლიურად, რადგან ახლა წელიწადში 34 კვირის ნაცვლად 38 სასწავლო კვირა იქნება.

უფროსი კლასების მასწავლებელი: ჩვენგან მასწავლებლები არ გაუშვიათ და ნელ-ნელა გავერკვიეთ საათებისა და ანაზღაურების "ახალ წესებში". სახელმძღვანელოებიც, ჯერჯერობით, ძველია. მე უფრო მეტ სიახლეს ველოდები, რომელიც სწავლებას უფრო სახალისოსა და ეფექტურს გახდის.

ხარისხი და ჭილდო

ფონდ "ქართული ხარისხისა" და "საქართველოს გადამხდელთა კავშირის" წევრები გვპირდებიან, რომ ამიერიდან ხარისხიანი წარმოების სტიმულირების მიმართულებით ერთობლივ მუშაობას შეუდგებიან. ის კომპანიები, რომლებსაც "ხარისხის ნიშანი" აქვთ მინიჭებული, თუ პირნათლად არ შეასრულებენ აღებულ ვალდებულებებს და დაარღვევენ მაღალი ხარისხის მოთხოვნებს, ჩამოერთმევათ "ხარისხის ნიშნის" გამოყენების უფლება. ფონდ "ქართული ხარისხის" ერთწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში "ხარისხის ნიშნით" სულ 23 კომპანია დაჯილდოვდა. გუშინ ეს ნიშანი კიდევ სამ ქართულ კომპანიას მიენიჭა.

თამარ დვალი

ფონდის პრეზიდენტმა გიგლა კუნჭულიამ აღნიშნა, რომ ერთი კომპანიის შემოწმებას 20 დღიდან სამ თვემდე დრო სჭირდება. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ფონდი "ქართული ხარისხი" პრესტიჟულ დაწესებულებაში შესულა შესამოწმებლად და აღმოუჩენია, რომ კომპანია ვერც ერთ კრიტერიუმს ვერ პასუხობს. საქართველოში ასე მომრავლებულ რესტორნებში კი ყველაზე დიდი პრობლემა მომსახურების დაბალი დონეა. ქართველ სპეციალისტებს ამიერიდან ხარისხის მენეჯმენტში ნიდერლანდებიდან მოწვეული ექსპერტებიც დაეხმარებიან.

იმის გამო, რომ ფონდ "ქართული ხარისხის" ერთ-ერთი დამფუძნებელი "საქართველოს გადამხდელთა კავშირია," კავშირის ახლად დანიშნული დირექტორი გიორგი ისაკაძე გამოდის ინიციატივით: **"კარგია "ხარისხის ნიშნის" მინიჭება, მაგრამ შესაქმნელია მონიტორინგის სამსახური, რომელიც გააკონტროლებს ამ ხარისხის ვადიანობას და იმ სტანდარტებს, რისთვისაც კომპანიას ეს ნიშანი მიენიჭა".**

ისაკაძე ოქტომბრის დასაწყისისთვის კიდევ ბევრ სიახლეს გეგმავს. მისივე თქმით, დიდი სტრუქტურული ცვლილებებია მოსალოდნელი. "გადამხდელთა კავშირის" ნაცვლად, ასოციაცია ჩამოყალიბდება. **"ჩვენ ორიენტირებული არ ვიქნებით წევრთა რაოდენობაზე, არამედ ვეცდებით, შევკრიბოთ ის ხალხი, ვინც რეალურად იმუშავებს. გაიზრდება საწევრო შენატანი და სარეკომენდაციო პუნქტები. თვის ბოლოს გაიმართება საქმიანი წრეებისა და ბიზნესმენების ყრილობა, რომელზეც მოხდება ახალი სტრუქტურის პრეზენტაცია. ჩვენ ვაპირებთ, ავამუშაოთ ცხელი ხაზი, რათა უფრო ადვილად მივაწოდოთ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას ბიზნესში არსებული პრობლემები,"** - განაცხადა ისაკაძემ.

ერთი წლის წინათ, 19 სექტემბერს "ხარისხის დღე" დაწესდა. გუშინ ამ დღის აღსანიშნავად ფონდმა "ქართული ხარისხი" "პირველი ჟურნალი", ჰიპერმარკეტი "გუდვილი" და "თელიანი ველი" დააჯილდოვა. ბეჭდვითი მედია პირველად მოექცა "ქართული ხარისხის" ყურადღების ცენტრში, რისი მიზეზიც სტატიების მაღალი დონე კი არა, არამედ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ჟურნალის ფურცლებია. "პირველი ჟურნალი" 2001 წლიდან გამოდის. იგი სტამბულში იბეჭდება.

რაც შეეხება ჰიპერმარკეტ "გუდვილს", იგი თვენახევრის წინ შეიქმნა და მას ცივილიზებული ბაზრობის სახე აქვს. ჰიპერმარკეტი - ეს არის თანამედროვე მიმართულება ვაჭრობაში, სადაც მომსახურების განსხვავებული კულტურა და საქონლის შენახვის საუკეთესო პირობებია. ბაზრობისგან განსხვავებით, აქ პროდუქტის ხარისხი და ვადიანობა მკაცრად კონტროლდება.

"ხარისხის ნიშანი" გუშინ ღვინის მწარმოებელ ერთ ქართულ კომპანიასაც მიენიჭა. "თელიანი ველი" 1997 წელს დაარსდა და მის მიერ წარმოებული თეთრი, ვარდისფერი და წითელი მშრალი, ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი ნატურალური ღვინოების ხარისხი საუკეთესოდაა აღიარებული. როგორც კომპანიის პრეზიდენტმა ლევან მჭედლიშვილმა გვითხრა, კარგი ღვინო ეწოდება იმას, რომელიც შაქრის, საღებავისა და წყლის ნარევი არ არის. ასეთი წესით დამზადებული სასმელი დღეს იმდენად ბევრია, რომ მან ქართველი მომხმარებლის გემოვნებაც კი შეცვალა.

ფოსტა

დაეხმარეთ მათ, ვისაც დახმარების თხოვნაც კი არ შეუძლიათ

ჩვენს ქვეყანაში, უამრავი პრობლემის ფონზე, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ძალიან გაუგებარია უპატრონო ძაღლების ბედზე წუხილი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მაწანწალა ცხოველების განადგურების პროცესის საკუთარი თვალით ნახვის შემდეგ, ბევრი მათგანი აზრს შეიცვლიდა და ძალიანაც აღშფოთდებოდა.

ძაღლმჭერი ბრიგადები, რომელთა მოვალეობა აგრესიული და დაავადებული ცხოველების იზოლირება უნდა იყოს, ხშირად პატრონიან და ეზოს მიკედლებულ ძაღლებსა და კატებსაც იჭერენ და ბარბაროსული მეთოდებით უმკლავდებიან. ცხოველებს იჭერენ რკინის მაშებით (რაც საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებით იკრძალება) და ხერხემალს უმტვრევენ. ცოცხლად გადარჩენილ ძაღლებს, მოკლულებთან ერთად, რამდენიმე დღის განმავლობაში საგანგებო კონტეინერში ტოვებენ, შემდეგ კი ბეკერის ორმოში ცოცხლად მარხავენ. წესით, დაჭერილი ცხოველი ელექტროშოკით უნდა გაანადგურონ.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ცხოველებს იჭერენ რკინის მაშებით (რაც საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებით იკრძალება) და ხერხემალს უმტვრევენ.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უსახლკარო ცხოველების დაჭერითა და განადგურებით პრობლემა არ გვარდება. მაგალითად, ჩინეთში ბეღურები მთლიანად გაანადგურეს, რამაც სახელმწიფო ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა. 1986 წელს პრაღაში უპატრონო ძაღლების მოსპობის შედეგად ვირთხები ისე მომრავლდა, მოქალაქეები შიშით ქალაქში ვეღარ გამოდიოდნენ. 1999 წელს იგივე განმეორდა კატმანდუში, სადაც 10 000 ძაღლი გაანადგურეს. ასეთივე ბედი ელის ჩვენს ქვეყანას.

არანაკლებ სამწუხაროა ისიც, რომ ცხოველებს ხშირად ბავშვების თანდასწრებით იჭერენ, რაც მათ ფსიქიკას აზიანებს. ზოგს სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს, ზოგს კი სისასტიკისკენ უბიძგებს.

უპატრონო ცხოველების პრობლემის მოგვარება მხოლოდ ევროპაში დანერგილი ცივილიზებული მეთოდით არის შესაძლებელი. ასეულ ათასობით ლარი, რაც მაწანწალა ცხოველების დაჭერა-განადგურებაზე იხარჯება, ჯობს, მათი რაოდენობის ჰუმანური მეთოდით რეგულირებას მოხმარდეს. პროექტი, რომელიც ამ ჰუმანური მეთოდის დანერგვას ითვალიწინებს, ორი წელიწადია, თაროზეა შემოდებული. ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებმა დახმარებისთვის არაერთხელ მიმართეს ხელისუფლების სათანადო ორგანოებს, მაგრამ უშედეგოდ.

სიკეთე მხოლოდ ახლობლებისადმი მზრუნველობა როდია. სიკეთე სჭირდებათ ამ დაუცველ არსებებსაც, რომელთაც დახმარების თხოვნაც არ შეუძლიათ და მათი ბედი მხოლოდ ადამიანების კეთილშობილებაზეა დამოკიდებული. იმედი გვაქვს, საქართველოს ხელისუფლება ჩვენს თხოვნას გაითვალიწინებს და ამ პროგრამის ამოქმედებაზე იზრუნებს.

რუსუდან ხუნწარია - *ცხოველთა დაცვის საქველმოქმედო ფონდი "არგუსი"*; მანანა ქოჩლაძე - *ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"*; ლაშა ჩხარტიშვილი - *გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველთა კავშირი "ლობა"*; ლექსო ხუბულავა - *ცხოველთა უფლებების კომიტეტი*; ნინო ქათამაძე - *მუსიკოსი*; ნინო ახობაძე - *კავშირი "ცენტრი ჯავარი"*; იუზა ბერაძე - *საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის ექსპერტი*

თბილისს ახალი პროკურორი ჰყავს

დედაქალაქის ყოფილმა პროკურორმა არანაკლებ გავლენიან თანამდებობაზე გადაინაცვლა

გიორგი ღვინიაშვილმა და ვალერი გრიგალაშვილმა, გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, სავარძლები გაცვალეს.

მიუხედავად იმისა, რომ გენერალურ პროკურატურაში საკადრო ოპტიმიზაციასთან დაკავშირებულ ბრძანებებს ხელი კარგა ხნის წინ მოეწერა და პროკურატურაში დაწყებული საკადრო წმენდა-გადაადგილებები, შესაბამისად, კარგა ხნის წინ გამოცხადდა დასრულებულად, ამავე უწყებაში მიმდინარე საკადრო ცვლილებებს დღემდე ბოლო მაინც არ უჩანს. რეფორმის ტალღას აყოლილი ეს ცვლილებები, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. თუმცა, ბოლოდროინდელ ამ პროცესებს, ცვლილება პირობითად შეიძლება ეწოდოს, რადგან ერთი და იგივე მაღალჩინოსნები თანამდებობებს ერთმანეთს უცვლიან.

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ დილით გავრცელებული ინფორმაცია, რომ დედაქალაქის პროკურორმა თანამდებობა დატოვა, არავისთვის ყოფილა მოულოდნელი, რადგან ბოლო დროს პერიოდულად ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ გარკვეული მიზეზების გამო დედაქალაქის პროკურორი თანამდებობის შენარჩუნებას ვეღარ შეძლებდა. თუმცა, როგორც გაირკვა, გრიგალაშვილმა პოსტიდან გადადგომის თაობაზე განცხადება სხვა თანამდებობაზე გადასვლასთან დაკავშირებით გააკეთა.

საუბარი იმის შესახებ, რომ ვალერი გრიგალაშვილს "წყალი აქვს შეყენებული", ჯერ კიდევ ირაკლი ოქრუაშვილის გენპროკურორად დანიშვნისთანავე დაიწყო და ზურაბ ადეიშვილის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შემდეგაც გაგრძელდა. ეს კულუარული ჭორები გუშინ მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა - ვალერი გრიგალაშვილი, მართალია, დაემშვიდობა დედაქალაქის პროკურორის სავარძელს, მაგრამ გენერალურ პროკურატურაში არანაკლებ გავლენიან თანამდებობაზე "გადაბარგდა". თბილისის ყოფილმა პროკურორმა, რომლის მისამართითაც ბოლო დროს არაერთი ბრალდება გაისმოდა, გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და უშიშროების სამინისტროში მოკვლევაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის პოსტი დაიკავა. ერთი სიტყვით, თბილისის ყოფილი პროკურორი ამიერიდან ზედამხედველის ფუნქციას შეასრულებს.

რაც შეეხება ამ დეპარტამენტის ყოფილ უფროსს - გიორგი ღვინიაშვილს, იგი გუშინ დედაქალაქის პროკურორად დაინიშნა. ერთი სიტყვით, გიორგი ღვინიაშვილმა და ვალერი გრიგალაშვილმა, გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, სავარძლები გაცვალეს.

"ეს არც დაქვეითებაა და არც დაწინაურება, არამედ ჩვეულებრივი საკადრო ცვლილებაა, რომელიც რეფორმის ფარგლებში ხორციელდება", - ასე შეაფასა გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ პროკურატურის სისტემაში მაღალჩინოსანთა მორიგი გადანაცვლება.

დედაქალაქის პროკურორობიდან არანაკლებ სოლიდურ და გავლენიან თანამდებობაზე ვალერი გრიგალაშვილი გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ გუშინ დიდი ქება-დიდებით გააცილა. საკუთარ თავს საქებარი სიტყვები არც თავად თბილისის ყოფილმა პროკურორმა დააკლო. თუმცა არავის უხსენებია ის გახმაურებული და სკანდალური საქმეები, რომელთა გამოც დედაქალაქის ყოფილ პროკურორს უარყოფით კონტექსტში ხშირად მოიხსენიებდნენ, რაც ვალერი გრიგალაშვილის ჯერ კიდევ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორობის დროინდელ საქმიანობასაც უკავშირდება.

"ვალერი გრიგალაშვილმა თბილისის პროკურორის პოსტზე მუშაობისას შეძლო ის, რაც ვერც ერთმა მისმა წინამორბედმა ვერ გააკეთა", - ასეთი გახლავთ გენერალური პროკურორის მოადგილის გიორგი ჯანაშიას შეფასება, რომელიც ქალაქის ყოფილმა პროკურორმა დაიმსახურა.

"თბილისის პროკურორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში შევძელი, უწყება ყოფილი პროკურორის, მიხეილ ქურდაძის პერიოდის პროკურატურისთვის დამემსგავსებინა და ისეთივე დისციპლინირებული გამეხადა. დედაქალაქის პროკურორად ჩემი ყოფნის დროს ეს უწყება საოცრად გამჭვირვალე იყო და ყველა საქმე საზოგადოებრივ სამსჯავროზე გადიოდა. კიდევ რამდენიმე რეზონანსული საქმის გახმაურებას ვგეგმავდი", - აცხადებს ახალი თანამდებობით კმაყოფილი ვალერი გრიგალაშვილი.

რაც შეეხება თბილისის ახალ პროკურორს გიორგი ღვინიაშვილს, ის პროკურატურის სისტემაში 1986 წლიდან მუშაობს და გავლილი აქვს ყველა შესაბამისი საფეხური. თავისი კარიერა ამ სისტემაში გამომძიებლობიდან დაიწყო. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ღვინიაშვილი იუსტიციის სამინისტროში, შემდეგ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსად მუშაობდა, ბოლოს კი გენპროკურატურის სამართალდამცავ ორგანოებში გამოძიებაზე ზედამხედველი სამმართველოს უფროსის პოსტი ეკავა.

"ქალაქის პროკურორის პოსტი ორმაგად საპასუხისმგებლო თანამდებობაა და მე გავაგრძელებ დანაშაულთან შეუპოვარი ბრძოლის იმ კურსს, რომელიც გენერალურ პროკურატურას აქვს აღებული", - განაცხადა გუშინ თბილისის ახალმა პროკურორმა წარდგენისას.

ერთი სიტყვით, პროკურატურაში მიმდინარე რეფორმა ჯერ დასრულებული რომ არ არის, გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა. ამ უწყების მაღალჩინოსნების მომდევნო გადაადგილება-გადანაცვლების შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი.

სასტიკი მკვლელობის საქმე გახსნილია

რუსთავის პოლიციის თანამშრომლებმა რამდენიმე დღის წინ მომხდარი სასტიკი მკვლელობის საქმე გახსნეს. რუსთაველი ლამარა ჯალიაშვილის საცხოვრებელ ბინაში შეჭრილმა რამდენიმე თავდამსხმელმა მოხუცი ქალბატონის მკვლელობის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე დღით მოახერხა მიმალვა. გამოძიებისთვის ცნობილია, რომ მოხუცზე განხორციელებულ თავდასხმაში ოთხკაციანი ჯგუფი მონაწილეობდა, თუმცა სამართალდამცველებმა სამი ყაჩაღის დაკავება შეძლეს. მეოთხე ეჭვმიტანილი პოლიციას ხელიდან დაუსხლტა. მასზე ძებნაა გამოცხადებული.

"ყაჩაღური ჯგუფის წევრებმა ლამარა ჯალიაშვილს ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. მართალია, მოხუცმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო, მაგრამ თავდამსხმელებმა ის მაინც გაკოჭეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და ბლაგვი საგნით თავის არეში მძიმე დაზიანებები მიაყენეს. ყაჩაღებმა ლამარა ჯალიაშვილის ბინიდან ფული და საოჯახო ნივთები გაიტაცეს. თავდამსხმელებისგან მიყენებული მძიმე დაზიანებების გამო დაზარალებულის გადარჩენა ვერ მოხერხდა",- აცხადებს რუსთავის პოლიციის უფროსი დავით ცირეკიძე.

4-კაციანი ყაჩაღური ჯგუფის დაკავებულ სამ წევრს - თენგიზ ლაბაძეს, გიორგი ცომაშვილს და სერგეი ვეჩერს - გუშინ რუსთავის სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. განზრახ მკვლელობა და ყაჩაღობა - ეს ის ბრალდებებია, რომლებიც დაკავებულებს წარუდგინეს და რომლებიც 10-დან 20-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

24 საათი

რას აკეთებს საპატრულო პოლიცია ერთი კვირის მანძილზე

10-დან 17 სექტემბრამდე ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ქვეყნის საავტომობილო გზებზე გამოვლენილია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის 1.313 ფაქტი, მათ შორის: ავტომანქანის მართვა არაფხიზელ მდგომარეობაში - 12, გადაჭარბებული სიჩქარით - 215, გასწრების წესების დარღვევით - 280, გზაჯვარედინზე გავლის წესების დარღვევით - 40, ავარიული სიტუაციის შექმნა - 25, საგზაო ნიშნის ან მონიშვნის ხაზის მოთხოვნათა დაუცველობა - 221, ტექნიკურად გაუმართავი - 30, დაუმორჩილებლობა - 15, ტექნიკური დათვალიერების გარეშე - 108, სახელმწიფო სანომრე ნიშნების გარეშე - 25, მართვის მოწმობის გარეშე - 16, სხვა დარღვევები - 326.

ჯარიმის სახით ამოღებულია ერთი გატაცებული ავტომანქანა, საბუთების გარეშე გამოვლენილია 10 კუბური მეტრი ხის მასალა, 3.000 ლარის ღირებულების ტანსაცმელი, 1.700 ლარის ღირებულების 47 ტომარა ფქვილი, 10 ყუთი სიგარეტი აქციზური მარკების გარეშე და 2.700 ლარის ღირებულების 3.290 ლიტრი დიზელის საწვავი.

მედია-ნიუსი

დეპუტატობის კანდიდატს გათავისუფლებას ითხოვენ

ადვოკატი დავით ხაჟალია ბათუმის საქალაქო სასამართლოს უახლოეს დღეებში მიმართავს საქართველოს ერთიანობის კავშირის წევრის ჯუმბერ თავართქილაძის წინასწარი სამთვიანი პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით.

ხაჟალიას განცხადებით, თავართქილაძე 24 ოქტომბრის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრის და, სრულფასოვანი წინაასარჩევნო კამპანიის წარმართვის მიზნით, მისი პატიმრობიდან გათავისუფლება სრულიად მიზანშეწონილია.

ჯუმბერ თავართქილაძის თანაგუნდელის, პარლამენტარ ზვიად ძიძიგურის განმარტებით კი, თუ სასამართლო შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს, მაშინ მის საარჩევნო კამპანიას, პარლამენტარ კობა დავითაშვილთან ერთად, თავად წარმართავს.

თავართქილაძე დეპუტატობის კანდიდატად 13 სექტემბერს დარეგისტრირდა. მისი კონკურენტი იქნება თბილისის დიდუბის რაიონის ყოფილი გამგებელი თემურ ჭეიშვილი, რომელიც "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ერთიანობის კავშირის წევრი ჯუმბერ თავართქილაძე დაახლოებით ერთი თვის წინათ, ბათუმის ბაზარში მიმდინარე აქციის დაშლისას, ადგილობრივმა სამართალდამცავებმა სხვა 12 პირთან ერთად დააკავეს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მათ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მედია-ნიუსი

მოტყუებული დაზარალებულები მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ

სამოქალაქო დავა, რომელიც სამი წლის წინ დაიწყო, ახლაც გრძელდება და მიუხედავად იმისა, რომ დავის მთავარი ობიექტი თაღლითობის ბრალდებით საპატიმროშიც კი მოხვდა, დაზარალებულებისთვის მის მიერ მიყენებული ზარალი ჯერ კიდევ არ ანაზღაურებულა.

ნათია აბაშიძე

საქმე ისაა, რომ წლების წინ საზოგადოებრივი ორგანიზაცია "პენიტენციარული სისტემის რეფორმებისა და დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის ეროვნული ასოციაციის" პრეზიდენტს პაატა გოგალაძეს, შსს-ს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლმა სამმართველომ თაღლითობაში დასდო ბრალი. უფრო კონკრეტულად, სარჩელით შსს-ს დაზარალებულებმა მიმართეს. საჩივრის მიხედვით, გოგალაძეს ისინი აშშ-ში უნდა გაეგზავნა სამუშაოდ: ზოგი - 2 ათას 700 დოლარის, ზოგი კი 3 ათას 300 დოლარის საფასურად. მან მოახერხა და ამერიკაში სამუშაოდ გამგზავრების მსურველთა 12-კაციანი ჯგუფიც შექმნა. როგორც დაზარალებულები აცხადებენ, ჯგუფის წევრებს, რომელთაგან ფული და პასპორტები წინასწარ აიღო, რამდენიმე დღის განმავლობაში აშშ-ს საელჩოსთან იბარებდა გასაუბრებაზე გასვლის მიზნით. გოგალაძემ ჯგუფის წევრები დაარწმუნა, რომ ყველაფერი მოგვარებული იყო და გასაუბრებაზე შესვლა მხოლოდ იმიტომ იყო საჭირო, რომ ვიზაჩარტყმული პასპორტები გამოეტანათ. ჯგუფის წევრები დილის ათი საათიდან საღამოს ხუთ საათამდე საელჩოს წინ იდგნენ და რამდენიმე დღის შემდეგ გაიგეს, რომ გოგალაძე მათ ატყუებდა. ამ პროცესის პარალელურად, ასოციაციის თავმჯდომარე ამერიკაში გამგზავრების მსურველებს პენიტენციარულ სისტემასთან დაკავშირებით ლექციებს უკითხავდა: იქ რომ ჩახვალთ, ამ თემაზე კითხვებს დაგისვამენო, ეუბნებოდა მათ და არწმუნებდა, რომ ამერიკაში წარმომადგენლობა ჰქონდა. დაზარალებულები მოგვიანებით საგარეო საქმეთა სამინისტროში მოვიდნენ და გაარკვიეს, რომ გოგალაძეს აშშ-ში წარმომადგენლობა არ ჰქონია. დაზარალებულებმა ისიც დაადგინეს, რომ გოგალაძე, რომელიც ელენე თევდორაძის სახელით სარგებლობდა (ანუ ჯგუფის წევრებს ატყუებდა, რომ ელენე თევდორაძის "არასამთავრობო იყო"), ელენე თევდორაძის მიერ გაგდებული იყო პარლამენტიდან. მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად დარწმუნდნენ, რომ ასოციაციის პრეზიდენტმა ისინი მოატყუა, შსს-ს მიმართეს. საქმე თაღლითობის მუხლით აღიძრა და პაატა გოგალაძე დააპატიმრეს. გოგალაძე წაყენებულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა, თუმცა აცხადებდა, რომ დაზარალებულებს ფულს მაშინ დავუბრუნებ, როცა მექნებაო. მაშინდელი სახალხო დამცველის ნანა დევდარიანის შუამდგომლობის საფუძველზე, ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ, გოგალაძეს პატიმრობა პირადი თავდებობით შეუცვალეს. რაც შეეხება ვალებს, ნაწილი მან მართლაც გადაიხადა, როგორც დაზარალებულები ამბობენ, "შავი სამყაროს" წარმომადგენელთა ჩარევის შემდეგ. ამჟამად გოგალაძეს 12-დან შვიდი დაზარალებული უჩივის. ერთ-ერთი დაზარალებულია შორენა შუბლაძე, უფრო ზუსტად - მისი დეიდა, რომელმაც დისშვილის ამერიკაში გასამგზავრებლად პროცენტიანი სესხი - 3 ათას 300 დოლარი აიღო და აშშ-ში სამუშაოდ წაყვანის საფასურად გოგალაძეს გადასცა. იგი უმძიმეს მდგომარეობაშია. სესხის პროცენტმა უკვე 6 ათას 600 დოლარს მიაღწია; თანაც,

შესაძლოა, საცხოვრებელი სახლიც დაკარგოს, რადგან, ბანკიდან გამოტანილი სესხის სანაცვლოდ, ბინა ჩადო. შორენა შუბლაძის დეიდა უმძიმესი ავადმყოფია (მას მკერდის კიბოს მეოთხე სტადია აქვს), სწორედ ამიტომ აპირებდა შორენა შუბლაძე აშშ-ში სამუშაოდ წასვლას - მას უმძიმესი ავადმყოფი დეიდა უნდა შეენახა. შორენა შუბლაძე და მისი დეიდა აცხადებენ, რომ პაატა გოგალაძემ აღებული თანხის ნაწილი - 800 დოლარი მათ დაუბრუნა. ამჟამად, დაზარალებულები მხოლოდ 1800 დოლარის დაბრუნებას ითხოვენ - ბანკისთვის გადასახდელ თანხას, რათა ბინის დაყადაღება არ მოხდეს და უმძიმესი ავადმყოფი ქალი ქუჩაში არ აღმოჩნდეს. დაზარალებული შუბლაძე და მისი დეიდა ბრალდებულის მიერ თაღლითობით გამოძალულ მთლიან თანხას არ თხოულობენ, თუ ის ბანკის სესხის დასაფარავად საჭირო 1800 დოლარს გადაიხდის.

სასამართლო დავა, რომელიც რამდენიმე წელია გრძელდება, ახლა თბილისის საოლქო სასამართლოში მიმდინარეობს. თითქმის ყველა სასამართლო ინსტანციამ დაზარალებულების სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა. ამჟამად დავა გოგალაძის ინტერესების დამცველი ადვოკატის სევდია უგრეხელიძის შუამდგომლობების საფუძველზე გრძელდება. სევდია უგრეხელიძე პაატა გოგალაძის გამართლებას მოითხოვს. სხვათა შორის, როგორც დაზარალებულები აცხადებენ, თაღლითობაში ბრალდებულის ადვოკატს არც აინტერესებს, თუ როგორი სერიოზული პრობლემები შეექმნათ გოგალაძის მიერ მოტყუებულ ადამიანებს.

"ბელმონტ შორის მოძალადეს" 1030 წლით პატიმრობა მიესაჯა

ლონგ-ბიჩის მოსამართლემ "ურჩხული" უწოდა "ბელმონტ შორის მოძალადის" სახელით ცნობილ 34 წლის მარკ უეინ რატბანსა და , არც მეტი - არც ნაკლები, 1030 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სასჯელის ვადამ ორჯერ გადააჭარბა წინასწარ ნავარაუდევს და დაანგარიშებულ იქნა მის მიერ ჩადენილ დანაშაულთათვის განკუთვნილი 10 სამუდამო პატიმრობის ვადის დაჯამებით.

სასამართლომ რატბანი დამნაშავედ ცნო ხუთი წლის მანძილზე, სულ ცოტა, 14 ქალის გაუპატიურებაში. ექსპერტთა შეფასებით, მისთვის განაჩენით გამოტანილი სასჯელის ვადა ლონგ-ბიჩის მართლმსაჯულების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივია. თავად რატბანს, რომელიც განაჩენის გასაჩივრებას აპირებს, განაჩენის გამოცხადებისას არავითარი ემოცია არ გამოუვლენია, მხოლოდ დაჟინებით აცქერდებოდა ქალებს, რომლებმაც მისი საქმის განხილვისას დაზარალებულების სტატუსით მისცეს ჩვენებები.

განსასჯელი კოდექსის 59 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში იყო ბრალდებული და აქედან მას სამი მოეხსნა. 50 წუთის განმავლობაში მისი განაჩენის ჩასაკითხად კი სასამართლოს ორი მდივნის დახმარება დასჭირდა.

მარკ უეინ რატბანი გაასამართლეს 39-დან 77 წლამდე ასაკის 14 ქალზე თავდასხმისთვის. მას ბრალად ედებოდა ძალადობის - 25 და 14 ძარცვის ფაქტი. საოლქო პროკურორის მტკიცებით, ბრალდებული მუდმივ ტერორში ამყოფებდა ბელმონტ შორის მოსახლეობას, რის შედეგადაც ამ საკურორტო ქალაქის მცხოვრები ქალები იძულებულნი იყვნენ, ცხოვრების წესი შეეცვალათ, რათა მანიაკის მსხვერპლად არ ქცეულიყვნენ.

ბელმონტ შორში ქალებზე თავდასხმა 1997 წელს დაიწყო და 2002 წლამდე, ანუ მანამდე გრძელდებოდა, სანამ რატბანი არ დააპატიმრეს. ყველა შემთხვევას საერთო ხელწერა აერთიანებდა და ამიტომაც ისინი ეგრეთ წოდებულ "ბელმონტ შორის მოძალადეს" მიეწერა.

რატბანი 2002 წლის ნოემბერში დააპატიმრეს. პოლიციამ იგი დაიკავა 911-ში განხორციელებული ზარის შემდეგ, რომელიც სექსუალური თავდასხმის შესახებ იუწყებოდა. მოძალადის დნმ-ის ანალიზი, რომელიც ძალადობის თითქმის ყველა მსხვერპლს გაუკეთდა, რატბანის მონაცემებს დაემთხვა.

ყველაზე ხანდაზმული მსხვერპლი - 77 წლის ქალბატონი - მანიაკმა ორჯერ გააუპატიურა, მაგრამ სასამართლომ მხოლოდ ერთი შემთხვევის დამტკიცება შეძლო. გაირკვა, რომ ქალმა თავდაპირველად ვერ გაბედა სამართალდამცველთათვის მიემართა და როდესაც მეორე თავდასხმის შემდეგ მან გამომძიებლებს ყველაფერი უამბო, აღმოჩნდა, რომ პირველი თავდასხმის ყველა კვალი წაშლილიყო.

შს აკადემიის პედაგოგებს ტრენინგს უცხოელები ჩაუტარებენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში დღეს პედაგოგთა ტრენინგები დაიწყო. წვრთნებს, რომლებიც შს აკადემიის რექტორის ლევან იზორიას და ორგანიზაცია "ღია საზოგადოება - სამართლის" ინიციატივით ტარდება, ჩეხეთის პოლიციის ექსპერტი ივანა დუფკოვა და ლატვიელი ექსპერტი ელზე რუკერი ხელმძღვანელობენ.

ტრენინგების ფარგლებში ექსპერტები პედაგოგებს ვიდეომასალას წარუდგენენ, რომელზეც პოლიციელთა პროფესიონალური უნარ-ჩვევები - იარაღის გამოყენების წესები, დაზარალებულთან ურთიერთობა და სხვა ასპექტებია ასახული. აღნიშნული ვიდეომასალის გამოყენებით პოლიციელებს ტრენინგების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უტარებენ. ამ პროგრამით წვრთნებს დსთ-ის ქვეყნებიდან საქართველოს შს სამინისტროს აკადემიის პედაგოგები ერთ-ერთი პირველები გაივლიან. უკვე მომზადებული პედაგოგები საკუთარ გამოცდილებას აკადემიის კურსანტებს გაუზიარებენ. ტრენინგები 24 სექტემბერს დასრულდება. შემდეგ შს სამინისტროს და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, პრეზენტირებული პროგრამის საქართველოში ადაპტაციის წარმატებით დასრულების მიზნით, დისკუსიას გამართავენ.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

ფოთი. ფოთში განათლების ინსპექტირებისა და კოორდინაციის საქალაქო ცენტრი გაქურდეს. სხვადასხვა ნივთებთან ერთად, მძარცველებმა მოიპარეს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ორი მედალი, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ცენტრს პედაგოგებისთვის უნდა გადაეცა. წაღებულია ორგანიზაციის ბეჭდები, დამტვრეულია ინვენტარი და ტექნიკა. როგორც ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები განმარტავენ, ქურდები ეძებდნენ 75 ათას ლარს, რომელიც სკოლის მოსწავლეებისთვის იყო განკუთვნილი. აღნიშნული თანხა კი ოფისში არ ინახებოდა, რადგან ის მოსწავლეებს ბანკიდან ოქტომბრის დასაწყისისთვის დაურიგდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს რეგიონებში სასამართლოების გაერთიანების პროცესი ოქტომბრისთვის გადაიდო. სასამართლოთა გამსხვილების პროცესი გუშინ უნდა დაწყებულიყო, თუმცა, რიგი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტის მიზნით, ის ერთი თვით გადაიდო. სასამართლოთა გამსხვილება კვალიფიციური გადაწყვეტილებების მიღების, საქმეთა კომპაქტური გადანაწილებისა და მობილური სასამართლო სისტემის შექმნის მიზნით დაიგეგმა. სასამართლოთა გაერთიანების დროს გამოთავისუფლებული მოსამართლეები რეზერვში ჩაირიცხებიან, მათ სტატუსი შეუნარჩუნდებათ და ანაზღაურებასაც მიიღებენ. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში ამ კატეგორიის სულ 27 მოსამართლეა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში (კერძოდ კი, ფრონეს ხეობის სოფელ დვანის მიმართულებით) წუხელ ოსურმა მხარემ ცეცხლი გახსნა.

ცხინვალის ტექსტილის დასახლებიდან კი, 19 სექტემბრის მსგავსად, ყუმბართმტყორცნებიდან სოფელი თამარაშენი დაიცხრილა. როგორც ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაური ალეკო კიკნაძე აცხადებს, სროლები უმისამართო იყო და მას მსხვერპლი ან შენობა-ნაგებობების დაზიანება არ მოჰყოლია. შეგახსენებთ, რომ 19 სექტემბერს ოსური მხარის მიერ სოფელ თამარაშენის დაბომბვის დროს სერიოზულად დაზიანდა ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ახმეტის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა რუსთავის მეორე კოლონიიდან გასულ წელს გაქცეული კიდევ ერთი პატიმარი, 25 წლის მამუკა თოთაძე დააკავეს. შს სამინისტროს ცნობით, თოთაძემ 2003 წლის 11 სექტემბერს მოახდინა გაქცევა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის მეორე დაწესებულებიდან სხვა 128 პატიმართან ერთად. რუსთავის მეორე დაწესებულებიდან გაქცეული 129 პატიმრიდან ასზე მეტი უკვე დაკავებულია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მარნეულის რაიონის პოლიციამ ღონისძიება "ხაფანგი-2004"-ის მე-2 ეტაპის გატარებისას შს სამინისტროს ძებნის სამსახურისა და ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისთვის ძებნილი, 20 წლის ზურაბ აწკარუნაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა ნატახტრის საგუშაგოზე მე-5 განყოფილების საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გააჩერეს ავტომანქანა "ვაზ-2107", რომელსაც მართავდა გორის რაიონის სოფელ ქვემო სობისში მცხოვრები, 32 წლის პ.ა. და ავტომანქანა "მერსედესი", რომელსაც მართავდა გორში მცხოვრები, 44 წლის ზ.ს., რომლებსაც ყოველგვარი საბუთების გარეშე გადაჰქონდათ 550 და 500 ლიტრი სპირტი. ავტომანქანები გადაყვანილია შიდა ქართლის საბაჟო ტერმინალში შემდგომი რეაგირებისთვის. **მედია-ნიუსი**

პოლიციის რეფორმის პრიორიტეტები

ვარდების რევოლუციის შედეგად დაწყებულ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში პოლიციის რეფორმა ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახდა. წინამდებარე სტატიაში მოცემული იქნება ამ რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებები.

ლევან იზორია
სამართლის დოქტორი (გერმანია), შსს აკადემიის რექტორი

ორი ძირითადი ასპექტი

საქართველოში პოლიციის რეფორმის განხორციელება არ ნიშნავს მარტო სტრუქტურულ ცვლილებებს. ეს ტექნიკური მხარე მხოლოდ არსებითი, კონცეპტუალური ცვლილებების თანდართული მომენტი უნდა იყოს. საქართველოში მიმდინარე პოლიციის რეფორმა პირველ რიგში პოლიციის საქმიანობის ახალი ფილოსოფიის გაგებასა და მის ჩამოყალიბებას უკავშირდება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შსს სისტემის ფარგლებში სწორი ორგანიზაციული სტრატეგიის შერჩევაც.

პოლიციის რეფორმის უმთავრეს მიზანს მოსახლეობასთან დაკავშირება წარმოადგენს. მოქალაქემ დანაშაულთან ბრძოლაში პოლიციასთან ერთად უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამასთან, რეფორმა პოლიციის ოპერატიული საქმიანობის ახალ, უფრო ფართო პროფილით გააზრებას უკავშირდება.

ა. პოლიცია და საზოგადოება

პოლიციის მიმართ საზოგადოების ნდობა რეფორმის ქვაკუთხედია. საბოლოოდ პოლიციისა და საზოგადოების პარტნიორობამ უნდა განსაზღვროს დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობა და მოსახლეობაში უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდის ჩამოყალიბება.

მარტო პატრულირების პრევენციულობა ან სწრაფი რეაგირება ვერ უზრუნველყოფს პოლიციის მუშაობის ეფექტურობას. მართალია, თითოეულ მათგანს აქვს თავისი პოზიტიური დატვირთვა, მაგრამ როგორც პრაქტიკა აჩვენებს (ეს ეხება დასავლეთის განვითარებული ქვეყნების პოლიციასაც), ეს საკმარისი არ არის დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით ოპტიმალური შედეგის მისაღწევად.

პოლიციის პატრულირების შედეგად მოსახლეობას ექმნება იმის წარმოდგენა, რომ პოლიცია მის გვერდითაა და იგი ერთგვარად დაცულად გრძნობს თავს. ამასთან, პრევენციული პატრულირება ერთგვარი შიშის გრძნობას პოტენციურ დამნაშავესაც უქმნის. მაგრამ ცხადია, რომ მარტო განცდებით დანაშაულთან ბრძოლის ხარისხი ვერ გაუმჯობესდება.

პოლიციის საქმიანობის დადებითი შედეგი მაშინ დგება, როდესაც დანაშაულის ჩადენის შესახებ შეტყობინება უმალ ხდება და შესაბამისად პოლიციაც სწრაფად რეაგირებს. თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ჩვეულებისამებრ შეტყობინება შემთხვევის მომენტიდან 5-10 წუთის შემდეგ ხდება. ასეთ ვითარებაში დამნაშავის შეპყრობის შანსი, პრაქტიკულად, ნულამდე ეცემა. მაშინაც კი, როცა შეტყობინება უმალ ხდება, პოლიციელს მინიმუმ 3 წუთი მაინც სჭირდება შემთხვევის ადგილზე მისასვლელად. 3 წუთი კი დამნაშავის მიმალვისათვის კარგი დროა.

აღნიშნული პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი განვითარებული ქვეყნების პოლიციის საქმიანობაშიც დღის წესრიგში აყენებს პოლიციის მუშაობის ტრადიციული მეთოდების ახალი ელემენტებით შევსებას, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის დანაშაულთან ბრძოლას. ლაპარაკია პოლიციის მუშაობის ისეთ თანამედროვე მეთოდზე, რომელიც პოლიციელს მოქალაქეებთან ერთად დანაშაულთან ერთობლივი ბრძოლის პასუხისმგებლობას აკისრებს. პოლიცია არ უნდა მოქმედებდეს იზოლირებულად, მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე. მოსახლეობის სახით მან დანაშაულთან ბრძოლაში საიმედო პარტნიორი უნდა დაინახოს. თანამედროვე პოლიციელის წარმატებული მუშაობის პირობა საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობასა და პარტნიორობაში იკვეთება. ასეთი მიდგომა ითხოვს საზოგადოებრივი აზროვნების სრულიად ახალ სტილზე გადასვლას, შსს სისტემის ფუნქციისა და დანიშნულების სრულიად ახლებურ გააზრებას.

საქართველოში მიმდინარე პოლიციის რეფორმის პროცესი უწინარესად საზოგადოებისგან ნდობის აღდგენას ემსახურება. აღნიშნული ნდობა მომავალში პოლიციელთა პროფესიული წარმატების საფუძველი უნდა გახდეს. ამიტომ, რეფორმის საწყის ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ნდობის შესაქმნელად გადადგმული ნაბიჯებია. აუცილებელია სერიოზული ბრძოლა კორუფციასთან, საჭიროა არაკვალიფიკაციური კადრებისაგან სისტემის გაწმენდა და ადმინისტრაციული დისციპლინის გამყარება, ასევე უნდა მოხდეს საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

რეფორმა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ პოლიციას არ შეუძლია წესრიგის უზრუნველყოფა, როგორც გარეშე ძალას; საზოგადოებამ იგი უნდა აღიქვას, როგორც საკუთარი რესურსი - კრიმინალთან საბრძოლველად. პოლიციელი კი თავის მხრივ მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სამუშაო ტერიტორიაზე, სადაც მას შესაძლებლობა ექნება, ყოველდღე დაუკავშირდეს მოქალაქეებს. ამ ურთიერთობის შედეგად პოლიციელს ეძლევა დიდი შანსი, მიიღოს საჭირო ინფორმაცია დანაშაულის აღსაკვეთად.

საპატრულო პოლიცია უნდა იყოს სწორედ ის სამსახური, რომელიც მუშაობის თანამედროვე მეთოდების დანერგვით იკისრებს მოსახლეობასთან პარტნიორობასა და მჭიდრო თანამშრომლობას.

გოგიჩა ბუხაიძის ფოტო

დანაშაულთან ბრძოლის საქმეში პოლიციასა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობა შედგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პოლიცია მიუწვდომელი არ იქნება საზოგადოებისათვის და მასზე მაღლა არ დააყენებს საკუთარ თავს.

გ. ოპერატიული საქმიანობის გაფართოება

ოპერატიული საქმიანობის ახლებურ გააზრებაზე საუბრისას, ბუნებრივია, არ იგულისხმება პოლიციის ამ ძირითადი ფუნქციის უგულებელყოფა. პოლიციის რეფორმის ზემოაღნიშნული კონცეპტუალური დებულება პოლიციის ოპერატიული საქმიანობის ახლებურ გააზრებას უკავშირდება. იგი განსხვავდება პოლიციის მუშაობის ტრადიციული სტილისგან, რომელიც მხოლოდ დამნაშავის შეპყრობაზეა ორიენტირებული. ჩვეულებისამებრ, როდესაც დანაშაული ხდება, პოლიცია გადის შემთხვევის ადგილზე და ცდილობს, დააკავოს დამნაშავე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში პოლიცია ყურადღებას უთმობს მხოლოდ დანაშაულის ფაქტს და დამნაშავეს. რასაკვირველია, ეს ყველაფერი პოლიციის ძირითადი ფუნქციაა, მაგრამ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია ოპერატიული საქმიანობის გაფართოება, რომელიც მარტო დამნაშავის შეპყრობით ან კონკრეტული დანაშაულის აღმოფხვრით კი არ იქნება შემოფარგლული, არამედ დანაშაულის გამომწვევი მიზეზების გარკვევაზეც იქნება ორიენტირებული. ე.ი. მუშაობის ტრადიციულ სტილს ემატება ახალი, უფრო ეფექტური.

ოპერატიული საქმიანობის ახალი მოდელის საფუძველზე პოლიციელი კონცენტრირებული არ არის მარტო დამნაშავის შეპყრობაზე, ან დანაშაულის ფაქტზე. იგი ამასთან ერთად იკვლევს დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, აანალიზებს, თუ ვის ან რას შეეძლო მოეხდინა გავლენა დანაშაულზე. ამდენად, მისი მიზანი ხდება პრობლემის წყაროს აღმოჩენა და არა მარტო პრობლემაზე რეაგირება. მუშაობის ასეთი სტილის მიხედვით, პოლიციელი დამნაშავის უბრალო დამკავებლისაგან იქცევა გონიერ მომკვლევად, რომელიც თავის საქმიანობაში დანაშაულის თავიდან აცილების საშუალებებზეც ფიქრობს. იგი იკვლევს დანაშაულის გამომწვევ გარემოებებს და მასთან ბრძოლისათვის დახმარებას სთხოვს საზოგადოებას. მისთვის ცალკეული დანაშაულის აღმოფხვრასთან ერთად, მნიშვნელოვანია ზოგადად ამ სახის დანაშაულთა პროფილაქტიკა. ეს ყველაფერი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ პოლიციელი კარგად იცნობს თავისი სამუშაო უბნის სპეციფიკას, კარგად ერკვევა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებში. პოლიციელმა უნდა გაათვითცნობიეროს, რომ პრობლემის მოგვარების გასაღები საზოგადოებასთან თანამშრომლობის უნარშია. ამიტომ, მისი პროფესიული წარმატებისათვის გადამწყვეტია მოსახლეობასთან პარტნიორობა.

ორგანიზაციული სტრატეგია

პოლიციის რეფორმის კონცეფცია, რომელიც პოლიციისა და საზოგადოების პარტნიორობის იდეას აყენებს წინა პლანზე, შსს სისტემისათვის შესაბამის ორგანიზაციულ სტრატეგიას ითხოვს. მან უნდა უზრუნველყოს სისტემის დეცენტრალიზაცია, სტრუქტურათა გამარტივება, სამსახურების გამჭვირვალობა.

პოლიციის მოსახლეობასთან დაახლოების მიზნით აუცილებელია რაიონულ დონეზე პოლიციური განყოფილებებისათვის უფლებამოსილებათა გაზრდა - ადგილობრივი პრიორიტეტების განსაზღვრისა და მათი შესრულების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებისას. ზემოდან მიღებული გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში მოწყვეტილია რეალობას.

შსს სისტემის ორგანიზაციული სტრატეგიის განსაზღვრის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიციის მუშაობის გამჭვირვალობას. აუცილებელია, რაიონულ დონეზე შეიქმნას პოლიციის საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოები. საბჭოები პირველ რიგში ეფექტურს გახდის პოლიციელთა მიმართ საზოგადოების კონტროლს. ამასთან, დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით დაისახება თანამშრომლობის კონკრეტული ფორმებიც. გადამწყვეტია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან ურთიერთობაც. მართალია, პოლიციის ხელმძღვანელს შეუძლია პრესის წარმომადგენელი აღიქვას, როგორც არაკეთილმოსურნე, რომელიც თავის საქმიანობაში ძირითადად ცუდი ინფორმაციისა და სკანდალების გაშუქებაზეა ორიენტირებული, მაგრამ მეორე მხრივ ხელმძღვანელის აქტიურმა პოზიციამ, შესაძლოა, უზრუნველყოს პრესის დაინტერესება და მისი მეშვეობით საზოგადოების ინფორმირება პოლიციის დადებითი მუშაობის ასპექტებზე.

ორგანიზაციული სტრატეგიის ფარგლებში აუცილებელია ასევე შსს სისტემაში ურთიერთდაქვემდებარებული დონეების რაოდენობათა შემცირება, ასევე საჭიროა რანგირების საფეხურების შემცირება და მისი გამარტივება. რაც უფრო მარტივი და არაბიუროკრატიული, გამჭვირვალე და დამოუკიდებელი იქნება პოლიციის სისტემა, მით უფრო ხელსაყრელი ნიადაგი იქნება საზოგადოებასთან დასაახლოებლად და ამით დანაშაულთან ეფექტურად საბრძოლველად.

შსს სისტემის რეორგანიზაციამ დღის წესრიგში უნდა დააყენოს ორი დიდი სტრუქტურული ერთეულის, კერძოდ კრიმინალური და საპატრულო პოლიციის შექმნა. ამ უკანასკნელის შექმნით უკვე გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის უმთავრესი დანიშნულება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაა. ამ ფუნქციის განხორციელების ფარგლებში საპატრულო პოლიციას უნდა გააჩნდეს დიდი უფლებამოსილება დანაშაულის ასაცილებლად - კერძოდ, საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში აუცილებელი საპოლიციო მოქმედებების განხორციელების უნარი, მათ შორის გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილებაც.

საპატრულო პოლიცია შსს სისტემის ფარგლებში უნდა იყოს სწორედ ის სამსახური, რომელიც მუშაობის თანამედროვე მეთოდების დანერგვით იკისრებს მოსახლეობასთან პარტნიორობასა და მჭიდრო თანამშრომლობას. კონკრეტული უბნის ტერიტორიაზე საპატრულო სამსახურის მოვალეობა იქნება არა მარტო პატრულირება. ის არ უნდა უცდიდეს დანაშაულებრივი ფაქტის განხორციელებას, ან სხვა სამართალდარღვევას, მასზე მხოლოდ რეაგირების მიზნით, არამედ უნდა სახავდეს დანაშაულის თავიდან აცილების პოლიტიკასაც. მისი მოქმედების პრინციპი არ უნდა იყოს: "მოდი ჯერ რაღაც მოხდეს", არამედ: "ჩვენ, საზოგადოებასთან ერთად, წესრიგისათვის ყველაფერს გავაკეთებთ".

საპატრულო პოლიციის ეფექტური მუშაობა დამოკიდებული იქნება დეცენტრალიზაციის ხარისხზე. საპატრულო, ანუ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციელების რაციონალური მუშაობის სტილი თითოეული რაიონის პოლიციის ხელმძღვანელობამ უნდა განსაზღვროს.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან ერთად პოლიციის კლასიკურ ფუნქციას წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი დევნის ფარგლებში მოქმედება და გამოძიება. ამ ფუნქციის შესრულება ყველა განვითარებულ ქვეყანაში კრიმინალური პოლიციის საქმეა. დღეს საქართველოში არსებული კრიმინალური პოლიცია საბჭოთა ტრადიციების გადმონაშთია, რომელიც გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს (მოკვლევას) მხოლოდ დროის უმოკლეს ფარგლებში ახორციელებს (24 საათი, თუკი ეჭვმიტანილი დაკავებულია და 7 დღეღამე, თუ იგი დაკავებული არ არის). ძირითადად კი, დანაშაულის ფაქტზე ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებით არის დაკავებული, ანუ ფუნქციონალურად შორს დგას დანაშაულის პრევენციისგან. გამოძიებას შსს სისტემის ფარგლებში დღეს ძირითადად საგამოძიებო დეპარტამენტი ახორციელებს. ეს უკანასკნელი ხელახლა იწყებს იმ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, რომელიც კრიმინალური პოლიციის მიერ უკვე ჩატარებულია და ბოლომდე მიყავს გამოძიება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმის ძირითადი მოთხოვნა არის მოკვლევისა და გამოძიების გაერთიანება. შესაბამისად, აუცილებელია მომავალში საგამოძიებო ფუნქციები კრიმინალური პოლიციის ერთიანმა სამსახურმა განახორციელოს.

აღნიშნული სამსახური უბნებზე მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს საპატრულო პოლიციასთან. ეს თანამშრომლობა კი კრიმინალური პოლიციის ოპერატიული ინფორმაციით უზრუნველყოფას გულისხმობს. შსს სისტემის ფარგლებში სხვადასხვა სამსახურების, განსაკუთრებით კრიმინალური და საპატრულო პოლიციის კოორდინირებული მუშაობა უნდა გახდეს დანაშაულთან ეფექტური ბრძოლის საწინდარი.

განათლება

პოლიციის ზემოაღნიშნული რეფორმის განხორციელების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიციის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტია პოლიციის აკადემიის როლი.

პოლიციის თანამედროვე მუშაობის სტილი თანამშრომლისაგან ითხოვს ისეთ თვისებებს, როგორიცაა დამოუკიდებელი აზროვნება, პრობლემის გადაწყვეტის უნარი, მაღალი პროფესიონალიზმი. სწორედ კვალიფიკაცია უნდა გახდეს მათი სამსახურეობრივი კარიერის ამოსავალი პრინციპი.

შსს აკადემიამ მომავალში სრულად უნდა უზრუნველყოს შსს სისტემის, განსაკუთრებით საპატრულო და კრიმინალური პოლიციის პროფესიული მომზადება და თანამშრომელთა ყოველწლიური კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. ყველა მოქალაქე, რომელიც სურვილს გამოთქვამს, გახდეს პოლიციელი, აკადემიის ბაზაზე სპეციალურ ტესტირებას გაივლის. ტესტების დადებითად ჩაბარების შემთხვევაში მოქალაქე გადის 9 თვიან საბაზისო მომზადების კურსებს. ის, ვინც წარმატებით გაივლის აღნიშნულ კურსებს, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გახდება. აკადემიამ ასევე უნდა უზრუნველყოს კრიმინალური პოლიციის თანამშრომელთა პროფესიული ჩამოყალიბებაც. აღნიშნული პროფილით მომზადებისათვის აუცილებელი იქნება 9 თვიანი საბაზისო კურსების გავლის შემდეგ საპატრულო პოლიციაში მინიმუმ 4 თვიანი მუშაობის პრაქტიკა. თავად კრიმინალური პოლიციის მომზადების კურსები 1 წელიწადს გატანს.

აკადემიის ფარგლებშია ასევე აუცილებელი საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელ პირთა მოსამზადებლად სპეციალური კურსების არსებობა. აღნიშნული კურსები უნდა იყოს 3 თვიანი და მასში სწავლების უფლება უნდა ჰქონდეს იმას, ვინც წარმატებულად გაიარა ყველა ზემოაღნიშნული საფეხური, კრიმინალურ პოლიციაში მუშაობის მინიმუმ 2-წლიანი, და საპატრულო პოლიციაში მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი სტაჟი აქვს. მხოლოდ ამ საფეხურების გავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი პოლიციაში სამსახურებრივი დაწინაურება. ამასთან ერთად, შსს სისტემის ყველა თანამშრომლისათვის სავალდებულო უნდა იყოს წელიწადში ერთხელ 3 კვირიანი კვალიფიკაციის კურსები, სადაც საცეცხლე და ფიზიკურ მომზადებასთან ერთად საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ.

რაც შეეხება პოლიციის აკადემიის სასწავლო პროგრამებს, ის ორიენტირებული უნდა იყოს მომავალი პოლიციელის ეფექტური მუშაობისათვის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. კურსანტმა აკადემიაში უნდა მიიღოს ის, რაც მისი პრაქტიკული საქმიანობისათვის იქნება აუცილებელი. სწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ცალკეული შემთხვევების ინსცენირება და როლების გათამაშება. მოქალაქე მხოლოდ წვრთნით შეიძლება გახდეს პოლიციელი.

პოლიციის აკადემიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი მომავალი პოლიციელებისთვის საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარისა და ურთიერთობის კულტურის გამომუშავება უნდა იყოს. პოლიციის თანამედროვე მუშაობის კონცეფცია, რომელიც საზოგადოებასთან პოლიციელის პარტნიორობისა და თანამშრომლობის იდეას ემყარება, დღის წესრიგში აყენებს აკადემიის სასწავლო პროგრამებში საკომუნიკაციო დისციპლინებისათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობას.

პოლიციის აკადემიის სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემატიკაზე. იმისათვის, რომ პოლიციელმა ადამიანის უფლებების დაცვის ფარგლებში იმოქმედოს, თეორიულთან ერთად სპეციალური პრაქტიკულ-ტაქტიკური მეცადინეობის კურსები უნდა გაიაროს.

ამის წარმატებული განხორციელება აკადემიაში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მასწავლებელთა სპეციალურ მომზადებაზე.

საკანონმდებლო ბაზა

პოლიციის რეფორმის ძირითადი მიმართულებების განხორციელების პირობას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება წარმოადგენს. აუცილებელია პოლიციის შესახებ ახალი კანონის შექმნა, რომელიც პრევენციული ხასიათის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების დეტალურ რეგლამენტაციას მოახდენს. დღემდე მოქმედი, საბჭოთა მილიციის ტრადიციებზე აღმოცენებული, კანონმდებლობა ძირითადად დანაშაულზე რეაგირებისათვის საჭირო რეპრესიულ ღონისძიებებს განსაზღვრავს. რეფორმის კონცეფცია, რომელიც საზოგადოებასთან პარტნიორობით ოპერატიული საქმიანობის გაფართოებაზე აკეთებს აქცენტს, დანაშაულის პროფილაქტიკისათვის პოლიციელის შესაბამისი პრევენციული უფლებამოსილებით აღჭურვას ითხოვს.

პოლიციის პრევენციული ხასიათის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ძირითადად განისაზღვრება ამა თუ იმ პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვებითა და შეფასებით. იგი არ ეხება დანაშაულის გახსნას, არამედ მიზნად ისახავს მის პროფილაქტიკას. ახალი კანონით დეტალურად უნდა განისაზღვროს პოლიციის ტიპური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებიც პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას ყველაზე მეტი ინტენსიურობით შეზღუდავს ადამიანის უფლებებს. მკაცრად უნდა განისაზღვროს აღნიშნული მოქმედებების განხორციელების წინაპირობები და სამართლებრივი საფუძვლები.

საზოგადოებასა და პოლიციას შორის თანამშრომლობა და ნდობის ჩამოყალიბება პოლიციის მხრიდან ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმების დაცვას ითხოვს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია პოლიციის საზოგადოებასთან წარმატებული ურთიერთობისათვის და პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის პოლიციის პროფესიული ეთიკის კოდექსში საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპების ასახვა. აღნიშნული კოდექსი დიდ როლს ითამაშებს პოლიციელთა წვრთნის საქმეში და კარგი საფუძველი იქნება მათი პასუხისმგებლობისათვის.

შსს სისტემის ორგანიზაციული სტრატეგია, რომელიც დეცენტრალიზაციის (რაიონული განყოფილებებისათვის უფლებამოსილების გაზრდა), სტრუქტურათა გამარტივების (ორი დიდი სტრუქტურული ერთეულის, საპატრულო და კრიმინალური პოლიციის შექმნას) და სისტემის გამჭვირვალობის (საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა და სხვა) პოლიტიკას განსაზღვრავს, დღის წესრიგში აყენებს შსს სისტემის სტრუქტურის საკანონმდებლო რეგლამენტაციას, სადაც თითოეული სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება.

კონცეპტუალური დებულება იმის შესახებ, რომ მხოლოდ კვალიფიკაცია და გამოცდილება უნდა გახდეს პოლიციელისათვის სამსახურებრივი დაწინაურების საფუძველი, გადაუდებლად ითხოვს საკანონმდებლო რეგლამენტაციას. ზემოთ, როდესაც პოლიციის განათლებაზე იყო ლაპარაკი, თვალნათელი გახდა, რომ მომავალში ძირითადი აქცენტი პოლიციაში დასაწინაურებელი პირის სპეციალური განათლების ხარისხისა და სპეციალური მომზადების დონეზე უნდა გაკეთდეს. სავალდებულოა პოლიციელთა კარიერის მკაცრი საფეხუროვანი სისტემის შემოღება, რომლის მიხედვით, ქვედა საფეხურის შესაბამის თანამდებობრივი მდგომარეობის გავლის გარეშე, შეუძლებელი იქნება მაღალი საფეხურის შესაბამისი თანამდებობრივი მდგომარეობის მოპოვება. პოლიციელთა კარიერის საკანონმდებლო რეგლამენტაციის ძირითადი მიზანი კონკრეტულად ამა თუ იმ საფეხურის კანდიდატისათვის სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა იქნება.

დაბოლოს, პოლიციის რეფორმის განხორციელებას სჭირდება პოლიტიკურ დონეზე მკაცრი კოორდინაცია და მნიშვნელოვანია, რომ იგი არ გადაიქცეს მხოლოდ მოძღვრების საგნად.

ალმრზრდელისა და გზების შესახებ



B3

მშვიდობით, კამაჩო!

B4

პრობლემა და ყინწვისის მაგალითი

B6

ნომრის სტუმარი

საზოგადოება თუ მოინდომებს, კორუფცია არ იქნება

მაია ჭალაგანიძე

კორუფცია რომ ცუდია, ყველა ქვეყანაში კარგად იციან. ამის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველ ჩვენგანს უნდა უნდოდეს. მხოლოდ საზოგადოებრივ აზრსა და ქმედებას შეუძლია ხელისუფლება ამ სენისგან დაიცვას - იტალიაშიც, საქართველოშიც და ყველგან. იტალიელი პროკურორი ჯერარდო კოლომბო ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო"-ს მოწვევით სულ ორი დღით ჩამოვიდა.
ცნობილი დეტექტიური სერიალის გამომძიებელი გმირის სეხნიამ მილანში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში 1992-1998 წლებში გაითქვა სახელი. აღნიშნულ პერიოდში გამოძიების შედეგად პროკურორმა 200-ზე მეტ პოლიტიკოსს - ოთხ პრემიერ-მინისტრს (მათ შორის, ორი მოქმედიც იყო), 150 ყოფილ და "ცოცხალ" პარლამენტარს, მინისტრს, აღმასრულებელი ხელისუფლების, სახელმწიფო, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს, მაღალჩინოსან პოლიციელებს და მოსამართლეებს წაუყენა ბრალი.
ცოტა რთული დასაჯერებელია, რომ მაფიის სამშობლოში ასე ხმალამოღებულ სამართალდამცავს ამდენი წლის განმავლობაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება მისცეს და თანაც არც ერთხელ არ მოკლეს. ყოველ შემთხვევაში, "კოზა ნოსტრას" შესახებ ფილმებითა და წიგნებით მიღებული ჩვენი შთაბეჭდილებები ამის დაჯერების საშუალებას ნაკლებად იძლევა. ასეა თუ ისე, დოქტორი კოლომბო ჩვენთან ექსკლუზიურ ინტერვიუში საუბრობს ყველაფერზე და ყველაზე, ბერლუსკონის გარდა...

ჯერარდო კოლომბო

- ამდენი ხალხის წინააღმდეგ აღძარით საქმე, მათგან რამდენი დაისაჯა?

- ჩვენი გამოძიების შედეგად ძალიან ბევრი ადამიანი იყო ბრალდებული, გასამართლებული. თუმცა, იტალიაში კორუფცია ჯერ კიდევ რჩება პრობლემად. იმ ადამიანების, ვისაც გამოძიება შეეხო, ერთი მესამედი მაინც თანამდებობის პირები იყვნენ და ძალზე რთული იყო ამ საქმეების წარმოება, ხშირად ხანდაზმულობის ვადის პრობლემასაც ვაწყდებოდით.

- სად მიდიოდა გამოძიების ჯაჭვი?

- გამოძიება ერთი კონკრეტული და მარტივი შემთხვევით დავიწყეთ. პროკურატურაში მოვიდა ადამიანი, რომელმაც თქვა, რომ სახელმწიფო საავადმყოფოს ხელმძღვანელმა ქრთამი მოსთხოვა. ეს პირი ქრთამის გადახდაზე უარს აცხადებდა და დასახმარებლად პოლიციას მიმართა. პოლიციამ საავადმყოფოს პრეზიდენტის კაბინეტში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება მოახერხა და საავადმყოფოს პრეზიდენტი ქრთამის აღების მომენტში დააპატიმრა. გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე დღეში პროკურატურამ აღმოაჩინა, რომ დაკავებულს შვეიცარიის ბანკში საკმაოდ სოლიდური ანგარიშები ჰქონდა. თანხა ბევრად აღემატებოდა იმ რაოდენობას, რომელიც დაკავებულს კანონიერი გზით შეეძლო მოეპოვებინა. მტკიცებულებების წარდგენისა და დაკითხვის პროცესში მან ბევრი სხვა დანაშაულიც აღიარა. აღმოჩნდა, რომ მენეჯერებსა თუ სხვა პაციენტებს, სხვადასხვა ტიპის მომსახურების სანაცვლოდ, არაერთხელ მოუწიათ ქრთამის მიცემა. პირები, ვინც ქრთამის მიცემაზე უარი არ განაცხადა, საქმიან ურთიერთობებს ამყარებდნენ სხვა საავადმყოფოებთან და სამთავრობო სტრუქტურებთან. დავიწყეთ ამ ურთიერთობების გამოძიება. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელებისთვის ქრთამის აღებ-მიცემა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასე სპირალისებურად წავიდა ჩვენი გამოძიება - ადგილობრივი დონიდან დავიწყეთ და გამოძიების ჯაჭვმა ნელ-ნელა სახელისუფლებო დონემდე მიგვიყვანა.

გამოძიების პროცესში მოწმეთა ჩვენებებსაც ვეყრდნობოდით და დახმარებისთვის ხშირად მივმართავდით საერთაშორისო სტრუქტურებსაც. ჩვენი გამოძიება 4 000 ადამიანს შეეხო. მათ შორის იყო 4 ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რამდენიმე მინისტრი, 200-მდე დეპუტატი, ბიზნესმენები, მრეწველები, საგადასახადო პოლიციის მუშაკები და საგადასახადო სისტემის საჯარო მოხელეები. მონაწილეობდნენ აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებებიც - სკოლები, ტრანსპორტისა და მშენებლობის სამინისტროები, სასამართლოები, მოსამართლეები და სხვა.

- ამის გამო რამდენი წავიდა ციხეში?

- ძალიან ბევრი ადამიანის საქმე გამოვიძიეთ, მაგრამ წინასწარი პატიმრობა ძალზე მცირე ნაწილს შეეხო. ციხეში ცოტა ადამიანი იმის გამო ჩაჯდა, რომ იტალიაში გარიგების ინსტიტუტი არსებობს და ბევრი გამოძიებასთან გარიგდა. გარდა ამისა, ჩვენი კანონმდებლობით, თუ პირს 2 წლის პატიმრობა მიესაჯა, მას არ აქვს დანაშაულებრივი წარსული და მოსამართლე ჩათვლის, რომ ის მომავალშიც ცუდს არაფერს ჩაიდენს, ამ პირს პირობით სასჯელს აკმარებენ.

- პროკურორი საჯარო მოხელეა. მთავობის წევრთა წინააღმდეგ წარმოებული საქმეებისას რა სირთულეებს აწყდებოდით?

- იტალიაში პროკურორები და მოსამართლეები ხელისუფლების სხვა შტოებისგან დამოუკიდებლები არინ. მათ შეუძლიათ აბსოლუტურად დამოუკიდებლად, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე აწარმოონ გამოძიება. ისინი ხელისუფლებისგან არანაირი ფორმით და არანაირ ბრძანებებს არ იღებენ (რა თქმა უნდა, ღია ზეწოლას ვგულისხმობ). საზოგადოებრივი აზრის ჩვენ წინააღმდეგ ფორმირება და გამოყენება ხდებოდა. გამოძიების დასაწყისში საზოგადოება მხარს აქტიურად გვიჭერდა. ბოლოსკენ კი ამ აზრის დეფორმირება მოხდა.

- ამისთვის რა ხერხებს მიმართეს?

- ამის ბევრი მიზეზი არსებობს, ერთ-ერთი კი შემდეგია: თავიდან ჩვენი გამოძიება მაღალი თანამდებობის პირებს ეხებოდა და რიგითი მოქალაქეები ამასთან ნაკლებად იყვნენ კავშირში. ძიების გააქტიურების შემდეგ კანონი რიგით მოქალაქეებსაც შეეხო, რადგან აღმოვაჩინეთ, რომ კორუფციულ გარიგებებში ჩვეულებრივი ადამიანებიც იყვნენ ჩართულნი. სწორედ ამიტომ შეიცვალა გამოძიებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება. თავადაც ოთხჯერ წამიყენეს ბრალდება, ოთხჯერ იყო ჩემ წინააღმდეგ დისციპლინარული სასჯელის დაწესების მცდელობა. ჩემზე და რამდენიმე ჩემს კოლეგაზე სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრეს...

- თქვენს სიცოცხლეს საფრთხე არასდროს შექმნია?

- მხოლოდ ანონიმური წერილები და მსგავსი რამ იყო...

- რას შეუძლია ხელისუფლების კორუფციისგან ხსნა?

- ჯერ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები ვერ დასაბუთდა.

- ადვილი მისახვედრია...

- რაც შეეხება, თქვენს შეკითხვას - პირველ რიგში, კორუფციის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება უნდა იყოს სწორი. თუკი საზოგადოება კორუფციის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი, დეპუტატების, მინისტრებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთათვის კორუფციაში ჩართვა რთული ხდება. იმისთვის, რომ კორუფციის აღმოფხვრა შევძლოთ, აუცილებელია არსებობდეს დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, სტრუქტურები, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენელთა ცხოვრების სტილსა და მათ საქმიანობას გააკონტროლებენ.

- იტალიაში პროკურორის ხელფასი ისე დიდია, რომ მრავალი შემოთავაზებული ცდუნების გაძლება შეიძლება?

- უსაშველოდ მაღალი არ არის, მაგრამ საკმაოდ მაღალია. საერთოდ, ხელფასების საკითხი მართლაც მნიშვნელოვანი პრობლემაა.

- პრესაში გამოქვეყნდა, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრის, ბერლუსკონის მიერ ინიცირებულია კანონები, რომელიც მაღალი თანამდებობის პირის სასამართლოში გამოძახებას კრძალავს და კანონი, რომლითაც ჩინოვნიკს საკუთარი ბიზნესის წარმოების უფლება ეძლევა. როგორია ამის შესახებ იურისტის აზრი?

- არ მსმენია, რომ ბერლუსკონი მსგავსი კანონების ინიციატორი იყოს. რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებებს, ვიცი, რომ შემოვიდა ინიციატივა ბულალტერიის წარმოების გამკაცრებასთან დაკავშირებით. ასევე საკანონმდებლო ცვლილებებია სახელმწიფო მოხელეების იმუნიტეტთან დაკავშირებითაც. ყოველ შემთხვევაში, თუკი რაიმე კანონსაწინააღმდეგო ინიციატივა წამოვა, იტალიაში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ახალ ინიციატივას შეაფასებს და საჭიროების შემთხვევაში გააუქმებს.

რაც შეეხება, იტალიის პრემიერს - მის შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან ბერლუსკონის წინააღმდეგ საქმის ძიება მიმდინარეობს და გამოძიების პროცესში შეფასებების გაკეთება არაკორექტულია.

- როგორ ფიქრობთ, რატომ მოგიწვიეს მაინცდამაინც თქვენ და მაინცდამაინც საქართველოში?

- მსგავსი ვიზიტებით ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ - სამხრეთ ამერიკაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოს შემდეგ კი ავსტრალიაში ვაპირებ წასვლას. ხან ეს ორგანიზაცია მიწვევდა და ხან - სხვა. მოძრაობა "საერთაშორისო გამჭვირვალობა" კორუფციის წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყანაში იბრძვის. ეს მსოფლიო პრობლემაა და ამ ორგანიზაციის მიწვევით სხვადასხვა ქვეყანში ჩასვლა ხშირად მიწევს.

- თქვენთან შეხვედრების დროს ქართველ კოლეგებს ყველაზე ხშირად რა შეკითხვები ჰქონდათ, რა აინტერესებდათ?

- მათ ძირითადად იტალიაში გამოძიების სტრუქტურა აინტერესებდათ. მიზიარებდნენ აქაური სისტემის თავისებურებებსაც.

- რით ჰგავს და რა განასხვავებს ორი ქვეყნის საგამოძიებო სისტემას?

- იტალიაში გამოძიებას მეტი ძალაუფლება აქვს. ჩვენ შეგვიძლია, ჩავატაროთ მოკვლევა და ამისთვის, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს ნებართვა არ გვჭირდება. გარდა ამისა, იტალიაში პოლიცია პირდაპირ პროკურორის წინაშეა ანგარიშვალდებული.

- მასპინძლებმა საირმის მთაზე წაგიყვანეს, მაგრამ ეს წინა ხელისუფლების კორუმპირებულობის სიმბოლოა. არის რაიმე იმის მანიშნებელი, რომ ახალი ხელისუფლებაც იმავე გზას ადგას?

- საქართველოში ორი დღე ვიმყოფებოდი და რთულია, შეაფასო, რამდენად კორუმპირებულია ან არ არის კორუმპირებული ხელისუფლება. იტალიაში გამოძიებასა და კორუფციის დონის შეფასებას რამდენიმე წელი დასჭირდა. ორი დღის განმავლობაში ნანახით და მოსმენილით შთაბეჭდილება დამრჩა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელისუფლებო ნება არსებობს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

- ბევრი კრიმინალური ისტორია იცით, დიდი ხნის მერე დეტექტივების წერას ხომ არ მიჰყოფთ ხელს?

- დეტექტივების წერას არ ვაპირებ, მაგრამ რამდენიმე სამეცნიერო ხასიათის წიგნის ავტორი ვარ.

- რაში გეხმარებათ ჩიბუხი?

- მოწევა მიყვარს და ეს ჩემი პრობლემაა.

- შერლოკ ჰოლმსის გავლენა მეგონა...

- არა. ხანდახან სიგარეტსაც ვეწევი.

კორუფციის აღმოფხვრისათვის, აუცილებელია არსებობდეს დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, სტრუქტურები, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენელთა ცხოვრების სტილსა და მათ საქმიანობას გააკონტროლებენ.

იტალიაში შეგვიძლია ჩავატაროთ მოკვლევა და ამისთვის სასამართლოს ნებართვა აუცილებელი არ არის. გარდა ამისა, იქ პოლიცია პირდაპირ პროკურორის წინაშეა ანგარიშვალდებული.

თუკი საზოგადოება კორუფციის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი, დეპუტატების, მინისტრებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთათვის კორუფციაში ჩართვა რთული ხდება.

გასტროლი

მუსიკის ენის მესაიდუმლე

ფილარმონიაში ჯაზის კიდევ ერთი ვარსკვლავი გაიელვებს

ვერა ნეფარიძე

საუკეთესო პარტნიორი; ადამიანი, რომელსაც მუსიკალური ენის დიალექტიც კი ესმის; მუსიკოსი-ინტელექტუალი; საოცრად ყურადღებიანი; მის მუსიკაში ვერ იპოვით ხარვეზს; ის ინსტრუმენტით მღერის და ა.შ., - ამგვარად წარადგენენ ჯორჯ დიუკს კოლეგები. ის კოლეგები, რომლებიც დამოუკიდებელი, მსოფლიოში აღიარებული მუსიკოს-შემსრულებლები არიან. სტენლი კლარკის, ელ ჯეროსა თუ რეიჩელ ფერელის სიტყვების გულწრფელობაზე მსჯელობა თბილისელ მსმენელს 25 სექტემბერს, ფილარმონიის კონცერტის შემდეგ შეეძლება.

ჯორჯ დიუკი - ჯაზის კიდევ ერთი ვარსკვლავი თბილისში ჩამოდის.

ჯორჯ დიუკით თბილისში სახელოვანი ჯაზმენების სტუმრობა გრძელდება. ამერიკელი ჯაზმენი ჯერ ბათუმში მიმდინარე "მის საქართველოს" ფინალურ შოუს შეუერთდება (კონკურსის სტუმრები პარალელურად, დიუკის მიერ საგანგებოდ კონკურსისთვის შედგენილ კონცერტს იხილავენ), მეორე დღეს კი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართავს კონცერტს. ამავე დღეს დარბაზის ფოიეში მუსიკოსი დატოვებს ავტოგრაფს კომპაქტდისკებზე (ფასი - 35 ლარი), რომელიც საგანგებოდ თბილისელი მელომანებისთვის ჩამოაქვთ. ერთი სიტყვით, თბილისში ჯაზის მორიგ სეზონს ჯორჯ დიუკი ხსნის.

ჯორჯ დიუკი თანამედროვე ჯაზის კიდევ ერთი გამორჩეული ფიგურაა - ვოკალისტი და პიანისტი, რომელთან ერთად მუშაობის სიამოვნებაც ძალიან ბევრმა აღიარებულმა თუ ნაკლებად ცნობილმა ნიჭიერმა შემსრულებელმა გამოსცადა. თუმცა, ნიჭისა და ოსტატობის გარდა (რასაც ერთგვაროვნად აღიარებენ როგორც მუსიკოსის კოლეგები, ასევე კრიტიკოსები), ხშირად დიუკის ის დადებითი თვისებები, რაც არანაკლებ იზიდავთ ამ ადამიანთან ურთიერთობისას.

ხშირად, ადამიანები საკუთარ წარმატებებს ერთ რომელიმე შემთხვევას, კონკრეტულ მოვლენებს უკავშირებენ. როგორც მუსიკოსის ბიოგრაფიიდან ხდება ცნობილი, ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა ჯორჯ დიუკის ცხოვრებაში 4 წლის ასაკში მოხდა...

ის, რომ დღეს ჯორჯ დიუკი სახელოვანი მუსიკოსია, დედის დამსახურებაა. პატარა ჯორჯი დედას ხშირად დაჰყავდა კულტურულ ღონისძიებებზე. გასაკვირი არაა, რომ მაშინ მომავალ ჯაზმენს მუსიკისადმი განსაკუთრებული სიყვარული არ ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი კულტურული ღონისძიება, რომელმაც მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პატარა ჯორჯზე, დიუკ ელინგტონის კონცერტი იყო. **"ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დედამ მითხრა, თურმე აღტაცებისგან ვხტოდი და დაჟინებით ვიხოვდი, რომ ჩემთვის ფორტეპიანო ეყიდათ, თან ვამბობდი: დე, ის კაცი მინდა ვიყო",** - იხსენებს ბიოგრაფიიდან ცნობილი ჯაზმუსიკოსი ჯორჯ დიუკი.

დიუკ ელინგტონის გარდა მუსიკასთან დიუკი ბაპტისტურმა ეკლესიამ დააახლოვა. იქ მომავალი მუსიკოსი ზანგურ მუსიკას ეუფლებოდა. ამ ყველაფერს დიუკი ახლა ამგვარად აყალიბებს: **"ეკლესიაში მუსიკის შესახებ ბევრი რამ შევიტყვე, მათ შორის, ისიც, თუ როგორ ბადებს ემოციას მუსიკა მიზეზ-შედეგობრიობის თვალსაზრისით".**

16 წლის ასაკში ჯორჯი უკვე კოლეჯის რამდენიმე ჯაზჯგუფთან უკრავდა. განიცდიდა მაილს დეივისის დიდ ზეგავლენას. სან ფრანცისკოს კონსერვატორიაში ჯორჯი ტრომბონზე დაკვრასა და კომპოზიციას სწავლობდა, გარკვეულ დროს კი კონტრაბასის შესწავლასაც უთმობდა. 1967 წელს კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მას ბაკალავრის ხარისხი მიენიჭა. ჯორჯმა ახალგაზრდა მომღერალთან, ელ ჯეროსთან ერთად ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომელიც სან ფრანცისკოში, "ჰალფ ნოუთ ქლაბში" მუდმივად მასპინძლობდა მსმენელს. ამ კლუბში დიუკი სონი როლინსთან და დექსთერ გორდონთან ერთად გამოდიოდა. მოგვიანებით ჯორჯმა მიიღო სან ფრანცისკოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი. თუმცა, მნიშვნელოვანი წარმატებები ჯერ წინ იყო.

ნაყოფიერი გამოდგა თანამშრომლობა ჯაზის უდიდეს ექსპერიმენტატორთან ჟან ლუკ პონტისთან. პონტისა და დიუკის ტანდემმა მსმენელი აღაფრთოვანა. 1969 წლის ბოლოს კი ჯორჯ დიუკმა ფრენკ ზაპასა და მის ჯგუფ Mothers Of Invention-თან ერთად მთელი წელი იმოგზაურა. ამას მოჰყვა თანამშრომლობა ჯაზის ვეტერანთან ჯულიან "ქენონბოლ" ადერლისთან. ეს პერიოდი განსაკუთრებული იყო ჯორჯისთვის: "ჯგუფში 1971 წლის იანვარში მოვედი და 2 წლის განმავლობაში მათთან ერთად ვიყავი. ქენონბოლთან მუშაობისას შესაძლებლობა მომეცა, გამეცნო და მემუშავა ისეთ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან ნენსი უილსონი, ჯო უილიამსი, დიზი გილესპი. ეს ყველა ის დიდოსტატია, ვის შემოქმედებასაც ბავშვობიდან ვიცნობდი". ამავე პერიოდს უკავშირდება ჯორჯ დიუკისა და სტენლი კლარკის დაახლოებაც.

1973 წელს ჯორჯ დიუკი ზაპას დაუბრუნდა და ჯგუფში ჟან ლუკ პონტიც მოიყვანა. ამ შემადგენლობით ჯგუფმა სამი წელიწადი იმუშავა, შემდეგ კი დიუკი დრამერთან, ბილი კობემთან გადავიდა. შედეგად, დაიბადა ძლიერი ფიუჟენ-ჯგუფი, რომელმაც მეტი პოპულარობა მოიხვეჭა, ვიდრე დიუკისა და პონტის ალიანსს ჰქონდა.

დიუკის წარმატებული სოლო კარიერის დასაწყისი 1976 წელია. მოგვიანებით მუსიკოსმა პროდიუსერობაც სცადა, რაც მუსიკოსობაზე არანაკლებ წარმატებული გამოდგა. დი დი ბრიჯუოტერი, რეიჩელ ფერელი, სტენლი კლარკი, ნატალი ქოული, ელ ჯერო, მაილს დევისი და ა.შ. - ეს იმ მუსიკოსთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა პროდიუსერობასაც სხვადასხვა დროს თავი გაართვა ჯორჯ დიუკმა. ამიტომაც ამბობს დღეს მუსიკოსი: "80-იანები - ეს ჩემი წლები იყო. კარგი პროდიუსერი აღმოვჩნდი".

ჯორჯ დიუკის ბიოგრაფია საკმაოდ დიდია და მრავალფეროვანი. სავსე ცნობილი და ნაკლებადპოპულარული სახელებით, ვისთან ერთადაც მუსიკოსს სხვადასხვა ამპლუაში მოუხდა თანამშრომლობა. დიუკისთვის უცხო არც ორკესტრის შემადგენლობაში ყოფნაა და არც პრესტიჟული ფესტივალის დირექტორობა. მისი ცხოვრების აქტიური რეჟიმი დატვირთულია სხვადასხვა სემინარებითა თუ მოხსენებებით. ჯორჯ დიუკის პროფესიონალურ დონეზე შთაბეჭდილების შესაქმნელად საკმარისია თქმა, რომ მაილს დეივისისადმი მიძღვნილ საღამოზე მარკუს მილერთან, ქრისტიან მაკბრაიდთან და ჰერბი ჰენკოკთან ერთად დიუკიც მონაწილეობდა.

შარშან დიუკი ახალი კომპაქტდისკით "პრომოუშენი" იყო დაკავებული. აქტიური და საინტერესოა 2004 წელიც. "მომავალს ბავშვივით, იმედიანად შევყურებ. თამამად ვიღებ გამოწვევას, ვუმკლავდები პრობლემებს და ამისთვის ვიბრძვი კიდეც. არავის უთქვამს, რომ არჩეული გზა იოლი იქნება. ასე რომ, ვნახოთ, რა მელის მომავალში", - ამბობს მუსიკოსი. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, სასიამოვნო ემოციების იმედით "ისთერნ პრომოუშენის" მორიგი ვარსკვლავის გამოჩენას ველოდოთ.

თვალსაზრისი

არჩევითობა თბილისის კონსერვატორიაში

თენგიზ ბავლოხაშვილი
კომპოზიტორი

არჩევითობის პრინციპი დემოკრატიის დიდი მონაპოვარია და მისი უარყოფა სრული უმეცრება იქნებოდა, მაგრამ მოდით სიმართლეს პირდაპირ შევხედოთ და ის ვთქვათ, რაც ამ არჩევითობის სიღრმეებში რეალურად არსებობს თბილისის კონსერვატორიაში. არჩევნები აქ თითქმის ყველა ეტაპზე და ყველა რგოლზე ვრცელდება: ირჩევენ სამხატვრო-სამეცნიერო საბჭოს, რექტორს, პრორექტორს, კათედრის გამგეებს, პროფესორ-მასწავლებლებს; სტუდენტები ირჩევენ მათთვის სასურველ საგნებს, მასწავლებლებს და ა.შ. ერთი სიტყვით, კონსერვატორიის ცხოვრება ისეთი დემოკრატიულია, რომ პროგრესულად მოაზროვნე ნებისმიერი საზოგადოება ინატრებდა.

ამჯერად შევჩერდები არჩევნების იმ პროცესზე, როდესაც სტუდენტები ამა თუ იმ საგანში თვითონ ირჩევენ სასურველ მასწავლებლებს.

მუსიკალურ საკრავებზე, ვოკალზე, დირიჟორობაზე სწავლების მეთოდიკა გულისხმობს ინდივიდუალურ მეცადინეობას, სადაც სტუდენტებისა და მასწავლებლების ურთიერთდამოკიდებულება განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ამ შემთხვევაში, სტუდენტისა და მასწავლებლის ეფექტური თანამშრომლობის პერსპექტივა არანაკლებადაა დამოკიდებული მათსავე ინდივიდუალური მონაცემების ბალანსირებაზე, სადაც პროფესიულთან ერთად, სხვადასხვა ფაქტორებიც მონაწილეობენ (ფსიქოლოგიური, სოციალური, ადამიანური და ა.შ.). ასე რომ, "სპეციალობაში" სტუდენტების მიერ მასწავლებლის არჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, "მედლის" მეორე მხარეც არსებობს. მაგალითად, საშუალო მუსიკალური მონაცემების მქონე სტუდენტს დავით ოისტრახთან სწავლის სურვილი რომ გასჩენოდა, სტუდენტის არჩევანი მხოლოდ სურვილად დარჩებოდა, რამეთუ ოისტრახი საშუალო მონაცემების მქონე სტუდენტს, უბრალოდ, არ მიიღებდა თავის კლასში. ისევე როგორც თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, გიზი ამირეჯიბი 10 პირველკურსელიდან, რომლებმაც სწორედ ამ პროფესორთან განაცხადეს სწავლის სურვილი, მხოლოდ მისთვის მისაღებ რამდენიმე სტუდენტს თუ აიყვანდა კლასში. მით უმეტეს, თუ მისი საშტატო განაკვეთი მეტს ვერ დაიტევდა. ასე რომ, მასწავლებლის არჩევისათვის, "სპეციალობაშიც" კი, მხოლოდ სტუდენტის სურვილი საკმარისი არ არის და აქედან გამომდინარე, არჩევითობის პრინციპის უპირობო დაკანონება იმდენად შეუძლებელია, რამდენადაც იგი პირობითია.

არჩევითობის პრინციპი, აგრეთვე პირობითია ჯგუფური მეცადინეობის პირობებში, თეორიული საგნების მასწავლებლობის არჩევის დროსაც, რაც რექტორის ინიციატივით, სამი წლის წინ იქნა შემოღებული თბილისის კონსერვატორიაში. სტუდენტი, როდესაც სურვილს გამოთქვამს, რომ ესა თუ ის საგანი ისწავლოს მის მიერ არჩეულ მასწავლებლებთან და მისი არჩევენი არ კმაყოფილდება, ასეთი არჩევნების მოწყობას აზრი ეკარგება. ათმა სტუდენტმა ერთი და იგივე საგანში, თუკი სამ ან ოთხ სხვადასხვა მასწავლებელზე გააკეთა განაცხადი, ამ საგანში სამი ან ოთხი ჯგუფი ვერ გაიხსნება, რადგან სამი ან ოთხი, ორ-სამკაციანი ჯგუფის შექმნა, არც სასწავლებლის ინტერესებში "ჯდება", არც სასწავლო გეგმაში და არც საგნის სწავლების მეთოდიკაში. ამიტომ, ამ ათი სტუდენტიდან იქმნება ერთი ან უკეთეს შემთხვევაში, ორი ჯგუფი, რომელიც, შესაბამისად, გადანაწილდება ერთ ან ორ მასწავლებელთან და, ფაქტობრივად, გარკვეული რაოდენობის სტუდენტთა არჩევანი არ კმაყოფილდება. სამაგიეროდ კმაყოფილდება ვიღაცის "პროფესიული ხედვა", რომელიც ოთხი მასწავლებლიდან ორს, შეიძლება სამსაც "თამაშგარე მდგომარეობაში" ტოვებს.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს მაგალითები მხოლოდ თეორიულია, მაგრამ ეს კონსერვატორიის სინამდვილის ანარეკლია. ის ფაქტი, რომ ამა წლის პირველკურსელ სტუდენტთა გარკვეული პროცენტი სასურველ პედაგოგთა არჩევის თაობაზე, დაკმაყოფილებული არ იქნა, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ სტუდენტების მიერ პედაგოგთა ასეთი არჩევითობა, როგორც პროცესი, საფუძველშივე აბსურდულია.

ამასთან ერთად, დასამალი არაა, რომ სტუდენტების უმეტესი ნაწილი (განსაკუთრებით ინსტრუმენტულ და ვოკალურ ფაკულტეტებზე) მუსიკის თეორიული საგნების მეცადინეობით მაინცდამაინც "თავს არ იცხელებენ" (რაც ძალზე სამწუხაროა და სტუდენტების საყურადღებოდ მინდა აღვნიშნო, რომ მუსიკაში ნებისმიერი სპეციალობის დაუფლება არასრულფასოვანია მუსიკის თეორიის და ისტორიის გარეშე). ასეთი სტუდენტები ამ საგნებში, ბუნებრივია, არჩევანს ისეთ მასწავლებლებზე აკეთებენ, რომლებიც არც ლექცია-სემინარების დროს არიან მოწოდების სიმაღლეზე და არც გამოცდებზე, ხოლო ნიშნებს ლამის "კორიდორებში" არიგებენ. ასეთი სტუდენტებისათვის მაღალკვალიფიციური დონის, მომთხოვნი მასწავლებელი არ არის მისაღები და ამ შემთხვევაშიც ღირსეული პროფესურა "თამაშგარე მდგომარეობაში" რჩება. შეურაცხმყოფელია, როცა ხედავ, რომ ზოგიერთი მასწავლებელი, მისთვის ყოვლად დამამცირებელი ფორმით, როგორ ცდილობს, როგორ "მუშაობს" სტუდენტებთან, რომ იქნებ რამენაირად ასიამოვნოს, მიიზიდოს ისინი, რათა მომავალ წელს მასზე გააკეთონ არჩევანი და არ დარჩეს პედაგოგიური დატვირთვის გარეშე და აქედან გამომდინარე - უხელფასოდ. ხოლო, სტუდენტები გრძნობენ რა საკუთარი უფლებების პრიორიტეტს, მათი დამოკიდებულება მასწავლებლებთან უცერემონიო და, ზოგ შემთხვევაში, სტუდენტისათვის შეუფერებელ, უხეშ ფორმებს იღებს. ყოველივე ეს სტუდენტისა და მასწავლებლის ურთიერთობაში ხელს უწყობს ზნეობრივი ნორმების რღვევას და იერარქიული სისტემის მოშლას.

არც ისაა გამორიცხული, რომ სტუდენტების გარკვეული ნაწილი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი თეორიული საგნების ყველა მასწავლებელს არ იცნობენ - ირჩევენ სპონტანურად, იმპროვიზაციულად, მიმბაძველობით, მეგობრისა და ნაცნობების კონსულტაციების შედეგად და არა საკუთარი გადაწყვეტილებებით - არჩევითობა ფორმალურ ხასიათს იღებს.

ფორმალიზმი კი ყოვლად მიუღებელია დემოკრატიისათვის, რომელიც კონსერვატორიაში ორმაგი სტანდარტით "მუშაობს" და მისმა ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურმა ტალღამ შეიძლება წალეკოს არჩევითობის სისტემა ყველა რგოლში და ზნეობრივ ფაქტორთან ერთად, საფრთხის წინაშე დააყენოს მთავარი - კონსერვატორიის პროფესიული დონე. ამგვარი დემოკრატიით, პედაგოგიური დატვირთვის გარეშე, ხოლო პერსპექტივაში კონსერვატორიის გარეთ დარჩებიან ღირსეული მასწავლებლები... და რამდენად სავალალოა, რომ ყოველივე ეს კეთდება სტუდენტების ხელით.

ძალიან მეეჭვება, რომ კონსერვატორიაში ვინმე ჭკუათმყოფელს უჭირდეს ამ არჩევანის ნეგატიური მიზეზშედეგობრიობის გაცნობიერება, მაგრამ თუ ვინმეს მაინც მიაჩნია, რომ ეს არჩევნები სამართლიანია და მისაღები, მაშინ "ძაღლის თავის ჩამარხვის" ადგილი სხვაგან უნდა ვეძიოთ. მაშინ, იქნებ რექტორები, პრორექტორები... ასეთივე "პირდაპირი" არჩევნებით ავირჩიოთ, თანაც პროფესორ-მასწავლებელთა მსგავსად მხოლოდ ერთი წლით, ოღონდ კონსერვატორიის მთელმა შემადგენლობამ და არა 30 მასწავლებლისაგან შემდგარმა სამხატვრო საბჭომ, რომლის წევრთა უმეტესობა თვით რექტორის მიერაა დანიშნული თანამდებობებზე და ავტომატურად შედიან სამხატვრო საბჭოს. შემადგენლობაში. ამასთან ერთად, არაერთი კითხვა იბადება: თუკი სტუდენტების მოთხოვნილების საფუძველზე ხდება კონსერვატორიის დაკომპლექტება პედაგოგიური კადრებით, თუკი სტუდენტების მეშვეობით წარმოებს პროფესორ-მასწავლებელთა კლასიფიკაცია, თუკი სტუდენტების შეხედულებით განისაზღვრება პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული დონე, მაშინ რა ვუყოთ კონსერვატორიის სამხატვრო-სამეცნიერო საბჭოს? სასწავლო ნაწილს? პროფესორთა საბჭოს? სამეცნიერო ნაწილს? რექტორატს? კათედრებს? პედაგოგთა ატესტაციებს? კონკურსებს? ეს ხომ არ ნიშნავს ამ "ინსტიტუტთა" პროფესიულ უუნარობას?

რეცენზია

თანაგრძნობა თანაგრძნობის წილ

თათა ცოფურაშვილი



თანაგრძნობა ადამიანური ფენომენია. შეიძლებოდა ნიცშეს ცნობილი წიგნის სათაურის კვალად გვეთქვა, რომ იგი ადამიანურია, თანაც ერთობ ადამიანური და ჰომო საპიენსის ემოციურ კატეგორიებშიც მას შეუცვლელი ადგილი უჭირავს.

კიდევ ასეც შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანური ექსისტირება, იგივე ადამიანად ყოფნა, თანაგრძნობის გარეშე არ არსებობს. მოკლედ, ათასნაირად შეიძლება განვსაზღვროთ და გავასაზრისიანოთ ეს ასე ნაცნობი სიტყვა და ათასნაირი ფილოსოფიური თუ ანთროპოსოფიური მიმდინარეობის ჭრილში განვიხილოთ იგი. მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა, თანაც ერთობ შორს.

ამიტომაც ჯობს, კვლავაც ნაცნობ სიტყვებს დავუბრუნდეთ. ყველაზე ნაცნობი სიტყვით და ყველაზე ლაკონურად კი რომ დაგვეხასიათებინა, ვიტყოდით, რომ თანაგრძნობა სენტიმენტია.

ჰოდა გასაკვირიც არაა, რომ სენტიმენტალური იყოს წიგნი, რომელსაც სახელად თანაგრძნობის სიმღერა ერქმეოდა. სწორედ რომ, ასეთია ირაკლი კაკაბაძის Compassionata ანუ "თანაგრძნობის სიმღერა", რომელიც ახლახანს მოევლინა დღის სინათლეს.

ეს არის კრებული, რომელიც შედგება შვიდი თხზულებისაგან. ამათგან ზოგი პროზაული, ზოგიც კი თანამედროვე პოეზიის ფორმითაა გადმოცემული. თუმცა, თითოეულ მათგანს აერთიანებს მრავალგზის და მარავალთათვის სანატრელ ამერიკაში მოხვედრილი ჩვენი თანამემამულის სევდა, ლაიტმოტივად თანამდევი ფიქრით გეოპოლიტიკასა თუ მსოფლიო პოლიტიკაზე და ამ პოლიტიკის მმართველ ფინანსურ მაგნატებზე.

კრებულში შემავალ შვიდივე ნაწარმოებს აერთიანებს კიდევ ერთიც - მთხრობელი, რომელიც ნავთობკომპანიების კონფერენციაზე, დიპლომატიურ სხდომებსა თუ ტყვეობაში (ეს სამი სხვადასხვა მოთხრობის სიუჟეტური ფაბულაა) მაინც ერთია, პრობლემების ერთი სფეროთი შეპყრობილი და თხრობის ერთი მანერით აღჭურვილი მონოლოგის ავტორი.

ეს მონოლოგი კი წიგნის დასასრულს ნეტარი ავგუსტინეს "აღსარებების" პათოსით დაწერილ ერთ დიდ აღსარებას ესგავსება, რომელიც ამერიკის სამთავრობო და ბიზნესმაგნატების წრეებში შემთხვევით მოხვედრილი პოსტსაბჭოთა ქართველის ემოციებს გადმოგვცემს, რამეთუ, ავტორის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, ეს ქართველი ხომ "მონაწილე გამხდარა იმ თამაშის, სადაც ადამიანების მაგივრად ციფრები ლაპარაკობენ".

ადამიანების მაგივრად მოლაპარაკე ციფრების თამაშში კი პრობლემა იქ იბადება, როცა თამაშზეც უარის თქმა არ გინდა და არც საკუთარ სათქმელთან დამშვიდობება გსურს. და ამიტომაც იწყებს ავტორის ანონიმური გმირი (მისი სახელი მკითხველისთვის ბოლომდე გაურკვევლი რჩება, რაც თხრობის აღსარებით ხასიათს კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს) კორპორაციის სხდომებსა თუ დიპლომატიურ კრებებზე ფიქრს. ფიქრი კი თუ დაიწყე, ვერ გაჩერდები და ასე იბადება ნავთობკომპანიების კონფერენციაზე მოხვედრილი ახალბედა ქართველისგან მოაზროვნე. შეიძლება როდენის ქანდაკების მსგავსად საუკუნოდ ჩაფიქრებული არა, მაგრამ ადამიანი, რომელიც არათუ თავის პატარა სამშობლოსა და სოლოლაკის ქუჩების ნოსტალგიაზე, არამედ ზოგადასაკაცობრიო ბედზეც კი დაფიქრებულა. თანაც იგი კარგი ფინანსისტისა თუ დიპლომატის გარდა (აბა, სხვანაირად როგორ გაიკვლევდა გზას ემიგრანტი ამერიკულ კონსორციუმებსა თუ სენატის სხდომებისკენ მიმავალ დერეფნებში) ინტელექტუალიც არის, რადგან კითხულობს ლინგვისტ ჩომსკის, ყიდულობს იტალიელი პოსტმოდერნისტის უმბერტო ეკოს წიგნს (მართალია, მოუცლელობის გამო ვეღარ ახერხებს მის წაკითხვას, მაგრამ მაინც...), უსმენს არეტა ფრანკლინსა თუ როკის მამამთავრებს და, რაც მთავარია, ფიქრობს. ამ ფიქრებში კი საქართველოს ნათელ მომავალთან ასოცირებული ნავთობი ისეთ შავ ფერებშია დახატული, რომ იფიქრებთ, კახეთის სოფელ ნინოწმინდაში ნავთობის ჭაბურღილიდან ამოფრქვევას, არც მეტი, არც ნაკლები უკვე დიდი ხნის წინ ინტუიციით მიმხვდარა ავტორიო.

მთელი ეს განაზრებანი კი ერთგვარი კაპიტალისტურ-კონსიუმერული სანსარადან (ტანჯვიდან) გამოსავლის მაძიებელი ერთი დიდი ბუდისტური მედიტაციაა. მხოლოდ მედიტაცია "ჰალსტუხის ბატონობის ქვეშ". მართალია, მის ყველაზე კარგ გამოხატულებად სტილისტური ფორმით ორიგინალურად გადაწყვეტილი "დიპლომატის ჩანაწერები" შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ მთლიანობაში ასეთი გამოსავლის - ჰიმაიანასა თუ მაჰაიანას - ძიებას წარმოადგენს მთელი კრებული.

მაშინ თანაგრძნობა რა შუაშიაო, იკითხავთ თქვენ. იმაში, რომ სოციალური უთანასწორობის თუ სამართლიანობა-უსამართლობის თემა ავტორს მისი წინამორბედი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მემარცხენე ლიტერატორების დარად ეგზისტენციალური ტკივილის დონეზე განუხილავს. ტკივილი კი თანაგრძნობას საჭიროებს და აქ იბადება კიდეც ის, რისთვისაც ერთგვარი "თანაგრძნობის დიალექტიკაც" კი შეიძლებოდა გვეწოდებინა: ავტორი თანაუგრძნობს მესამე სამყაროს ქვეყნების თითოეულ მოქალაქესა თუ პირველ სამყაროს ყველა მათხოვარს და ამ თანაგრძნობით გამოწვეული ტკივილისა და საკუთარი უმწეობის სანაცვლოდ (მთავარი გმირიც ხომ დიდი კონსიორციუმ-კორპორაციული მანქანის სათავის ერთ-ერთი ჭანჭიკია) თავად მკითხველისგან მოელის თანაგრძნობას. მოკლედ ქართველი (და არა მხოლოდ ქართველი) სოციალურად გაჭირვებული მკითხველი ერთდროულად თანანაგრძნობი და თანამგრძნობელიც გამოდის.

თუმცა, მაინც ვის მიმართ არის თანაგრძნობა ნამღერი? ბათუმის ქუჩებში ცელოფანის პარკებით მოვაჭრე ცისფერთვალება გოგონასადმი, ნიუ იორკის ქუჩებში მჯდარი მათხოვრისადმი, შრილანკელი ქალებისადმი, ბოსნიელი ლტოლვილებისადმი და საერთოდ, მთელ მსოფლიოში არსებული ყველა დაჩაგრულისადმი. და თუ კი თქვენც ასეთებს მიაკუთვნებთ საკუთარ თავს, მაშინ ამ ჩაგვრის მიზეზების შესახებ პასუხის პოვნაში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უნდა დაგეხმაროთ ირაკლი კაკაბაძის ეს წიგნი. მით უმეტეს რომ "მარკო მანიაკის დღიურებში" ამდენი რამ არის მოთხრობილი USAID-ის მიერ საქართველოში განხორციელებულ 20 მილიონნიან ოპერაციებზე, კარგად თუ ცუდი გაგებით ავანტიურისტულ საქმიანობაზე და ორგანიზაციის ასევე კარგ კავშირებზე ნომენკლატურასთან (ქართულთან თუ ამერიკულთან).

მოკლედ, ეს პათოსი ქართველი ავტორის მხრიდან ამერიკული კორპორაციების წინააღმდეგ გალაშქრების საკმაოდ თამამი განაცხადია. მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, მას არც კონკრეტული ორგანიზაციის USAID-ის მიერ ჩივილის საშიშროება აშინებს. თუმცა, რამდენად პოლიტკორექტულია ასეთი პათოსი დღევანდელი დასავლური კაპიტალის მოზიდვის ჟამს "ამერიკის მწყალობელი ხელის" იმედად მყოფი ჩვენნაირი ქვეყნისთვის, ეს თავად ამ ორგანიზაციამ და ავტორმა განსაჯონ. არადა, თანამედროვე მსოფლიოს ალგებრული ჭეშმარიტებაა, რომ არც დიდი ფინანსები პოლიტიკის გარეშე და არც დიდი პოლიტიკა ფინანსების გარეშე არ არსებობს და არც არასდროს არსებულა. მოკლედ, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. მაგრამ, რატომ შეარჩია ამ დიდი ფინანსებით განსაზღვრული დიდი პოლიტიკის დარტყმის ობიექტად ავტორმა სწორედ რომ USAID-ი, ეს უკვე ფინანსებისა და პოლიტიკის სფეროა და რადგან მას ლიტერატურისგან საკმაოდ შორს მივყავართ, ჯობს, ისევ ამ უკანასკნელს დავუბრუნდეთ.

ასე თუ ისე, სახეზეა ეგზისტენციალიზმის ლიტერატურული ინტერპრეტაცია ქართულად. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს წიგნში მრავალჯერ ნახსენები სარტრი, ნიცშე (მართალია, ეს უკანასკნელი ეგზისტენციალიზმზე მეტად სიცოცხლის ფილოსოფიის მამამთავარად მიიჩნევა ხოლმე) მერლუ პონტი და ევროპული თუ ამერიკული კულტურის განმსაზღვრელთა სახელების ფართო სპექტრი (ბერნარდ შოუ, ალენ გინზბერგი, ჯეკ კერუაკი, მაკიაველი, ფროიდი, იუნგი, სტენლი კუბრიკი და ა.შ.) და რაც მთავარია, მემარცხენე პოლიტიკური ორიენტაცია, რომლის ლიტერატურული ნაზავი, ალბათ, სარტრისგან ან კერუაკისაგან თუ უსესხებია ქართველ ავტორს.

რაც მთავარია, კონსიუმერული საზოგადოების ავ-კარგის (თუმცა უფრო უპრიანი იქნებოდა, ალბათ, რომ დაგვეწერა ავის) მხილების შემდეგ ავტორს ამ ზოგად-კაპიტალისტური სენისგან - ერთგვარი კონსიუმერული კოლაფსისგან გამოსავლის შანსიც უპოვნია ბუდისტური ჰიმაიანას დარად - მართალია, მცირედ თრილერულ-ტერორისტულ-მესიანური ფაბულით: სიუჟეტის მთხრობელი არც მეტი, არც ნაკლები მძევალია ვინმე თვითმარქვია მარკოსი, რომელსაც იგი გაურკვევლ სივრცეში ჩაუკეტავს და მისთვის საჭმელთან ერთად ფურცელი და პასტაც მიუცია. ასე რომ, მძევალიც დღიურს წერს და ამ წერის პროცესში ერთგვარი კათარზისის თუ სულიერი მკუნალობის კურსს გადის. "ჩვენ გადაგარჩინეთ და გიმკურნალეთ. ახლა უკვე შენ იცი, როგორ იცხოვრე" - ეს არის "მარკოს" გამოსამშვიდობებელი სიტყვები, თუმცა ამ სიტყვებთან ერთად მესიანური კონტექსტიც იკვეთება: "იცოდე, რომ ღმერთმა გიშველა და მე მარკო არა ვარ!"

მაგრამ ძნელია, დააღწიო თავი ჩაკეტილ წრეს. მით უმეტეს, თუ ეს წრე კაპიტალითაც არის გამყარებული. და ამიტომაც ირაკლი კაკაბაძის გმირის სულიერი დრამა გრძელდება...

ხოლო რათა ეს სულიერი დრამა კაპიტალიზმის საწყისებზე შემდგარი ჩვენი ექსსოციალისტური ქვეყნის დრამადაც არ იქცეს, "თანაგრძნობის სიმღერას" თანაგრძნობის გარდა გამაფრთხილებელი ჰანგების ჟღერადობაც დაჰკრავს, თანაც როგორ!

მოკლედ, ეს წიგნი მასონთა ლოჟაზე, ნავთობზე, სენატზე თუ ამერიკულ კეთილდღეობასთან ასოცირებულ სხვა ინსიტიტუციებზე მითითებებით გავსებულ ანტიემიგრაციულ მანიფესტადაც კი გამოადგებოდა ჩვენს მთავრობას.

მით უმეტეს, რომ იქ ასე ხშირად არის ნახმარი სიტყვაც PR-ოპაგანდა.

პაულო კოელიოს სვეტი

ალმზრდელისა და გზების შესახებ



ბედის არჩევა

“მზად ვარ, ყველაფერი დავთმო, - თქვა პრინცმა, - გთხოვთ, თქვენს შეგირდად ამიყვანოთ”.

“როგორ ირჩევს ადამიანი სავალ გზას?” - ჰკითხა აღმზრდელმა.

“მსხვერპლის საფასურად, - მიუგო პრინცმა, - გზა, რომელიც თავგანწირვას, მსხვერპლის გაღებას მოითხოვს, ნამდვილი გზაა”.

მასწავლებელი განზრახ დაეჯახა თაროს. ჩამოვარდა ძვირფასი ლარნაკი. პრინცმა მის გადასარჩენად ისკუპა, ლარნაკი გატეხვისგან კი იხსნა, მაგრამ თვითონ უხერხულად დაეცა და მხარი მოიტეხა.

“რომელია უფრო დიდი მსხვერპლი, შენი აზრით: ნახო, როგორ დაიმსხვრა ლარნაკი შენს თვალწინ, თუ მისი გადარჩენისთვის თავი გაწირო და დაშავდე?”

“არ ვიცი”, - თქვა პრინცმა.

“თუ არ იცი, მაშინ როგორ აპირებ გზის არჩევას მხოლოდ მსხვერპლის საფასურად? ნამდვილ გზას ადამიანი სიყვარულით ირჩევს. მას ეს გზა, პირველ რიგში, უნდა უყვარდეს. ასე რომ, უნარი იმისა, რომ არჩეული გზისთვის ეწამო, საკმარისი არ არის”.

იცხოვრე ჭეშმარიტებასთან ჰარმონიაში

მაჰათმა განდიმ მთელი ცხოვრება ბრძოლას შესწირა, მაგრამ ინდოეთის გათავისუფლება ბრიტანული მმართველობისგან მაინც შეძლო. როდესაც უთხრეს, თქვენ მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე ხართო, განდიმ უპასუხა:

“მსოფლიოს ახალს ვერაფერს ვასწავლი. სიმართლე და არაძალადობრივი გზით ბრძოლა - ეს ფასეულობები ისევე ძველია, როგორც აგერ, ეს მთები. ერთადერთი, რაც მე გავაკეთე იყო ის, რომ ორივეს - სიმართლესაც და არაძალადობრივ ბრძოლასაც მთელი აღმაფრენით ვემსახურე, ეს ფასეულობები ისეთ გრანდიოზულ ხარისხში ავიყვანე, როგორც შემეძლო. ვცხოვრობდი და ვმოქმედებდი ამ ფასეულობებით, და თან, ცხადია, შეცდომებსაც ვუშვებდი, მაგრამ ამ შეცდომებზე ბევრი რამ ვისწავლე კიდეც.

ადამიანს, ვისაც მარტივი ჭეშმარიტებების სჯერა, ამ ფასეულობების გავრცელებას მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ თავის რწმენასთან ერთად ჰარმონიულ ცხოვრებას ისწავლის. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც მე გავაკეთე, თითოეულ ადამიანს ხელეწიფება, ქალსაც და კაცსაც. ამისთვის, უბრალოდ, საჭიროა იმდენივე ენერგიისა და მონდომების ჩადება საქმეში, რამდენიც მე გავიღე; ისეთივე ულევი, ურყევი რწმენითა და იმედით აღვსება, როგორიც მე გამოვიმუშავე.

წინააღმდეგობების დაძლევა

სუფიზმის ცნობილი სწავლული კალიფორნიაში ლექციების წასაკითხად მიიწვიეს. ლექცია დილის რვა საათზე უნდა დაწყებულიყო. აუდიტორია უკვე ხალხით იყო სავსე, როცა კათედრაზე ასისტენტი ავიდა და გამოაცხადა:

“მაესტრომ ამ წუთში გაიღვიძა. გთხოვთ, მოთმინებით დაელოდოთ მას”.

დრო გავიდა, ხალხს ლოდინი მობეზრდა და დარბაზიდან იწყო გასვლა. შუადღისთვის ასისტენტი კვლავ გამოჩნდა და აუდიტორიაში შემორჩენილებს აცნობა, რომ სწავლული მოვიდოდა, როგორც კი დაამთავრებდა საუბარს ერთ ლამაზ ქალთან, რომელსაც ეს-ესაა შეხვდა. ამ განცხადების შემდეგ ხალხი კიდევ უფრო შეცოტავდა.

როგორც იქნა, სწავლული დარბაზში ოთხი საათისთვის შემოვიდა, ის მთვრალი ჩანდა. კარისკენ კიდევ უფრო მეტი ადამიანი წავიდა, და ბოლოს ოთახში ექვსი ცნობისმოყვარე მსმენელიღა შემორჩა.

“ჩემი შეგირდები მხოლოდ თქვენ იქნებით”, - თქვა ოსტატმა სრულიად ფხიზელი კაცის ტონით. როგორც ჩანს, მანამდე ის, უბრალოდ, თავს იკატუნებდა და მთვრალის როლს თამაშობდა:

“ვისაც სურს, დაადგეს დიდ გზას, უნდა იცოდეს კიდეც, რომ პირველ გაკვეთილზე ყოველთვის საწყისი იმედგაცრუების დაძლევის ხელოვნებას უნდა დაეუფლოს”.

ყველაფერი გაივლის

სუფის ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ცხოვრობდა ერთი მეფე, რომელსაც რჩევებს ბრძენი სწავლულები აძლევდნენ. ერთ დილასაც, მორიგი საუბრის დროს, მეფე უჩვეულოდ დუმდა.

“რაშია საქმე, თქვენო უდიდებულესობავ?” - ჰკითხა ბრძენთაგან ერთ-ერთმა მეფეს.

“დაბნეული ვარ, - მიუგო მეფემ, - “ხანდახან სევდა დამრევს ხოლმე ხელს და ვგრძნობ, რომ მეფური მოვალეობების შესასრულებლად ძალა აღარ მყოფნის. ხანდახან კი, პირიქით, საკუთარი ძალაუფლების შეგრძნება მაბრმავებს. ნეტავ, რაიმე თილისმა მქონდეს, რომელიც მიშველიდა და სულის მშვიდობას მაპოვნინებდა”.

მეფის აღსარების მოსმენის შემდეგ, ბრძენები საგონებელში ჩავარდნენ, რამდენიმე თვის განმავლობაში იმტვრევდნენ თავს, ბოლოს ძღვენით ხელში მეფეს კვლავ ეახლნენ.

“ამ თილისმაზე ჯადოსნური სიტყვები ამოვტიფრეთ. ხმამაღლა წაიკითხეთ ის, ან როცა სევდა მოგეძალებათ, ანდა, პირიქით, როცა ზედმეტი თვითრწმენა რეალურად განსჯის უნარს დაგაკარგვინებთ”.

თილისმა, რომელიც მრჩევლებმა მეფეს გადასცეს, სრულიად ჩვეულებრივი ოქრო-ვერცხლით ნაკეთი ბეჭედი იყო, მაგრამ მასზე ეწერა:

“ყველაფერი გაივლის”.

პაულო კოელიოს ტრილოგიის პირველი წიგნი გამოსცა “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ”. იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.

ანგელოზები და მაფიოზები

"ემი" აქტუალური ამერიკული თემების შესახებ

ამერიკულ ტელევიზიაში ერთი წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. ტელეარხი HBO კვლავაც ლიდერად დარჩა. მისი ტელე-სერიები და საპნის ოპერები კი - ფავორიტად.

ასეთი შედეგით დასრულდა კვირას, სატელევიზიო პრიზის “ემის” გადაცემის ცერემონიალი ლოს ანჯელესში. გამოიყო თავად HBO-ს ლიდერებიც. მაგალითად, დრამა “ამერიკის ანგელოზები” შვიდი “ემით” დაჯილდოვდა, მათგან ორი პრიზი მერილ სტრიპისა და ალ პაჩინოსთვის გაიცა - პირველი მინისერიების საუკეთესო მსახიობი ქალი გახდა, მეორე კი - საუკეთესო მსახიობი მამაკაცი. “ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ ზედმეტად მაქებენ, მაგრამ დღეს ასე არ ვფიქრობ, ახლა ბედნიერი ვარ”, - განაცხადა სტრიპმა.

“ამერიკის ანგელოზები” ტონი კაშნერის პულიცერის პრიზით აღნიშნული ნაწარმოების მიხედვითაა გადაღებული და შიდსის პრობლემას ეხება.

კვირას სათანადოდ დააფასეს HBO-ს მეორე მთავარი და საქართველოშიც საკმაოდ პოპულარული სერიალი “სოპრანოს კლანი”. რამდენიმეწლიანი მარცხის შემდეგ სერიალი, როგორც იქნა, საუკეთესო დრამის კატეგორიაში საუკეთესო გახდა. “ემის” ისტორიაში ეს ჯილდო კაბელური არხის ნაწარმს პირველად გადაეცა. შეგახსენებთ, რომ მანამდე მთელი ოთხი წლის განმავლობაში ამ მთავარ პრიზს NBC-ის სერიალი West Wing ისაკუთრებდა. შესაბამისად, “სოპრანოს” შემქმნელისთვის კვირას მიღწეული წარმატება მართლაც დიდი ტრიუმფი აღმოჩნდა. “მიჭირს ამაზე ლაპარაკი. სერიალში უამრავი შრომა და მონდომება ჩავდეთ. მიხარია, რომ ჩვენმა მცდელობამ ნაყოფი გამოიღო”, - განაცხადა დევიდ ჩეიზმა და იქვე დასძინა, რომ “სოპრანოს კლანი” მომავალ წელს დასრულდება, მეექვსე სეზონის ბოლოს. სამწუხაროდ, წელს მხოლოდ ნომინაციებს დასჯერდნენ “სოპრანოს” ვარსკვლავებიც - ჯეიმს განდოლფინი და ედი ფალკო. მათ საუკეთესო მსახიობების ტიტულის მოპოვება წელს ვეღარ შეძლეს.

სამაგიეროდ, კვირას დაჯილდოვდა უკვე დასრულებული სერიალის “სექსი დიდ ქალაქში” მთავარი როლის შემსრულებელი სარა ჯესიკა პარკერიც. ის კომედიის ჟანრში საუკეთესო მსახიობი ქალი გახდა. მანამდე სარა იგივე ნომინაციაზე ხუთჯერ იყო წარდგენილი, მაგრამ წელს პრიზი პირველად მიიღო.

“მადლობა ჩემს ოჯახს, მეგობრებს, აგენტს, ადვოკატს, მენეჯერს და ყველა იმას, ვისაც ჩემთვის საუკეთესო სურდა. ეს ჯილდო ჰგავს წერტილს რთული წინადადების ბოლოს. მისთვის ამდენ ხანს ცდა, ნამდვილად ღირდა”, - განაცხადა სარა ჯესიკა პარკერმა ჯილდოს აღებისას.

სერიალებს შორის უხვპრიზიანობით გამოირჩეოდა კიდევ ერთი, ამჯერად “ფოქსისთვის” გაკეთებული შოუ Arrested Development; ფილმი, რომელშიც მამის დაპატიმრების შემდეგ არეულ ოჯახს ვაჟი უდგება სათავეში. სერიალს სამი “ემი” ერგო, მათ შორის საუკეთესო კომედიური სერიალი და სცენარი.

ფეხბურთი

"ტორპედო" ერთპიროვნული ლიდერი გახდა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-7 ტური პირველ რიგში იმით გამოირჩა, რომ ლიდერი შეიცვალა. უფრო სწორად, მოიშალა "ორხელისუფლებიანობა" და სატურნირო ცხრილის სათავეში ერთი გუნდი - ქუთაისის "ტორპედო" დამკვიდრდა. წინა ტურების თანალიდერი, თბილისის "დინამო", მას 2 ქულით ჩამორჩება.

მას შემდეგ, რაც "ტორპედომ" რთული გასვლითი მატჩი მოიგო ბოლნისში, მისი ერთპიროვნული გალიდერება იოლად პროგნოზირებადი გახდა. მართალია, "დინამო" საკუთარ კედლებში თამაშობდა, მაგრამ ოთხი დღის წინ ჩატარებულმა უეფას თასის მატჩმა და შემდგომ მომქანცველმა, 8-საათიანმა მგზავრობამ სერიოზული დაღი დაასვა ამ გუნდის ფიზიკურ კონდიციებს. წინდაწინვე ნათელი იყო, რომ ასეთ მცირე დროში "დინამო" ძალების აღდგენას ვერ მოასწრებდა. მით უმეტეს, გეგუჩაძის გუნდს გუშინ არც მეტოქე ჰყავდა ხელნამოსაკრავი - თამაშიდან თამაშამდე სწრაფად პროგრესირებადი "ლოკომოტივი" სულ უფრო მეტ ამბიციებს ამჟღავნებს.

"ტორპედომ", რომელმაც მე-7 ტურის მატჩი "დინამოსთან" შედარებით ორი დღით ადრე ჩაატარა, ერთი შეხედვით, საკმაოდ იოლად მოიგო. გიორგი მეგრელაძემ მე-10 წუთზე გახსნა ანგარიში, ხოლო 69-ე წუთზე მეგრელაძემ მეორედ დალაშქრა "სიონის" კარი და საკუთარ გუნდს "მშრალად" გაამარჯვებინა. აღსანიშნავია, რომ "სიონი", განსაკუთრებით საკუთარ მოედანზე, იოლად არავის არაფერს უთმობს. ამ შეხვედრაშიც მასპინძლებს არაერთი მომენტი შეექმნათ, მატჩმაც მთლიანობაში დაძაბულ და უკომპრომისო ბრძოლაში ჩაიარა, მაგრამ ქუთაისელებმა შეძლეს, გადაერჩინათ საკუთარი კარი და 3 ქულა ჩაიწერეს აქტივში.

ამავე დღეს გაიმართა კიდევ ერთი საინტერესო თამაში, რომელსაც მცხეთის სტადიონმა უმასპინძლა. საქართველოს ჩემპიონმა "ვიტ ჯორჯიამ" მიიღო "თბილისი" და ქულასაც ვერ გამორჩა. "თბილისმა" "დინამოდან" იჯარის წესით აყვანილი სანდრო იაშვილის ბრწყინვალე თამაშის წყალობით ორჯერ შეძლო ვეტერინარების კარის დალაშქვრა. ჯერ 38-ე წუთზე მასპინძელთა საჯარიმოში ჩაწოდებული მაღალი ბურთი იაშვილმა თავით დაუგდო ოდიკაძეს, რომელსაც გოლის გატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. შეხვედრის მიწურულს, 84-ე წუთზე, იაშვილმა თავად აიღო მეტოქის კარი. ამ გამარჯვებით "თბილისმა" 16 ქულა დააგროვა და ლიდერს 3 ქულით ჩამორჩება.

კაკალაძე რკინიგზელების გარემოცვაში.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რაც შეეხება გუშინდელ თამაშს, "დინამომ" აშკარად ვერ შეძლო "ვისლასთან" შეხვედრის შთაბეჭდილებებიდან თავის დაღწევა და საერთოდ არ ჰგავდა საკუთარ თავს. სხვადასხვა მიზეზის გამო გეგუჩაძემ 4 დღის წინანდელი შემადგენლობიდან 6 ფეხბურთელი დაასვენა. მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ ზოიძეს, შაშიაშვილს, ჭიჭვეიშვილს, ალადაშვილს, ნემსაძეს და გონჩაროვს, ხოლო კანდელაკი ტაიმის მიწურულს შემოვიდა, ისიც საკმაოდ უსიამოვნო მიზეზის გამო: ტრავმა მიიღო კვირკველიამ. ტრავმირებულია ზოიძეც, სავარაუდოდ, იგი 10 დღეში, ანუ "ვისლასთან" განმეორებით მატჩამდე ვერ გამოჯანმრთელდება. ექიმების აზრით, მას, სულ მცირე, 3-4 კვირა მოუწევს დასვენება. თუმცა, მისი არყოფნა გუშინ გუნდს არ აგრძნობინა მამალაძემ. მან რამდენიმე ეპიზოდში საიმედოდ ითამაშა და საკუთარი კარი უგოლოდ შეინახა.

თამაში "დინამოს" მცირე უპირატესობით წარიმართა, თუმცა, მასპინძელთა შეტევებს აშკარად აკლდა სისწრაფე, იმპროვიზაცია და აგრესია. "დინამომ" "ლოკომოტივის" კარისკენ პირველად 38-ე წუთზე დაარტყა. ეს კაშიამ გააკეთა, თუმცა, ბურთი დიდი მანძილით აცდა მიზანს. თავის მხრივ, არც "ლოკომოტივი" გამოირჩეოდა შეტევებში აქტიურობით. სვანაძის გუნდმა კონტრშეტევებზე გააკეთა აქცენტი და, ძირითადად, საუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, თუმცა, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ასპროცენტიანი საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან: "დინამოს" საჯარიმოში მომხდარი არეულობით ისარგებლა ყოფილმა დინამოელმა ბობოხიძემ, რომელმაც ხელსაყრელი სიტუაციიდან გაგზავნა ბურთი კარში, მაგრამ ძელმა იხსნა "დინამო" გოლისგან.

შეხვედრა მეორე ნახევარშიც იგივე სცენარით წარიმართა. "დინამო" შეტევის ორგანიზებას ცდილობდა და თამაშის გააქტიურების მიზნით გეგუჩაძემ შეცვლებიც განახორციელა (თუმცა, არც ამას მოუტანია დიდი შედეგი), ხოლო რკინიგზელები წარმატებით იცავდნენ თავს და ეპიზოდურად სახიფათო კონტრიერიშებს მიმართავდნენ. საბოლოოდ, მატჩი უგოლო ყაიმით დასრულდა, რომელმაც, წესით, უფრო "ლოკომოტივი" უნდა დაამწუხროს, რადგან მან რამდენჯერმე გაუშვა გოლის გატანის შანსი, ხოლო "დინამოს" ერთხელაც არ შეუწუხებია გვარამაძე.

გია გეგუჩაძე: "ჩემი გუნდის თამაშით და შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ. მოწინააღმდეგე მჭიდროდ გვეთამაშა და შეტევაში სივრცე შეგვიზღუდა. მეორე ტაიმში შეცვლებით ვცადე სიტუაციის გამოსწორება და ფლანგები გავაძლიერე, მაგრამ შედეგი არც ამან მოგვიტანა.

კვირკველიას ტრავმაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი. მას კუნთი დაეჭიმა. ხვალ ცნობილი გახდება, რამდენად სერიოზულია ეს ტრავმა და შეძლებს თუ არა იგი "ვისლასთან" განმეორებით შეხვედრამდე გამომჯობინებას. რაც შეეხება ზოიძეს, მისი თამაში პოლონელებთან გამორიცხულია.

ტრავმის გამო ახალაიას დიდი დრო გაუცდა და იგი დღეს თითქმის 90 წუთი ვათამაშე, რომ დროზე მოასწროს სათამაშო კონდიციების აღდგენა. მე მჯერა მისი, ვიცი, თუ რა შესაძლებლობები აქვს და თუ მომდევნო 10 დღეში ფორმის აღდგენა მოასწრო, "ვისლასთან" მატჩში აუცილებლად ითამაშებს."

მე-7 ტური,
18 სექტემბერი
დილა - კოლხეთი 2:0
დინამო (ბთ) - ზესტაფონი 5:0
სიონი - ტორპედო 0:2
ვიტ ჯორჯია - თბილისი 0:2
20 სექტემბერი
დინამო - ლოკომოტივი 0:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ტორპედო	7	6	1	0	13-1	19
2. დინამო (თბ)	7	5	2	0	20-4	17
3. თბილისი	7	5	1	1	17-8	16
4. ლოკომოტივი	7	3	2	1	11-3	12
5. დინამო (ბთ)	7	3	2	2	11-6	11
6. ვიტ ჯორჯია	7	3	1	3	12-12	10
7. სიონი	7	2	0	5	7-21	6
8. დილა (გრ)	7	1	0	6	6-14	3
9. კოლხეთი 1913	7	1	0	6	3-16	3
10. ზესტაფონი	7	1	0	6	5-20	3

მშვიდობით, კამაჩო!

"რეალის" მწვრთნელი თანამდებობიდან გადადგა

კრიზისი, რომელიც მადრიდის "რეალს" წინა სეზონში დაეწყო, ახალ სეზონშიც გაგრძელდა. სამეფო კლუბს ვერც ახალი ფეხბურთელების შეძენამ უშველა და ვერც მწვრთნელის შეცვლამ. ჩემპიონთა ლიგის პირველივე მატჩში "რეალი" 0:3 დამარცხდა ლევერკუზენის "ბაიერთან", გასულ უიქ-ენდზე კი 0:1 წააგო "ესპანიოლთან". ამ ორ მარცხს უკვე მოჰყვა პირველი "მსხვერპლი".

შაბათს, "ესპანიოლის" წინააღმდეგ მატჩის შემდეგ, მადრიდელთა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ პრეზიდენტ პერესს მოახსენა, რომ დაკავებული თანამდებობის დატოვება სურს. "ნუ იჩქარებ, ხოსე, ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღება არ არის სწორი. ხვალ შევხვდეთ, დავილაპარაკოთ და ყველაფერი მოგვარდება", - იყო პრეზიდენტის პასუხი. თუმცა, ის, რომ კამაჩოს გადაწყვეტილების შეცვლა ძალიან ძნელი იქნებოდა, პერესმა თავიდანვე კარგად იცოდა.

ორშაბათ დილით მადრიდის "რეალის" დირექტორთა საბჭომ გამართა რიგგარეშე სხდომა, რომელზეც კამაჩოს საკითხი უნდა გაერკვიათ. დირექტორთა საბჭომ, ეგრეთ წოდებულმა "ხუნტამ", მწვრთნელის განცხადების დაკმაყოფილება გადაწყვიტა - კამაჩო გაათავისუფლეს...

ორშაბათსვე "რეალის" ხელმძღვანელობამ გამართა პრესკონფერენცია. სიტყვით გამოვიდა ფლორენტინო პერესი და განაცხადა: "კლუბის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, ხოსე ანტონიო კამაჩოს განცხადება დააკმაყოფილოს. თუმცა, ის კვლავაც გააგრძელებს ჩვენს კლუბში მუშაობას, სხვა თანამდებობაზე. მწვრთნელის პოსტს ამიერიდან მარიანო გარსია რამონი დაიკავებს".

ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ორ მატჩში მიღწეულმა გამარჯვებებმა ცოტათი დაამშვიდა მადრიდელი გულშემატკივარი. ყველამ გადაწყვიტა, რომ შარშანდელ სეზონში დაწყებული კრიზისი წარსულს ჩაბარდა. მაგრამ ჩემპიონთა ლიგის პირველივე მატჩმა ნათლად აჩვენა, რომ "რეალის" საქმეები არც ისე კარგადაა. სამეფო კლუბმა ლევერკუზენში, 16 წუთის ინტერვალით, სამი უპასუხო გოლი გაუშვა,...

ლევერკუზენში განცდილი ფიასკოს შემდეგ, "ესპანიოლის" წინააღმდეგ ესპანეთის ჩემპიონატის მატჩის წინ, კამაჩომ რადიკალური ცვლილებების განხორციელება გადაწყვიტა. რაულს და ბექჰემს სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი. ზიდანმა და ფიგუმ ლევერკუზენში ტრავმები მიიღეს და "ესპანიოლთან" თამაში ისედაც ვერ შეძლეს. ასეა თუ ისე, კამაჩოს გარდაქმნებმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღეს. ყველაფერს უიღბლობაც დაემატა. "ესპანიოლთან" მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, გახურებისას, ტრავმა მიიღო იკერ კასილიასმა. მადრიდელთა კარის დარაჯმა თითი იტკინა და ის სეზარმა შეცვალა. თავისი, აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი, სეზარს ნამდვილად არ დაუღალატებია. ნახევარსაათიანი ინტერვალით მადრიდელთა სათადარიგო მეკარემ ორი პენალტი აუღო რაულ ტამუდოს. სამწუხაროდ, სეზარის ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ "რეალს" წარმატებისთვის მიეღწია და კამაჩოს თანამდებობა შეენარჩუნებინა. რონალდომ პენალტი ვერ გამოიყენა, ხოლო ვალტერ სამუელი და მიჩელ სალგადო უხეშობისთვის მოედნიდან გააძევეს. შედეგად - 0:1.

კამაჩოს სამწვრთნელო კარიერა "რეალში" ხანმოკლე აღმოჩნდა.

სიმართლე რომ ითქვას, "რეალის" მდგომარეობა არც ისე საგანგაშოა. მართალია, ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში "რეალი" მხოლოდ მე-8 ადგილს იკავებს, მაგრამ ლიდერს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კი წინ კიდევ 5 მატჩია და მერვედფინალის საგზურის მოპოვება სავსებით რეალურია. თუმცა, ყველაზე დიდ უსიამოვნებას მადრიდში "რეალის" თამაშის მანერა იწვევს. გუნდი, რომელიც თავისი ამოუწურავი შემტევი პოტენციალით იყო ცნობილი, გოლების გატანას უდიდეს ძალისხმევას ანდომებს. მიმდინარე ჩემპიონატში "რეალმა" ორი მატჩი მოიგო, ორივე მინიმალური ანგარიშით - 1:0. მადრიდელთა დამარცხება ადრე საყოველთაო გაკვირვების საგანი ხდებოდა, ახლა კი მათ დასცინიან კიდეც. თვით დიეგო მარადონაც კი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ფსიქიატრიულში იწვა და გიჟის ხალათი ეცვა, სამეფო კლუბის თამაშს ასეთ კომენტარს უკეთებს: "ეს ეგრეთ წოდებული "გალაქტიკოსები" მხოლოდ მაწანწალა ძაღლები ხროვაა. მრცხვენოდა, როდესაც ჩემპიონთა ლიგაში "ბაიერის" წინააღმდეგ მათ თამაშს ვუყურებდი. რობერტო კარლოსმა საერთოდ არ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს მოედანზე, ბექჰემი კი მხოლოდ მაყურებლის ყურადღების მიქცევას ცდილობს. თითოეულ მათგანს უნდოდა, მატჩი რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო. არ შეიძლება, ამას ფეხბურთი ვუწოდოთ".

შექმნილ სიტუაციაში არაფერია გასაკვირი იმაში, რომ კამაჩომ თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა. მისი თქმით, მის ყოფილ შეგირდებს გუნდური სულისკვეთება აკლდათ. "გუნდმა ვერ შეძლო ჩემი საფეხბურთო ფილოსოფიის გათავისება. აღარ შემიძლია. მე მარტო ვარ. ვეღარ ვგრძნობ ჩემი გუნდის გვერდში დგომას. დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელება უაზრობად მიმაჩნია", - განაცხადა კამაჩომ.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ კამაჩოს განცხადებას დააკმაყოფილებდნენ, გუნდის მწვრთნელად სასწრაფოდ დაინიშნა კამაჩოს თანაშემწე და "რეალის" მეკარეთა მწვრთნელი მარიანო გარსია რამონი, რომელიც თავის დროზე სამეფო კლუბის მეკარეც იყო. რამონი დროებითი მწვრთნელია, "ოსასუნას" წინააღმდეგ მომავალ მატჩში სწორედ ის უხელმძღვანელებს "რეალს". თუმცა, რამდენ ხანს გააჩერებენ რამონს ამ პოსტზე, ჯერ უცნობია. მადრიდელები უკვე შეუდგნენ ახალი მწვრთნელის ძიებას. სახელდება ორი კანდიდატურა - ინგლისის ნაკრების შვედი თავკაცი სვენ გორან ერიქსონი და არგენტინელი კარლოს ბიანკი, რომელიც "ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა და ახლა უმუშევარია.

ფორმულა 1

ფორმულა 1-ის მითები

დევიდ კულჰარდი მათ აქარწყლებს

ადამიანებს უყვართ ლეგენდებისა და მითების მოგონება. ასეა თითქმის ყველა სფეროში. მითებს ვერც ავტოსპორტი, კერძოდ კი ფორმულა 1 გადაურჩა. სპორტის ამ სახეობის ირგვლივ უამრავ ლეგენდას ჰყვებიან. ამბობენ, რომ ფორმულა 1-ის პილოტებს ერთმანეთი სძულთ, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ნახევრად ყრუვდებიან. ფორმულა 1-ის ვეტერანი, "მაკლარენ-მერსედესის" შოტლანდიელი პილოტი დევიდ კულჰარდი ყველაფერ ამას ადამიანების მდიდარ ფანტაზიას მიაწერს და ამტკიცებს, რომ ამ ლეგენდებს არავითარი კავშირი არა აქვთ რეალობასთან. გთავაზობთ ფორმულა 1-ის ირგვლივ გახმაურებულ მითებს, რომელთაც დევიდ კულჰარდი აქარწყლებს.

კულჰარდს მითების არ სჯერა.

პილოტის ადგილი იყიდება

- თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ რატომ არის, რომ ფორმულა 1-ში ჯერ არც ერთი კუვეიტელი ან არაბი პილოტი არ იღებს მონაწილეობას? ხშირად მსმენია, თითქოს სპონსორები "თავიანთ" ხალხს სვამენ ბოლიდის საჭესთან. ეს ყველაფერი მტკნარი სიცრუეა: მანამ, სანამ სპონსორები თავიანთი მილიონების ხარჯვას შეუდგებოდნენ, ისინი გულდასმით იკვლევენ პილოტის პროფესიულ თვისებებს.

ფორმულა 1-ში საუკეთესო მანქანა იმარჯვებს და არა საუკეთესო პილოტი

- როგორც წესი, იმ გუნდებში, რომელთაც სწრაფი და ძლიერი ავტომობილები ჰყავთ, პილოტებიც უფრო გამოცდილები და ძლიერები არიან. რაც უფრო სწრაფი და ტექნიკურად სრულყოფილია ბოლიდი, მით უფრო რთულია მისი მართვა და მით უფრო დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს. თავად დაფიქრდით, რატომ უნდა ანდონ კარგი მანქანა ცუდ პილოტს?

ფორმულა 1 ისეთივე უსაფრთხო გახდა, როგორიც ბადმინტონია

- ჩემთვის ბადმინტონი უფრო სახიფათოა, ვიდრე რბოლები. სპორტის ამ სახეობაში არაფერი გამეგება და, აქედან გამომდინარე, გამოუცდელობის გამო ტრავმის მიღების დიდი რისკის ქვეშ ვდგავარ. უსაფრთხოება, პირველ ყოვლისა, წესების და ამ წესების დაცვის ამბავია. თუმცა, რა არის ბადმინტონი?

რბოლაში 20 პილოტი მონაწილეობს, გამარჯვებული კი მუდამ მიხაელ შუმახერია

- მიხაელი ძლიერი პილოტია, თანაც, მას შესანიშნავი მანქანა აქვს. იყო დრო, როდესაც რბოლაში 24 პილოტი იღებდა მონაწილეობას და გამარჯვებული აირტონ სენა იყო, ან კიდევ პროსტი. ყველა დროს თავისი ჩემპიონი ჰყავს. მარადიული არაფერია, მათ შორის, არც მიხაელ შუმახერის გამარჯვებები. სწორედ მისი უპირატესობა ავალდებულებს კონკურენტ გუნდებს, უფრო მუყაითად იმუშაონ.

ფორმულა 1-ის პილოტებს ერთმანეთი სძულთ

- წმინდა წყლის გადაჭარბებაა. ფორმულაში ხშირია თბილი და მეგობრული ურთიერთობები, თანაც, არა მხოლოდ თანაგუნდელებს, არამედ კონკურენტი საჯინიბოების პილოტებს შორის. მაგალითად, მე მიყვარს მიხაელ შუმახერთან, მის ძმასთან, რალფთან და კიმი რაიკონენთან ერთად ფეხბურთის თამაში.

კარიერის დასრულების შემდეგ ყველა პილოტი ნახევრად ყრუ რჩება

- რაო, რა თქვით? მდიდრები და ცნობილები? რასაკვირველია!

ფორმულაში იმარჯვებს ის, ვისაც ავარიის არ ეშინია

- ნებისმიერ მძღოლს, ფორმულა 1-ის პილოტი იქნება ეს თუ ძველი "სიტროენის" მძღოლი, ავარიაში მოხვედრის ეშინია. მაგრამ არც ერთი პროფესიონალი მძღოლი ამას ხშირად არ იხსენებს. რა აზრი აქვს საჭესთან დაჯდომას, თუ გამუდმებით ავარიაზე იფიქრებ? იმისთვის, რომ სწრაფად და ამავდროულად უსაფრთხოდ იარო, დიდი ცოდნაა საჭირო.

როდესაც თამბაქოს რეკლამა აიკრძალება, ფორმულა 1 არსებობას შეწყვეტს

- სანამ არსებობენ ადამიანები, რომელთაც მანქანებით რბოლა იზიდავთ და არსებობენ ადამიანები, რომელთაც ამის ყურება მოსწონთ, ფორმულა 1-ს არაფერი ემუქრება.

მონაკოს გრან-პრი ავტოსპორტის სამყაროს ყველაზე რთული ტრასაა

- ო, დიახ! ამაში ნამდვილად გეთანხმებით. მე ვიცი, რატომ ხდება აქ ყველაზე მეტი ავარია. ზოგი ლამაზ გოგონას გააყოლებს თვალს, ზოგი იახტას მიაშტერდება, ზოგიც ლამაზ სახლს შეარჩევს და ამ დროს მოსახვევში შესვლას აგვიანებს.

მძლეოსნობა

ერთი კბილა საუკეთესო გოგო-ბიჭი

ბიგა გურასაშვილი

22 წლის რუსმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ ცხრა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამ მხრივ უხვმოსავლიანი გამოდგა 2004 წელი. ხუმრობა ხომ არ არის, ერთ სეზონზე რვაჯერ გადაევლო მსოფლიო რეკორდს?! ახლანდელი მსოფლიო რეკორდიც (4 მეტრი და 91 სანტიმეტრი) ისინბაევას საკუთრებაა. როგორც თავად აცხადებს, ვარჯიშებზე ხუთმეტრიან ნიშნულსაც ვიღებო!

ერთი სიტყვით, კვირას მონტე კარლოში რუსი ჭოკით მხტომელი წლის საუკეთესო მძლეოსან ქალად დაასახელეს.

ელენა ისინბაევამ წელს რვა მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ელენა ისინბაევამ წლეულს დაამყარა რვა (სამი ჭერქვეშა) მსოფლიო რეკორდი, მაგრამ მძლეოსნობის მამებისთვის მარტო ეს არ ყოფილა იმის მიზეზი, რომ მისთვის საუკეთესო სპორტსმენის წოდება მიენიჭებინათ. მთავარი მიზეზი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მიღწეული წარმატება - ჩემპიონობაა.

“გიჟური წელი მქონდა. ყველა შეჯიბრება მოვიგე და რეკორდებიც მრავლად დავამყარე. ამ სეზონზე გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო”, - მოგვიანებით იტყვის ისინბაევა.

ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე ანუ ფინალური დაპირისპირება, უფრო სწორად, დუელი მასა და მის თანამემამულეს, სვეტლანა ფეოფანოვას შორის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ საინტერესო სანახაობად იქცა. მაგრამ არც ეს იკმარა და სარბენი ბილიკების კომისრებს საკუთარი საწადელი გაანდო - ახლა, როდესაც ჩემპიონობა მოვიპოვე, თამასა მსოფლიო რეკორდის შესაბამის სიმაღლეზე აწიეთო. კომისრებმა აწიეს და ისიც გადაევლო.

სხვათა შორის, ოლიმპიური თამაშები ჯერ რიგიანად არც იყო შეხურებული, რომ რუს ჭოკით მხტომელს ჰკითხეს, ბევრი ფული თუ გაქვსო. მან კი, - მდიდარი არ ვარო. არადა, ყოველი რეკორდი 50 ათას დოლარად ფასობს. ყველაფერთან ერთად, ელენა საკმაოდ პრაგმატულადაც უდგება საქმეს. მსოფლიო რეკორდებს თითო სანტიმეტრით აუმჯობესებს და საბანკო ანგარიშსაც ავსებს. აბა, ის უფრო ჭკვიანური იქნებოდა, რომ ერთიანად გამოიყენო, უფრო სწორად, საკუთარი შესაძლებლობები ერთი ნახტომით, ბოლომდე ამოწურო და, შესაბამისად, 50 ათასი დოლარის ამარა დარჩე?! ეს მაშინ, როდესაც შეგიძლია, რეკოდრებიც და პრემიებიც მრავლად გქონდეს?! სხვათა შორის, ერთხელ ამაზეც ჰკითხეს, ასე განგებ ხომ არ აკეთებო?

ჩემთვის ფული არაა უმთავრესი. მიყვარს მაყურებლისთვის ხტომა, იმათთვის, ვინც მქმაგობს, ფული კი მეორეხარისხოვანიაო. ახლა, როდესაც საგრძნობლად გაიუმჯობესა ფინანსური მდგომარეობა, საყიდლებზე წასვლა განუზრახავს. საყიდლებში კი “მერსედესიც” შედის.

“პირველი, რასაც გავაკეთებ, “მერსედეს SLK”-ს ვიყიდი. ერთხელ 220 კმ/სთ სიჩქარით ვატარე და ძალიან მომეწონა. საერთოდ, სიჩქარე მომწონს. მეორე, რასაც გავაკეთებ, ისაა, რომ ბინას ვიყიდი, მესამე - ჩემს მენეჯერსა და მწვრთნელს გარკვეული პროცენტები უნდა გადავუხადო”.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ გამოავლინეს წლის საუკეთესო მძლეოსანი, გეტყვით, რომ გამოკითხვაში გულშემატკივრები და სპეციალისტები მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, დახმარებისთვის მიმართეს ინტერნეტ-გამოკითხვასაც, რომლის მეშვეობითაც გამოვლენილი 15 კანდიდატიდან სია ხუთამდე შემცირდა. ფინალური ხუთეულიდან საუკეთესოს გამოსავლენად კი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კომისია ჩაერთო საქმეში და აჰა, შედეგიც!

კვირას, წლის საუკეთესო მძლეოსნების დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ, “ბი-ბი-სი” 2004 წლის საუკეთესო სპორტსმენს გაესაუბრა. ამონარიდს ამ ინტერვიუდან ჩვენც ვაქვეყნებთ.

- როგორ გრძნობთ თავს წლის საუკეთესო მძლეოსნის რანგში?

- იყო წლის საუკეთესო მძლეოსანი, არჩვეულებრივი შეგრძნებაა. თუ არ ვცდები, ჩემამდე არც ერთი რუსი სპორტსმენისთვის არ მიუნიჭებიათ ეს წოდება. შესაძლოა, ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ასეა. ჩემთვის დიდი პატივია, რომ იმან, რაც წლეულს გავაკეთე და რასაც მწვრთნელთან ერთად მივაღწიე, უკვალოდ არ ჩაიარა.

- ბოლო შეჯიბრებაზე ბრწყინვალედ იასპარეზეთ, მაგრამ ცოტა გადაღლილი ჩანდით...

- ცოტა კი არა, ძალიან. პირველი ხტომებისას, შეხურებისასაც კი, ალბათ, ყველა შეამჩნევდა, რომ უემოციო ვიყავი (ისინბაევას მხედველობაში აქვს კვირას დასრულებული მონაკოს IAAF-ის “დიდი პრიზი”, რომელიც ასევე მოიგო, თუმცა, საკუთარ რეკორდს საგრძნობლად აცდა - 4,83.-**რედ.**) თითქოს უმოტივაციოდ დავრჩი. საერთოდ, აღარაფერს ვგრძნობ.

და მაინც, ამ ბრძოლამ, რომელიც ტატიანა პოლნოვამ მომახვია თავს (გულისხმობს კვირას დასრულებულ იმავე “დიდი პრიზს”, სადაც ისინბაევას თანამემამულემ, პოლნოვამ, მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილი ფეოფანოვას დარჩა - 4,60.-**რედ.**) და რომელმაც პირადი შედეგი გაუმჯობესა - 4,78, გარკვეულწილად, მიბიძგა. ზედმეტად თავმოყვარე ვარ იმისთვის, რომ წავაგო. მადლობა ღმერთს, მოვიგე. თუმცა, გამიჭირდა.

რაც შეეხება ვაჟთა შორის საუკეთესო მძლეოსანს, იგი 10 ათას მეტრზე რბენაში ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 5 ათას მეტრზე ვერცხლის პრიზიორი, 22 წლის ეთიპიელი კენენისა ბეკელეა, რომელსაც ასევე მსოფლიო რეკორდები ეკუთვნის შესაბამის დისციპლინებში.

“ძალიან ახალგაზრდა ვარ. ამ ასაკში წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. იმედი მაქვს, მომავალშიც შევძლებ იგივეს გაკეთებას”.

ბოულინგი

დემოკრატიული თამაშის არადემოკრატიული წესები

ადრინდელ წერილებში უკვე გიამბეთ, რომ ბოულინგის დემოკრატიულობა, უპირველესად, თამაშის სიმარტივეში ვლინდება. ნებისმიერ მსურველს ყოველგვარი წინასწარი ფიზიკური მომზადების გარეშე შეუძლია აითვისოს ბურთის გაგორების ნიუანსები და თანდათანობით დახვეწოს თამაშის ტექნიკა. მაგრამ არსებობს ერთგვარი ელემენტარული მოთხოვნები, რომელთა დაცვა აუცილებელია გასართობადაც და რეიტინგული მაჩვენებლის გასაუმჯობესებლადაც.

მოთამაშეთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს წესები მათ არ ეხება და ცდილობენ, თავისებურად ითამაშონ. არადა, ნებისმიერ ბოულინგცენტრში შემუშავებულია გარკვეული შინაგანაწესი და ყოველი სტუმარი ვალდებულია, გარკვეულწილად მისდიოს მას და არ გადაუხვიოს დადგენილ ნორმებს.

ბოულინგ-ცენტრში წესებსაც აგიხსნიან და თამაშსაც გასწავლიან.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

და მაინც, რა წესი უნდა დაიცვან გართობის მსურველებმა?

ამ შეკითხვით დავიწყეთ საუბარი ბოულინგცენტრის ინსტრუქტორ სოსო სანიკიძესთან. სხვათა შორის, სოსო ამ ზაფხულს ბულგარეთში ისვენებდა და იქაურ ბოულინგცენტრში მიღებული შთაბეჭდილებებიც სიამოვნებით გაგვიზიარა.

როგორც აღმოჩნდა, 8 კმ-იან საკურორტო ზონაში ბოულინგი დიდი პოპულარობით სარგებლობს. თავად სოსო 6-ბილიკიან ბოულინგცენტრში ერთობოდა, რომელიც სულ გადატვირთული იყო უცხოელი ტურისტებით. თურმე თამაში მხოლოდ ბოულინგისთვის განკუთვნილი სპეციალური ფეხსაცმლით არის ნებადართული და არავითარ შემთხვევაში არ გიშვებენ ბოტასებით ან კედებით. ამ წესის დაცვას კატეგორიულად მოითხოვენ. კლუბში ყველა შესაძლო ადგილას გაკეთებულია სპეციალური მინიშნებები. ასე, მაგალითად, გთხოვენ, რომ თამაშის შემდეგ ბოულინგის ფეხსაცმელი აუცილებლად ჩააბაროთ ოპერატორს, ხოლო ერთჯერადი წინდები ჩაყაროთ მისთვის გამოყოფილ სპეციალურ ურნაში და ა.შ. ორ მიმდებარე ბილიკზე განლაგებულია, დიდი-დიდი, 10 ბურთი და, როგორც სოსომ გვითხრა, სხვა ბილიკებზე დაწყობილ ბურთებს არც ერთი მოთამაშე არ იღებს დაუკითხავად.

შესვლისთანავე ოპერატორი გეკითხებათ, ხომ არ გსურთ ინსტრუქტორის დახმარება თამაშის გასაადვილებლად. ბილიკების წინ არსებულ სარბენ ბილიკზე დაუშვებელია სასმელით ან საჭმლით ყოფნა. მოკლედ, სათამაშო ზონაში სისუფთავის დაცვა აუცილებელი პირობაა. ეს ისევ და ისევ მოთამაშეებისთვის არის სასარგებლო, რადგან მათ არ შეექმნათ რაიმე დაბრკოლება ბურთის სროლის მომენტში.

რაც შეეხება საფასურს, მათი ტარიფებიც დაახლოებით ისეთივეა, როგორც ჩვენთან. ერთი გეიმი სამი დოლარი ღირს, ხოლო საათობრივად ბილიკის დაქირავება 15-18 დოლარის ფარგლებშია. რა თქმა უნდა, საღამოს საათებში დატვირთულობის ხარისხი მატულობს და, შესაბამისად, თამაშის ფასიც 20 დოლარამდე იზრდება.

ერთი-ორი კითხვა ბურთებზეც დავუსვი. ჩვენსავით, იქაც უფრო დიდი მოთხოვნილებაა 9, 10, 11, 12 და 16-ნომრიან ბურთებზე. ამიტომაც ბილიკებთან სწორედ ასეთი წონის ბურთებია ჩამწკრივებული. დანარჩენი ბურთები ოპერატორთან ინახება და სურვილის გათვალისწინებით ინსტრუქტორი სთავაზობს მოთამაშეებს.

თამაშისთვის განკუთვნილი აქსესუარების შეძენა საოპერატორო დახლთან არსებულ პროშოფში შეიძლება. მაგრამ იმის გამო, რომ დასასვენებლად მყოფი ტურისტები უფრო გასართობად თამაშობენ, ვიდრე სპორტული აზარტით, ამ მხრივ დიდი მოთხოვნა არც არის.

ფეხბურთი

ფერდინანდის დაბრუნება

ნინო ტიკარაძე

"მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ლივერპულს" შორის თამაში ყოველთვის განსაკუთრებული შემთხვევა იყო, მაგრამ სამი ფეხბურთელის - რიო ფერდინანდის, უეინ რუნისა და რაიან გიგზის საფეხბურთო კარიერისთვის "ოლდ ტრაფორდზე" "ლივერპულთან" შეხვედრა მნიშვნელოვანი მომენტია. რვათვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ რიო ფერდინანდი (ის დოპინგ-კონტროლზე გამოუცხადებლობის გამო დასაჯეს) "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში დაბრუნდა.

"მანჩესტერ იუნაიტედის" არსებობის ისტორიაში 600-მატჩიანი ბარიერი სულ ორმა ფეხბურთელმა - სერ ბობი ჩარლტონმა (759 მატჩი) და ბილ ფულკსმა (688 მატჩი) გადალახა. რაიან გიგზი მესამე ფეხბურთელია, რომელმაც მე-600 მატჩი ჩაატარა. საიუბილეო შეხვედრა "ლივერპულის" წინააღმდეგ გაიმართა. ახალგაზრდა უეინ რუნისთვის კი "ლივერპულთან" მატჩი პირველია "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში.

"მანჩესტერ იუნაიტედისთვის" სეზონი წარუმატებლად დაიწყო. ხუთ მატჩში გუნდმა მხოლოდ ექვსი ქულის მოგროვება შეძლო. სერ ალექს ფერგიუსონი დარწმუნებული იყო, რომ ფერდინანდი იმედებს გაუმართლებდა და გუნდს გამოადგებოდა. ბუნებრივია, გუშინდელი მატჩის დროს მთელი ყურადღება რიო ფერდინანდისკენ იყო მიპყრობილი, რადგან მას იანვრის შემდეგ არ უთამაშია. ფერგიუსონის აზრით, რიო ფერდინანდი უძლიერესი მცველია მსოფლიოში. სწორედ ამიტომ ამყარებდა მასზე იმედებს "მანჩესტერის" მწვრთნელი.

მატჩის წინ გაზეთ "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფერდინანდმა განაცხადა: "თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მოუთმენლად ველოდი ამ დღეს. გულწრფელად მინდოდა, რომ "ლივერპულის" წინააღმდეგ უმაღლესი კლასის ფეხბურთი მეთამაშა. გული მწყდება, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ჩამოშორებული ვიყავი ფეხბურთს".

რაც შეეხება "ლივერპულის" ესპანელ მწვრთნელს, რაფაელ ბენიტესს, "მანჩესტერ იუნაიტედს" ის უძლიერეს მეტოქედ აღიარებს. ამ გუნდებს შორის მატჩი ყოველთვის განსაკუთრებული და დაძაბულია, ამიტომ ბენიტესისთვის მთავარი იყო, გაეძლო "ოლდ ტრაფორდის" ზეწოლისთვის. "მწვრთნელისთვის უმთავრესია სიმშვიდის შენარჩუნება, ემოციების მოთოკვა და არა გულით, არამედ გონებით მოქმედება," - განაცხადა რაფაელ ბენიტესმა.

მოკლედ

სტუმრად ლას-ვეგასში

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კრივში მაიკ ტაისონი, რომელმაც თვენახევრის წინათ დენი უილიამსთან ჩხუბში მუხლი დაიშავა, რინგზე ამა წლის დეკემბერში გამოვა. შაბათს "რკინის მაიკი" ლას-ვეგასში ჯონი ტოკოს სპორტულ დარბაზში გამოჩნდა. ტაისონი დარბაზს თავისი ახლობლების მოსანახულებლად ეწვია (ამჟამად ტაისონი არიზონას შტატში ცხოვრობს და ლას-ვეგასში სპეციალურად ოსკარ დე ლა ჰოიასა და ბერნარდ ჰოპკინსის ბრძოლის სანახავად ჩავიდა). მან სურათი გადაიღო ახალგაზრდა მოკრივეებთან, ავტოგრაფებიც დაარიგა და განაცხადა, რომ მას ფეხი თითქმის აღარ აწუხებს და დაახლოებით ორ კვირაში განაახლებს ვარჯიშს. ტაისონის თქმით, ის რინგზე დეკემბერში გამოვა, თუმცა, არ იცის, ვის შეხვდება და სად.

უკაცრიელ კუნძულზე

ბევრი ადამიანი ოცნებობს, ტელეეკრანზე გამოჩნდეს. ეს ნატვრა განსაკუთრებით მძაფრდება მაშინ, როცა სასიამოვნო გარეგნობის პატრონი ხარ.

იტალიის "სამდორიას" ფეხბურთელის, ფაბიო ბაცანის საცოლე - ალესია მერეი რეალიტი შოუში მონაწილეობს. 11 თანამემამულესთან ერთად იგი გაემგზავრა უკაცრიელ კუნძულზე, სადაც გაიმართება გადაღებები. გადაცემის სახელწოდების სიტყვასიტყვითი თარგმანი ასე ჟღერს: "სახელოვანი ადამიანების კუნძული". ეს ჩანაფიქრი წააგავს რუსულ გადაცემას "უკანასკნელი გმირი", სადაც მონაწილეთა მთავარი ამოცანა გადარჩენაა.

მერეისა და ბაცანის რომანი 2004 წლის ზაფხულში დაიწყო. განუყრელი წყვილი ხშირად სახალხოდ ახდენდა სიყვარულის დემონსტრაციას. ახლახან წყვილი დაქორწინდა და ამ მოვლენის საზეიმოდ აღნიშვნას აპირებს.

კუნძულზე ალესიამ სამი ნივთი წაიღო, მათ შორის, საქორწინო ბეჭედიც. ვერ გეტყვით, უშველის თუ არა ბეჭედი მის მფლობელს გადაღებების დროს, მაგრამ თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ნამდვილად გამოადგება.

ითამაშეთ ბეისბოლი

რამდენიმე წლის წინათ ალექს როდრიგესი დომინიკანელთა რესპუბლიკიდან აშშ-ში ჯიბეგაფხეკილი ჩავიდა. როდრიგესს ბეისბოლის თამაშზე აბოდებდა. მან იმდენს მიაღწია, რომ სინჯებზე "სიეტლ მარინერსში" მოხვდა. ის ძირითად შემადგენლობაში აიყვანეს და არც უნანიათ.

ნიჭიერ მოთამაშეს "ტეხას რეინჯერსის" კლუბის ხელმძღვანელობამ დაადგა თვალი. როდრიგესთან კონტრაქტი სარეკორდო აღმოჩნდა ერთდროულად სპორტის ყველა სახეობისთვის. შეთანხმება 10-წლიანია და ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდა სპორტსმენი 252 მილიონ დოლარს მიიღებს. აქამდე მსოფლიოში არც ერთ მოთამაშეს ამდენი ფული არ მიუღია. "ალექსი იმდენად ნიჭიერია, რომ ჩვენ ყველა ცენტში დარწმუნებული ვართ, რომელსაც მას მივცემთ", - განაცხადა "ტეხასელი რეინჯერების" კლუბის მფლობელმა.

უფრო გვიან როდრიგესი ამერიკული ლიგის უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს. ახლა კი ის თავის მეუღლე სინთიასთან ერთად პოპულარული ჟურნალის Sports Illustrated გარეკანზეა გამოჭიმული.

მოამზადა
ნინო ტიკარაძემ

TV-სპორტი

ორშაბათი. 21 სექტემბერი

НТВ+ФУТБОЛ
06:00 NBA TV - სთრითბოლი
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2002. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "LOS ANGELES LAKERS" - "SACRAMENTO KINGS". მე-4 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკენდი
13:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ - “მონაკო”
14:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:50 ინგლისის ჩემპიონატი. “მანჩესტერ იუნაიტედი” - “ლივერპული”
18:30 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:45 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 “ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი”
23:25 ფიფას ასწლეული. პირველი ნაწილი
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. “რეალი” - “ოსასუნა”. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა
01:55 01:55-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1973. "BALTIMORE BULLETS" - "NEW YORK KNICKS"

НТВ+СПОРТ
10:00, 13:00, 16:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 “ოლიმპის შვილები”
10:25, 13:15 “ფორმულის ჰარმონია”
10:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "CINCINNATI BENGALS" - "MIAMI DOLPHINS"
13:40 “ორშაბათამდე მივატანთ”
14:10 “რკინის ფაქტორი”. ტელეჟურნალი
14:40 “ჰოკეი-პლუს”
15:00 მძლეოსნობა. “IAAF Gala” მონაკოში
16:15 ჰოკეი. მსოფლიო თასი. საუკეთესო მატჩები. შვედეთი - ფინეთი
18:15 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი არტისტულ ბილიარდში სანკტ პეტერბურგში. ნაწილი პირველი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 “ვარსკვლავური სამშაბათი”
21:00 “სპორტული გლობუსი”. “Trans World Sport” წარმოგიდგენთ
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 “ჰოკეი-პლუს”
22:10 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "CINCINNATI BENGALS" - "MIAMI DOLPHINS"
00:25 ახალი ამბები
00:40 “ჰოკეი-პლუს”

EUROSPORT
10:30 ოლიმპიური თამაშები. კულტურული პროგრამა
10:45 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
11:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 მულტისპორტი
13:30 პარაოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური თამაშები ათენში
14:00 მძლეოსნობა. IAAF Gala მონაკოში
16:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური
17:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 მულტისპორტი
20:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
22:00 კრივი. საერთაშორისო ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 მულტისპორტი
01:30 ახალი ამბები
01:45 ნასკარის ავტორბოლები
02:45 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:15 ახალი ამბები

პრობლემა და ყინწვისის მაგალითი

ლერი მეძმარიაშვილი
არქიტექტორი, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე

ხდება ხოლმე, რომ კონკრეტული ამოცანის გადაჭრის დროს ამოტივტივდება პრობლემა, რომელიც თითქოს მანამდე არ არსებობდა.

ასე მოხდა გასული საუკუნის მიწურულს ყინწვისის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოთა ჩატარებასთან დაკავშირებით, როდესაც სრულიად მოულოდნელად წამოიჭრა ქართველ სპეციალისტთა კვალიფიკაციის საკითხი და შეიქმნა მათი დისკრიმინაციის მცდელობის პრეცედენტი.

განგაში ყინწვისის კედლის მხატვრობის სავალალო მდგომარეობის გამო ქართველმა სპეციალისტებმა ჯერ კიდევ გასულ 80-იან წლებში ატეხეს, როდესაც მოხატული კედლების ქვედა რეგისტრებს ფერის აშკარა შეცვლა დაეტყო. მაშინვე გამოითქვა ვარაუდი, რომ მხატვრობა რაღაც მიკროორგანიზმების მოქმედების გამო ზიანდებოდა და საჭირო იყო გადაუდებელი ზომების მიღება ძეგლის გადასარჩენად. ამასთან, თვით ტაძრის შენობაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ქ-ნი ეკა პრივალოვა, ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნე, ის ადამიანი იყო, რომელიც ამ საქმეში ჩართულ ქართველ სპეციალისტთაგან ყველაზე ენერგიულად შეუდგა ძეგლის გადარჩენისათვის გზების ძიებას. სამწუხაროდ, მისი და მისი თანამოაზრეთა მცდელობა 90-იანი წლების დასაწყისს დაემთხვა, როდესაც ყოველმხრივ გაპარტახებული სახელმწიფო უძლური იყო პრაქტიკული მხარდაჭერა აღმოეჩინა მათთვის.

მხოლოდ 1996 წელს, სოროსის ფონდის დახმარებით, გახდა შესაძლებელი საქართველოში პეტერბურგის ერმიტაჟის მეცნიერ-თანამშრომელთა, მ. დნეპროვსკაიასა და ე. ლებედევას ჩამოყვანა. გამოკვლევების შედეგად მათ შეადგინეს დასკვნა, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა მხატვრობის დაავადების მკურნალობას. ძალზე მცირე დაფინანსებით ამ მეცნიერებმა გაცილებით მეტი გააკეთეს, ვიდრე ევალებოდათ (განსაკუთრებით უშურველი იყო მ. დნეპროვსკაიას დახმარება, რომელმაც საქართველოსადმი თავისი დამოკიდებულება შემდგომში უფრო გამოკვეთილად გამოხატა - იგი მონაზვნად აღიკვეცა შუამთის დედათა მონასტერში, სადაც დღესაც მოღვაწეობს).

1996-97 წლებში სოროსის ფონდისა და რაიონის ხელისუფლების დახმარებით ქართველ სპეციალისტთა ძალებით მოხერხდა არქიტექტურული, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, ბიოლოგიური კვლევებისა და გადაუდებელი მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარება ძეგლზე. სამწუხაროდ, სახსრების უკმარისობის გამო, სამუშაოები ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, აუცილებელი იყო როგორც ძეგლისათვის, ასევე იმისათვის, რომ საქმეში მსოფლიო ბანკი ჩართულიყო, რომელიც თავისი დახმარებისათვის აუცილებელ პირობად ადგილობრივი ინიციატივის წარმოჩენას ითხოვდა.

ქ-ნ ეკა პრივალოვას აქტიურობამ უდავოდ დიდი როლი შეასრულა იმ გარემოებაში, რომ მსოფლიო ბანკმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა ამ ქვეყნისათვის დახმარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სცნო და ხუთმილიონიანი კრედიტი გამოყო ამ მიზნით. კრედიტის სამართავად შეიქმნა კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის ფონდი (დირექტორი ბ-ნი დ. ნინიძე), რომელმაც თავის პროგრამაში ყინწვისის გადარჩენის სამუშაოებიც შეიტანა, რის შემდეგაც "ღია საზოგადოება - საქართველოს" (აღმასრულებელი დირექტორი ბ-ნი მ. ჩაჩხუნაშვილი) მონაწილეობით ყინწვისის პროექტის განხორციელებამ სისტემური ხასიათი მიიღო.

მსოფლიო ბანკის კრედიტს იტალიის მთავრობაც გამოეხმაურა. მან საკვლევი სამუშაოების ჩასატარებლად გამოყო გრანტი და მოავლინა სპეციალისტები-რესტავრატორები ქ-ნი ს. ვედოველო და ბ-ნები - მ. გიტინსი და ი. მასარი (კლიმატოლოგი).

1997 წლის მაისში თბილისში ჩამოვიდა იტალიელთა ჯგუფი, რომელსაც ქ-ნი პ. პოჯი კურატორობდა.

იტალიელთა ჩამოსვლას, რა თქმა უნდა, დიდი ენთუზიაზმით ველოდით, ვინაიდან ამ ქვეყნის ადგილი ზოგადად მსოფლიო კულტურაში და კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმეში საყოველთაოდ ცნობილია. ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერი - მსოფლიო ბანკის კრედიტი, არასამთავრობო ფონდები, უცხოელი სპეციალისტები და მათთან ურთიერთობა - ჩვენთვის ახალი ხილი იყო, პირველი კონტაქტები საკმაოდ რთულ ფონზე წარიმართა. ნათელი გახდა ის გარემოება, რომ ჩამოსულ სპეციალისტებს უაღრესად მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ ქართველი რესტავრატორების კვალიფიკაციის შესახებ - ისინი საწყის ეტაპზე მოიაზრებოდნენ როგორც დამხმარე, არაკვალიფიცირებული რგოლი. ბუნებრივია, ამას ჩვენი რესტავრატორების გულისწყრომა და პროტესტი მოჰყვა. დიდი ძალისხმევა დასჭირდა ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს და მის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს (ძეგლზე საკონსერვაციო სამუშაოთა ჩატარების მთელი პროცესი განიხილებოდა და მტკიცდებოდა ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში, მისი სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მეთვალყურეობით), რათა ყველაფრისათვის თავისი ადგილი მიეჩინა, გართულებული ურთერთობები მოეწესრიგებინა და ერთობლივი მუშაობისათვის ნორმალური პირობები შეექმნა.



იყო მომენტი, როდესაც იტალიელთა კურატორი ქ-ნი პოჯი დაგვემუქრა სამუშაოთა შეწყვეტით და გრანტის ანულირებით, რაც, რა თქმა უნდა, მის კომპეტენციას აღემატებოდა. ამ ახალგაზრდა ქალბატონმა საკმაოდ კონფლიქტური ხასიათი და ქედმაღლობა გამოავლინა, რამაც გვაიძულა, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, იგი ფაქტობრივად პერსონა ნონ გრატად გამოგვეცხადებინა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ თავისი მოსაზრება წერილობით მიაწოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდს და მოითხოვა ქ-ნი პოჯის გაწვევის საკითხის დასმა.

ამის შემდეგ ქ-ნი პოჯი ჩვენს თვალსაწიერზე აღარ გამოჩენილა. შვებით ამოვისუნთქეთ ჩვენც და - ეს თვალნათლივ ჩანდა - იტალიელმა სპეციალისტებმაც.

ყინწვისის გადარჩენის საქმიანობა წარმატებით წარიმართა.

იტალიიდან ჩამოსულმა სპეციალისტმა ი. მასარიმ დაადგინა მხატვრობის დაავადების სოკოს სახეობა, შეარჩია სამკურნალო პრეპარატი და მას შემდეგ, რაც ერთობლივად შემუშავდა პრეპარატის გამოყენების მეთოდი, "ძველი ქართული მხატვრობის კვლევის, ფიქსაციისა და რესტავრაციის ცენტრის" (დირექტორი ბ-ნი მ. ბუჩუკური) რესტავრატორთა ჯგუფმა, უმაღლესი კატეგორიის რესტავრატორის ვ. გურგენაძის ხელმძღვანელობით თავიდან ბოლომდე წარმატებით ჩაატარა ურთულესი საკონსერვაციო სამუშაოები. ამ ეტაპზე იტალიელი სპეციალისტები მხოლოდ მოკლე მივლინებებით ჩამოდიოდნენ საქართველოში და ეპიზოდურ მონაწილეობას იღებდნენ საკონსერვაციო პროცესში.

თითქმის ორი წელიწადი გაგრძელდა ძეგლზე მუშაობა. ამ დროის განმავლობაში იტალიელ და ქართველ სპეციალისტთა პროფესიულმა და ადამიანურმა კონტაქტებმა რადიკალურად შეცვალა უცხოელთა წარმოდგენა ჩვენი რესტავრატორების პროფესიულ შესაძლებლობებზე. ქ-ნმა ს. ვედოველომ აღნიშნა რა ქართველ სპეციალისტთა მაღალი კვალიფიკაცია, მოიბოდიშა კიდეც, რომ თავიდან მას და მის კოლეგებს არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ ამის შესახებ.

აქ ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ არანაირი წარმოდგენა საქართველოში ძეგლთა მოვლა-პატრონობის თაობაზე მათ არ შეიძლება ჩამოჰყოლოდათ იტალიიდან - არც კარგი და არც ცუდი - ვინაიდან ამ მხრივ იტალიაში საქართველოს არავინ იცნობდა, ყოველ შემთხვევაში იმ დროს. სამწუხაროდ, საფიქრებელია, რომ ასეთი წარმოდგენა მათ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შეექმნათ ზოგიერთი ქართველი კოლეგის მიერ მიწოდებული ტენდენციური ინფორმაციის შედეგად. ასეთი ინფორმაციისათვის სხვადასხვა მიზეზი შეიძლება არსებულიყო, რომელთა შორის "შინაური მღვდლის" სინდრომი ყველაზე უწყინარი უნდა ყოფილიყო.

არ მეგონა, თუ მომიხდებოდა ამ წარსული ისტორიის გახსენება, მაგრამ ა.წ. 30 ივლისის გაზეთ "24 საათი"-ს პუბლიკაციამ "ფონდები და ძეგლები" მიბიძგა ამისაკენ.

სტატიამ უკმარისობის გრძნობა დამიტოვა. მართალია, იგი საკმაოდ დეტალურად მოგვითხრობს ძეგლთა მოვლა-პატრონობისთვის საჭირო სახსრების მოპოვების ახალი, უაღრესად საჭირო, მექანიზმების დამკვიდრების შესახებ ჩვენში, გაგვაცნობს არსებულ მიღწევებს და გვახსენებს იმ პირველ ნაბიჯებს, რომელთაც დგამდა იმ დროისათვის ახალი, ჩვენთვის უჩვეულო არასამთავრობო ორგანიზაციები - სხვადასხვა ფონდები, ინვესტიციების მოსაპოვებლად, მაგრამ იმ აბზაცებში, სადაც კონკრეტულად ყინწვისის კედლის მხატვრობის კონსერვაციაზე არის საუბარი, არსად, თუნდაც გაკვრით, არ არის ნახსენები, რომ ამ საქმეში ქართველ რესტავრატორთა დიდი შრომა და გამოცდილება იქნა ჩადებული: "კვლევითი სამუშაოები კი იტალიელებმა განახორციელეს", როგორ უნდა შედგეს სარესტავრაციო პროექტი - იტალიელებმა გვასწავლეს, ხოლო ტიმოთეს უბნის ეკლესიაზე, "... როცა რესტავრაციამდე მივიდა საქმე, იტალიელი კონსულტანტების ჩართვა გახდა საჭირო. და ბოლოს, ხაზგასმით - "მასალები იტალიიდან ჩამოდის". გამოდის, რომ ქართველი რესტავრატორები არც ადრე (ყინწვისზე), არც ახლა (ტიმოთეს უბანზე) არაფერ შუაში არ არიან, არაფერში მონაწილეობენ, ხოლო სამქეში ჩაუხედავი კაცისათვის - არც არსებობენ.

ამიტომაც გავიხსენე ზემოთ ის პერიპეტიები, რომელიც გამოიარეს ჩვენმა რესტავრატორებმა საკუთარი უფლებებისა და პროფესიული ღირსების დასაცავად. როგორც ჩანს, მათი იგნორირების ტენდენცია ჯერაც განაგრძობს არსებობას. ეს იმაშიც უნდა დავინახოთ, რომ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის რეორგანიზაციის ფონზე ქართველ პრაქტიკოს-რესტავრატორთა პროფესიული პოტენციალის ჯეროვნად გამოყენების საკითხი ჯერჯერობით არ ჩანს მოგვარებულად.

ვფიქრობ, ქართველ რესტავრატორთა ნაღვაწის ამდაგვარი მივიწყება თუ იგნორირება უსამართლობაა და კულტურის ძეგლთა დაცვის დიდ საქმეს ვერ წაადგება. ვერანაირი ფონდები და ეპიზოდურად მოვლინებული უცხოელი სპეციალისტები ვერ დაიცავენ ჩვენს ძეგლებს, თუ სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების ის "საშუალო რგოლი" არ გვეყოლა, რომელმაც ხორცი უნდა შეასხას ნებისმიერ პროექტს.

"საშუალო რგოლი" - ეს ტერმინი კულტურის მინისტრის მოადგილეს ბ-ნ ნ. ვაჩეიშვილს დავესესხე, რომელიც ერთ-ერთ ინტერვიუში ("კულტურული მემკვიდრეობის სფეროს პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს", "რეზონანსი", 2004 წლის 24 ივლისი), სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის, რესტავრატორთა კადრების საჭირბოროტო პრობლემებზეც საუბრობს. ინტერვიუში ნათქვამია: "... დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს ფული და არსებობს მძიმე მდგომარეობა, მაგრამ შუალედური რგოლი, ვინც ამ პრობლემას გადაჭრის (ბატონი ნიკა სამართლიანად ხაზს უსვამს პრაქტიკოს-რესტავრატორთა გადამჭრელ მნიშვნელობას იმ რთულ საქმიანობაში, რასაც ძეგლთა მოვლა-პატრონობა ჰქვია) - არ არის".

თავს უფლებას მივცემ არ დავეთანხმო ბატონ ნიკას დასკვნას და ვიტყვი: თუ არსებობს ფული, არსებობს ის საშუალო რგოლიც, რომელიც პრობლემას გადაჭრის! არსებობს ის ხალხი, ვინც გ. ჩუბინიშვილის, ლ. რჩეულიშვილის, ლ. ხიმშიაშვილის, ვ. ცინცაძის, რ. გვერდწითელის, შ. აბრამიშვილის, კ. ბაკურაძის, ა. ოვჩინიკოვას იდეებსა და პრაქტიკულ შემოქმედებით საქმიანობაზე აღიზარდნენ, მათი სკოლა გაიარეს. დღეს მოქმედი არქიტექტორ-რესტავრატორები - თ. ნემსაძე, თ. ბოჭოიძე, ი. ბანძელაძე, ი. გრემელაშვილი, ნ. ზაზუნიშვილი; მხატვარ-რესტავრატორები: გ. ჭეიშვილი, მ. ბუჩუკური, ვ. გურგენაძე, დ. გაგოშიძე (ყველას ჩამოთვლა გამიჭირდება) და სხვანი, ის სპეციალისტებია, რომლებმაც არაერთი ძეგლი დაუბრუნეს ქვეყანას.

აქ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ 1999-2001 წლებში, აწ უკვე ფაქტობრივად დაშლილი "ძველი ქართული მხატვრობის კვლევის, ფიქსაციისა და რესტავრაციის" ცენტრის (დირექტორი მ. ბუჩუკური) მხატვარ-რესტავრატორებმა, მათ მიერვე მოპოვებული სოლიდური ჰოლანდიური გრანტით (დაახლოებით 300 ათასი ამერიკული დოლარი), ფაქტობრივად, მთელი ზემო სვანეთის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები წარმატებით ჩაატარეს და მრავალი სვანური ხატი გააცოცხლეს. ისინი, იგივე ჰოლანდიელების დაფინანსებით, დღესაც მუშაობენ სვანეთში ახლახანს მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ძეგლების გადასარჩენად არქიტექტორ-რესტავრატორებთან ერთად, უცხოელი სპეციალისტების ჩარევის გარეშე და შთამბეჭდავ შედეგებსაც აღწევენ.

უკანასკნელ წლებში აქტიური საქმიანობის მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, ქართველი რესტავრატორები დღესაც "ფორმაში" არიან, დღესაც განაგრძობენ მუშაობას უყურადღებობისა და შემთხვევითი დაფინანსების პირობებში, თუმცა დაიშალა და დაიქსაქსა მათი ორგანიზაციები. ბევრმა თავშესაფარი და საქმე საპატრიარქოს მეშვეობით იშოვა, ზოგიც შემთხვევითი დაკვეთებით ირჩენს თავს. მათ ყურადღება და გაერთიანება სჭირდება თუნდაც იმიტომ, რომ მათი პროფესიული საქმიანობა ერთიანი სარესტავრაციო იდეოლოგიის ჩარჩოებში წარიმართოს. არ ივარგებს პრაქტიკოს-რესტავრატორთა მიტოვება, მათი პროფესიული საქმიანობის მინდობა სარესტავრაციო მეთოდოლოგიაზე სხვადასხვა შეხედულებათა და ამ სფეროში სხვადასხვა ინტერესების მქონე დამკვეთთა ნებაზე.

ბოლოს და ბოლოს, ის ახალბედა რესტავრატორები, რომლებიც სამხატვრო აკადემიის ახლადჩამოყალიბებულ ერთიან სარესტავრაციო ფაკულტეტს დაამთავრებენ და რომლებმაც ამის შემდეგ კიდევ სულ ცოტა, 7-8 წელიწადი მაინც უნდა იმუშაონ პრაქტიკულად, რათა სრულყოფილ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ ხომ "ბებრების" აღსაზრდელები არიან უშუალოდ ხარაჩოებზე. სხვა ვინ იტვირთავს ამ მისიას. ძვირადღირებული უცხოელი სპეციალისტები, რომელთა მოწვევა რიგ შემთხვევაში უდავოდ საჭიროა დასახმარებლად, გამოცდილების გასაზიარებლად, თვალსაწიერის გასაფართოებლად, ვერ შეძლებენ ამ მისიის შესრულებას.

თუ სათანადო დაფინანსება მართლაც არსებობს და მართლაც გვესაჭიროება პრაქტიკოსი, საქმის გამკეთებელი სპეციალისტები, მათი ძებნა შორს არ არის საჭირო - "შინაური მღვდლები" აქ, შინ არიან საკმაოდ მრავლად. საკმარისია, დავასაქმოთ ისინი, დავაფასოთ მათი ღვაწლი და, რაც მთავარია, ვენდოთ მათ.

მოგონება

მიტია თავაძის ამბავი

ნოდარ მალაზონია

1946 წელს ჩავაბარე თუ არა მისაღები გამოცდები თბილისის სამხატვრო ტექნიკუმში, მამისაგან წერილი მივიღე.

მიტია (ასე ეძახდნენ მას კოლეგები და შინაურები) ომიდან დაბრუნებულა, მიდი, ნახე და მომიკითხეო. (დიმიტრი თავაძე. რუსთაველის თეატრის მთავარი მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, სტალინური პრემიის ლაურეატი. ქართული დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე).

მიტია ფრონტზე წასვლის წინ ასე გამოგვემშვიდობა:

(მამამ საგანგებოდ სთხოვა ოზურგეთის წითელი არმიის გარნიზონის შტაბის უფროსს, გენერალ მიქელაძეს, რათა მიტია ყაზარმიდან ჩვენთან სახლში გადმოეყვანა საცხოვრებლად).

- აბა, შემხედეთ, დღეს საველე ფარაჯა ჩამაცვეს. სახელოებზედ ბრჭყვიალა, წითელი კუბიკები კი ამ მწვანე შენიღბული რეგალიებით შეგვიცვალეს. - მერე მისთვის ჩვეული მომხიბლავი ღიმილით გვითხრა: - ეს კი იმას ნიშნავს, აქვე გამომეთხოვოთ, ჩემი ბარგი-ბარხანა უნდა წავიღო, რადგან უთენია ფრონტზედ მივდივარ...

ომიდან დაბრუნებული მიტია მთაწმინდის ძირას, ერთ პატარა სახლში ცხოვრობდა. თავის მეუღლესა და ორ მცირეწლოვან ქალვაჟთან ერთად. (დღეს ორთავე კონსერვატორიაში მოღვაწეობს). ძალზედ გაუხარდა ჩემი დანახვა. - რამოდენა გზარდილხარო, მითხრა და მით უფრო გაიხარა, როდესაც ჩემი თბილისში ჩამოსვლის ამბავი შეიტყო.

გულთბილმა მასპინძლებმა იმ დროისათვის შესაფერი სუფრაც გააწყვეს და მიტიამ, საიდანღაც ერთი "ჩეთვერი" ლუდიც მოარბენინა.

- ნოდარიკა, დღეს რომ შენ მე ცოცხალს მხედავ, იცი ვისი წყალობაა ეს ?!.. - გამანდო თავისი ერთობ სარისკო საიდუმლო მიტიამ. - როდესაც ქერჩში, ტყვედ ჩაცვენილები ერთ მწკრივად დაგვაყენეს და გამოგვიცხადეს - კომუნისტებმა ერთი ნაბიჯით წინ გადმოდგით ფეხიო... - ალბათ შიშისა თუ განგების კარნახით, რაც მოვიფიქრე და მოვასწარი, პარტბილეთი უჩუმრად ძირს ჩავაცურე და ის იყო ვცდილობდი, ფეხით ქვიშაში მის ჩაფლვას, ჩემ წინ ავტომატმოღერებული გერმანელი დავინახე.

ახლაც მიჭირს გამოვთქვა ის, რაც იმ წამიერად განვიცადე და თუ დამიჯერებ, გეტყვი. ის სიკვდილზედაც მეტი იყო და იმ ტანჯვა-წამებაზეც, რაც მე ტყვეობაში გადავიტანე. გერმანელმა ერთი კიდევ შემათვალიერა, შემდეგ შებრუნდა და ისე გამცილდა, თითქოს არაფერი დაენახოს...

დისნეის და დალის ურთიერთობა დამტკიცდა



უოლტ დისნეის ძმის შვილი, როი დისნეი იგონებს, რომ ყურმოკვრით ჰქონდა გაგონილი მითი დისნეისა და სალვადორ დალის ურთიერთობის შესახებ; სმენოდა, რომ სალვადორ დალის ერთი ძველი პროექტისთვის ჰქონდა დახატული სკეჩები, რომლებიც სადღაც, სტუდიის არქივებში ინახებოდა. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი მითი არ ყოფილა. სიურეალიზმის დიდოსტატი, თურმე, 1945-46 წლებში, მართლაც, მუშაობდა როის ბიძასთან, უოლტ დისნეისთან. სწორედ ამ პერიოდში ანიმაციური ფილმისთვის, რომელსაც დღის შუქი არასდროს უნახავს, მან შვიდი ნახატი და ასობით მელნის ესკიზი შექმნა. მთელი ეს ავლადიდება კი მთელი 58 წლის განმავლობაში სტუდიის ძველ არქივში ისე ინახებოდა, რომ მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

თუმცა, ახლა "დისნეიში" ავლადიდებას კარგად აფასებენ. სპეციალისტების თქმით, ნახატების ფასი 5-10 მილიონი დოლარით განისაზღვრება. კომპანიის თავკაცი კი მტვერგადაცლილი განძის დათვალიერების უფლებას უკვე ევროპას აძლევს. "დისნეის" ეგიდით დალის ათობით ნაწარმოები ხომ ევროპულ ტურნეში იმყოფება.

"მსოფლიოს დალის თითქმის ყველაფერი ჰქონდა ნანახი ამ ნახატების გარდა", - განმარტავს დისნეი.

"დისნეიში" კიდევ რამდენიმე სიახლეა. ალბაკერკეში საშემსრულებლო ხელოვნების დისნეის ცენტრი გაიხსნა, კვირას კი გაიმართა დალის ესკიზების მიხედვით გადაღებული ანიმაციური ფილმის "დესტინოს" პრემიერაც. სურათი "ოსკარზეც" იქნება წარდგენილი და მანამდე მსოფლიო პრესას კიდევ ბევრჯერ აალაპარაკებს.

აქცია მშვიდობის კულტურის პოპულარიზაციისათვის

დღეს თბილისის ისტორიულ მუზეუმში აქცია "მშვიდობა და არა ძალადობა" გაიმართება. როგორც კოორდინატორმა ელენე რუსეცკაიამ განაცხადა, აქციის მიზანი ყველა სახის ძალადობის წინააღმდეგ გაერთიანება და მშვიდობის კულტურის პოპულარიზაციის მხარდაჭერაა.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის, ავსტრიის პროფესიონალი ფოტოგრაფები, საქართველოს ტექსტილის ჯგუფი, ფოლკლორული ანსამბლი "ოქროს სტუმრები" - ხალხური სიმღერებით საქართველოში მოღვაწე უცხოელთა შესრულებით, "კავკასიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი" - ლადო ბურდული და მისი მეგობრები და სხვები. აქციაზე მოეწყობა ფოტოალბომების გამოფენა-გაყიდვა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ბეჭდვითი გამოცემების გამოფენა. პროფესიონალ ფოტოგრაფთა გამოფენა ერთდროულად თბილისსა და ამსტერდამში გაიმართება.

აქცია ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ მარტოხელა მშობელთა ასოციაციასთან და სამხრეთ კავკასიის გენდერულ საინფორმაციო ქსელთან თანამშრომლობით ხორციელდება.

პრაიმ-ნიუსი

კონცერტები

თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი
ფესტივალი "შემოდგომის თბილისი"
თბილისის სიმფონიური ორკესტრი
დირიჟორი - ვახტანგ კახიძე
სოლისტი - ვახტანგ კოდანაშვილი (ფორტეპიანო)
ჩაიკოვსკი - კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის N1 ჩაიკოვსკი - სიმფონია N5
დას: 19:00 სთ

თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
პრემიერა
დევიდ გერი
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ

გამოფენები

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ ვალიშევსკის ნამუშევრების გამოფენა

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
"ელექტრონული დედამიწა - თანამედროვე ბრიტანული ვიდეო-არტი"

ქარვასლა
პროექტი "სამშაბათი გასულია"
შვეიცარელი, ამერიკელი და გერმანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

პოლ კალჰუნის (აშშ) და მისი მოწაფეების ფოტონამუშევართა გამოფენა "ხელოვნება დაუცველთათვის"

სურათების ეროვნული გალერეა
"თბილისი თბილისელ მხატვართა შემოქმედებაში"

კინოთეატრები

ამირანი
"შრეკი 2"
დას: 14:00; 16:00; 18:00; 20:00 სთ

"სტეპფორდელი ცოლები"
დას: 22:00 სთ

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

TV პროგრამა

16 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** თამაში "ჭკვიანი ბავშვი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "იღბლიანი ჯენტლმენები" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "სელტიკი"-"ბარსელონა" **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

პირველი არხი

07.55 მოამბე **08.10** ღამის მოამბე (გამ.) **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) 1-ლი ს. **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **16.30** სერიალი "უშიშრები" **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.30** "ამბობენ" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტიბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ქიმერიონი **00.00** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) მე-2 ს.

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** დონ კიხოტის გზები. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.15** თითქმის აუტანელი ხალხი. მხ. ფილმი. რეჟისორი მიშელ დევილი. 2002. **16.25** Gადაცემა: აქტუალური თემა. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. **22.05** აზიზა. სკულპტორები. დოკ. ფილმი. **24.25** გადაცემა: კროსვორდები. 04/20 ეშმაკი უარყოფს. ტელესერიალი.

მზე

09.00 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** ტელეჟურნალი "სცენა" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.35** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "მოდა" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ღმერთები და ურჩხულები" (15) (ბრენდან ფრეიზერი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "მარსუპილამი" მე-2 ს. **19.30** "ამბები ჩვენზე" **20.00** "იმღერე რამე" **20.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **21.30** ფრაგმენტები სურათისათვის **22.00** მხ. ფილმი "თემო" (გ)

იმედი

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 20.30, 21.25, 01.45** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** "მუღამები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30, 01.15** ტვ-მარკეტი **14.10** სერიალი "შატუნი" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.00** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "მრისხანების შიში" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.35** სერიალი "შატუნი" **21.30** ლარის მახე **23.00** "ინტერნიუსი" **23.30** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთური ცათამბჯენი" (გ) (ე. ჟუდორი)

იბერია

18.00 მულტსერიალი "ცეცხლის შვილები" 3-4ს. **19.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-2 ს. **20.00** დოკ. ფილმი **21.05** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "ფობია" (15)

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"АНТИКИЛЛЕР-2". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.20** Мультсериал "Кошки-мышки". **11.30** Дисней-клуб: "Приключения Винни Пуха". **12.20** Елена Яковлева в остросюжетном фильме **"ШАЛЬНАЯ БАБА"** **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.10** "Угадай мелодию". **15.40** Сериал **"СЫЩИКИ". 16.50** Премьера. "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Кумиры". Владимир Этуш. **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00, 23.30** Время. **22.40** Спецрасследование. "Дикое золото Магадана". **2**-я с. **23.50** "Звезды эфира". Светлана Жильцова. **00.20** "Сканер". **00.50** Неизвестная планета. "Мир богов Гоа". **01.20** Джон Литгоу в триллере **"ВОСПИТАНИЕ КАИНА" 03.00 Кубок мира. Хоккей. Финал.** Прямой эфир из Канады.

НТВ

06.00 "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.45** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "Модерн": Сицилианская защита. **10.55** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **11.55** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI". 13.35** Сериал**"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: ЗЕЛЕНАЯ КАРЕТА". 14.35** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ТАКСИСТ". 18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI" 20.50** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 22.00** Страна и мир. **22.35** Футбол. Лига чемпионов. **"ПОРТУ" (Португалия) - ЦСКА (Россия). 01.00** Тайны разведки. Медовая ловушка. **01.40** Дневник лиги чемпионов.

იაპონური ხატვა



							2																	
							2	4	4	3		3					2	3		5	3			
							2	1	3	5	1	3		2	3		5	3	4	2	3			
						7	2	5	1	3	7	3	9	5	4	2	3	3	5	4	2			
					5	1	1	3	1	2	8	4	2	1	1	6	3	2	2	2	1	7	3	
					3	1	1	2	2	2	1	5	2	5	4	3	1	2	2	3	3	4	2	
					1	6	6	2	3	2	2	3	7	2	3	6	2	2	3	2	3	2	2	
			3	3																				
				9																				
		4	2	2																				
	1	2	1	6																				
		2	3	4																				
		3	5	4																				
		4	7	3																				
	2	2	5	2																				
	3	2	6	1																				
	3	3	5	4																				
	1	3	3	4																				
		2	6	3																				
		4	1	1																				
	5	1	4	1																				
		4	2	6																				
			2	11																				
		1	6	2																				
	2	1	3	1																				
		2	2	4																				
	1	4	4	1																				
		2	4	2																				
		1	2	3																				
1	3	2	2	4																				
				16																				
			3	4																				
		2	2	4																				
		2	5	5																				
			8	5																				
		5	1	3																				

სკანვორდი



1. ფულის მიმოქცევაში გაშვება; 2. სახელმწიფო ცენტრალური აფრიკაში; 3. იტალიური არაყი; 4. გამოცდების პერიოდი უმაღლეს სასწავლებელში; 5. კუნძული ეგეოსის ზღვაში; 6. იაპონიის ხე-სიმბოლო; 7. ბეთჰოვენის საფორტეპიანო სონატა; 8. აკრძალვა რაიმე ქონებით სარგებლობაზე; 9. ლეგენდარული იტალიელი მძიმეწონოსანი მოკრივე; 10. საზოგადოებრივი აზრი, შეხედულება ვისამე შესახებ; 11. ვაშლის არაყი; 12. საჭმლის დამზადების საქმე; 13. 1977 წლის "ოქროს ბურთის" მფლობელი; 14. ჩრდილო ამერიკის პოლარული სანაპიროს მკვიდრი მოსახლე; 15. ქართველი გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი; 16. პროგრესის მოწინააღმდეგე, ჩამორჩენილი შეხედულების ადამიანი; 17. ქათმის სახორცე ჯიში; 18. ურჩხული, მახინჯი; 19. ოფიცრის ჩინი მეფის რუსეთის არმიაში; 20. ლეგენდარული რუსი ჰოკეისტი; 21. ფრანგი კინომსახიობი ქალი; 22. სესხად მიცემული თანხა; 23. მე-16 საუკუნის გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი; 24. მინის ფართობის საზომი ერთეული; 25. პერსონაჟი ზღაპრიდან "ოქროს გასაღები"; 26. ქართული რადიო და ტელეკომპანია; 27. მითიური მდიდარი ქვეყანა; 28. გეომეტრიული მრუდი; 29. დიდი განსწავლულობა, ღრმა ცოდნა; 30. ისტორიული სლავური ოლქი ცენტრალურ ევროპაში;

დელეგაცია სვანეთში

საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დავალებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის დირექტორი კახა ტრაპაიძე, სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპერტებთან ერთად სვანეთში მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მდგომარეობის წინასწარი შესწავლისა და შეფასების მიზნით გაემგზავრნენ.

დაგეგმილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა მესტიის მუზეუმში მუშაობის თანამედროვე რეჟიმის უზრუნველსაყოფად და ექსპონატების შენახვის პირობების გასაუმჯობესებლად. სამინისტროს სამუშაო ჯგუფი და ექპერტები პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მონაცემებს ადგილზე შეისწავლიან.

სიახლეები სახელმწიფო მუზეუმში

დღეიდან ოთხწლიანი პაუზის შემდეგ სახელმწიფო მუზეუმში საქართველოს არქეოლოგიის ამსახველი საგამოფენო დარბაზები იხსნება. მომზადდა ახალი ექსპოზიცია "საქართველო პირველი ევროპელების სამშობლო". ამიერიდან პირველი ევროპელების - "ზეზვა და მზიას" და დმანისის სხვა მნიშვნელოვანი აღმოჩენების ხილვა ფართო საზოგადოებას შეეძლება მუზეუმის ძირითად ექსპოზიციაზე.

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად მუზეუმში მეცნიერული ცოდნის გავრცელების მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად იწყება ახალი პროექტის განხორციელება. მუზეუმის ეზოში მოწყობილია არქეოლოგიური გათხრების სასწავლო მოედანი, სადაც ბავშვები პრაქტიკულად შეისწავლიან არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკას.

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
„მზიური“
აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V – XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎91-03-17; 29-48-61; 95-45-75

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის მემსნავლელი ჯგუფს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისებანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა ჯგუფებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

TV5-ის კვირის პროგრამა

21 სექტემბერი.

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** გულაგი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ქრონიკები მთიდან. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** გადაცემა: აქტუალური თემა. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. **22.05** სხეულის მეტამორფოზა. დოკ. ფილმი. **24.25** გადაცემა: კროსვორდი. **04.25** ოჯახი, რადაც არ უნდა დამჯდეს. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟაკ რენარი. 2002.

22 სექტემბერი.

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **14.05** გადაცემა: ყველაფერი ვცადეთ. 16.3. ეშმაკმა უარყო ქვეყანა. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟაკ რენარი. 2003. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** 44 წლიის აგვისტოს 20 წლის ასაკში. დოკ. ფილმი. **23.00** გულაგი. დოკ. ფილმი. **24.25** გადაცემა: ორმაგი მე. **02.50** სამხრეთის ანარეკლი.

23 სექტემბერი.

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **12.15** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი. **14.05** გადაცემა: ყველაფერი ვცადე. **16.30** გადაცემა: ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **22.05** დ დიზაინი. **23.00** გადაცემა: ერთხელ თვეში. **24.25** ამ დღეს. მხ. ფილმი. რეჟისორი რაულ რუიზი. 2003. **04.20** წარმავალი ხსოვნა. ტელესერიალი.

24 სექტემბერი.

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **12.15** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **11.10** დოკ. ფილმების სერია. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** გადაცემა: ორმაგი მე. **19.05** ნორმან მეილერის ამერიკა. დოკ. ფილმი. **20.25** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები. **22.05** გადაცემა: აკუსტიკა. **24.25** მისი უდიდებულესობი მოგზაურობა. მხ. ფილმი. რეჟისორი ჯოი ბუნუელი. 2003. **04.20** ფრანკ რივა. ტელესერიალი.

25 სექტემბერი.

06.00, 08.00, 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 01.55(შვეიცარია), 02.255(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" **09.30** ჩვენი ცხოვრება. მხ, ფილმი. რეჟსორი არნო სელინაკი. 2003. **12.15** მისი უდიდებულესობი მოგზაურობა. მხ. ფილმი. რეჟისორი ჯოი ბუნუელი. 2003. **15.30** გადაცემა: ვისაც ყური აქვს, ისმინოს. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მარი-ნიცოლ ლემიე. დოკ. ფილმი. **20.25** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **23.00** უდიდესი სპორტული დუელები. დოკ. ფილმი.

26 სექტემბერი.

06.15, 08.00, 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.20(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ყავა ან ჩაი. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" **11.30** ბურლინგერის დღიურები. 12.1544 წლიის აგვისტოს 20 წლის ასაკში. დოკ. ფილმი. **14.05** მედიჩის ბიბლიოთეკა. **16.25** რძის პროდუქტების მაღაზიაში. ტელესერიალი. **18.20** TV5-ის სტუმარი **20.25** მხოლოდ კვირა დღეს. **23.00** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. I ლიგა.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.